

K 215662  
3

3. კონკარია 010



მისამართი  
ქადაგის ქადაგი



3. ქოვალებები

# მითების კალენდარი

გამოცემისა „საქართველო“  
თბილისი, 1991

22.61  
529.3/5  
♂ 74



წიგნი მოგვითხრობს კალენდრის მითოლოგიური და ასტრონომიული საფუძვლებისა და სხვადასხვა კალენდარული სისტემების მათემატიკური თეორიების შესახებ. აღწერილია ის კალენდრები, წელთაღრიცხვის სისტემები და ერები, რომლებსაც იყენებდნენ ძველი მსოფლიოს ხალხები, აგრეთვე ისეზონსიც, რომლებიც გამოიყენება ღლევენდელ სინამდვილეში. დაწვრილებითაა განხილული ქართული კალენდარული სისტემისა და წელთაღრიცხვის წარმოშობის საკითხები.

ରେପ୍ରେଣ୍ଡିନ୍ଟି ଯୁଦ୍ଧ-ମାତ୍ର ମେଗନ୍. ଡାକ୍ତିରଙ୍ଗ  
ର. ପିଲାପାଳ

Копаленишвили Вильгельм Терентьевич

ОТ МИФОВ ДО КАЛЕНДАРЕЙ

(На грузинском языке)

Издательство «Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили 5  
1991

5001000000—012

66-91

601(08)—91

ISBN 5-520-00692-2

ବ୍ୟାପକ ଯୁଦ୍ଧରେ  
ଅନ୍ତର୍ମାତ୍ରରେ  
ବିଜ୍ଞାନରେ

## მთვარე

მთვარე ცის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მნათობია, რომელზეც შეიძლება ადამიანმა დაკვირვება აწარმოოს შეუიარაღებელი ოვალით გარდა ამისა, ცის არც ერთი მნათობი არ განიცდის ისეთ მნიშვნელოვან ხილულ ცვალებადობას, როგორც მთვარე. ამიტომაცაა, რომ მთვარე თავისი მოძრაობით, ფაზებით, სინათლით დღესაც აჯაღოვებს ადამიანს და, აღვილად წარმოსალგენია, როგორ ჭაღოსნურად მოქმედებდა იგი ჩვენს შორეულ წინაპრებზე. მათვის მთვარე იყო ცოცხალი არსება, რომელსაც გააჩნდა მაგიური თვისებები. საუკუნეების მანძილზე მის შესახებ იქმნებოდა ლეგენდები და მითები. ეგვიპტელებს, ებრაელებს, ბერძნებს, რომაელებს, არაბებს, ფინიკიელებს მთვარე დედაკაცად ჰყავდათ წარმოლგენილი, ხოლო ბაბილონელებს, ასურელებს, ქანანელთ, ქართველებს — მამაკაცად.

ზოგს იგი ბოროტების, ზოგს კი ბედნიერების მომტან მნათობად მიაჩნდა.

ბაბილონის ასტრალურ პანთეონში მთვარე სინ არა მარტო მამაკაცია, არამედ ჭვეუნის მაცოცხლებელი, სიყვარულის წინაშე ღმერთია, ხოლო ბაბილონის უკანასკნელი მეფის ნაბონიდეს (ძვ. წ. 555—539) ხანაში შუამდინარეთის იმპერიის დიდი პატრონი და უპირველესი ღვთაებაა. იგია ცისა და მიწის ნათელი, იგია მეუფე ცისა და მიწის ღმერთებისა, იგია უფალი ღმერთებისა და ღმერთი ღმერთებისა.

სლავებისათვის მთვარე ღამის მეფე და მზის ქმარია. იგი შეუცრებული იყო აისის ვარსკვლავზე, რის გამოც სხვა ღმერთებმა დასაჯეს.

მსგავსი ლეგენდა არსებობს ასტრალიელ აბორიგენებშიც. მათთა აზრით, მთვარე, რომელსაც შეუყვარდა სხვისი ცოლი, თავის ტომიდან განდევნეს და ამიტომაც დახეტიალობს ცაზე, ხოლო აფრიკის ერთ-ერთი ტომის, ნამაკას აზრით, კეთილმა ღმერთმა მთვარემ გადაწყვიტა ადამიანები უკვდავებად ეჭცია, რომ ადამიანები სიკედილის

შემდეგ კვლავ გაცოცხლებულიყვნენ, მაგრამ კურდოლებმა როგორაც  
მოახერხა და ხელი შეუშალა მთვარეს ამ კეთილი საჭმის განხორციელებაში. ამის გამო მთვარე გაჯავრდა და კურდოლელს თავის საზრისო—  
ლო ნახახი ესროლა და ორად გაუპო ტუჩი, სწორედ ამის გამო აქვს  
კურდოლელს დღესაც ორად გაპობილი ტუჩი.

თითქმის ასეთივე ლეგენდა არსებობს კომანდორისა და ალეუტის  
კუნძულების აბორიგენებში. მათი აზრით, მთვარეს შეუძლია თავის  
შეურაცხმყოფელს ქვები დაუშინოს და, თუ მოისურვებს, მოკლას  
კიდეც. სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთი ველური ტომის ბოტოკუდის  
ზღაპრის მიხედვით, მთვარეს შეუძლია გამოიწვიოს ჰექა-ქუბილი, ელ-  
ვა, მოუსავლიანობა, ხანდახან სიკვდილითაც დასაჭოს უამრავი აღა-  
მიანი.

შორეულ წარსულში ხალხთა ერთი ნაწილი ცეკვით და სიმღერით  
აცილებდა ახალს და სავსე მთვარეს. ზოგიერთი ტომი მრისსანე მთვა-  
რეს სთხოვდა შეწყალებას, ზოგიც კი მისგან მოითხოვდა ყოველივე  
სიკეთეს. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის აბორიგენები „ჰოტენტოტები  
მთელი ღამე ცავაგდნენ და მთვარისაგან მოითხოვდნენ მიეცა მათ-  
თვის რაც შეიძლება მეტი თაფლი და რძე“ (43, გვ. 210). ვიეტნამში  
კი დღემდე შემორჩა ჩვევად, მთელი ღამე უყურონ წელიწადის მერ-  
ვე თვის მე-16 დღის მთვარეს. მთვარის ნათელი სახე ვიეტნამელს  
კარგ მოსავალს პირდება, ნახევრად ნისლით დაბურული — მეორე  
მოსავლის აღებისას სავსე ბეღლებს, ხოლო თუ მთვარე მთლიანად  
არის დაბურული ღრუბლებით — მოუსავლიან წელიწადს უნდა ელო-  
დონ. მრავალი ევროპელიც კი, დაინახავს თუ არა ახალ მთვარეს, მა-  
შინვე ჯიბილან ამოიღებს ბრჭყვიალა ხურდა ფულს, უჩვენებს ახალ-  
მთვარეს და სთხოვს — ბევრი ფული გამომიგზავნეო.

ძველი ევგვიპტელები თაყვანს სცემდნენ კატას. ძერძენი ისტორი-  
კოს პლუტარქე (50—120 წ.) ამას შემდეგი მიზეზით ხსნის: „ამ ცხო-  
ველის ძერელებული ფეროვნება, კატას, ეგვიპტელების შემეცნებაში,  
ძეცევდა მთვარის სიმბოლოდ. ამბობენ, რომ კატა პირველ წელიწადს  
ბადებს ერთ კნუტს, მეორე წელიწადს — ორს, და ყოველთვის ერ-  
თთ მეტს, ვიდრე წინა მშობიარობისას და ასე გრძელდება მეშვიდე  
მშობიარობის ჩათვლით. შვიდი მშობიარობის შედეგად მათი ჯამი  
შეადგენს 28 ( $1+2+3+4+5+6+7=28$ ) კატის კნუტს“ (43, გვ. 210),  
რაც მთვარის თვის დღეთა რაოდენობის ტოლია.

რაღვეან მთვარე მობრძანდება და წაბრძანდება, დიდება და  
მცირდება, შემდეგ სულ გაქრება და კვლავ გამოჩნდება, იგი შორეულ

წარსულში ოღიარებულ იქნა სიცოცხლის კვლავ აღდგენის სიმბოლოდ. ძირით იყო, რომ განვითარების ყველაზე დაბალ დონეზე, მყოფ ხალხში ამომავალი მთვარე იწვევდა სიკვდილის შემდეგ კვლავ გამოიყენდა ცოცხლების ასოციაციას. ამრიგად, მთვარის ფაზების ცვალებაღობასთან დაკავშირებული დღესასწაულები თითქმის ყველა ხალხში იყო გავრცელებული და აღამიანებიც თავის სიცოცხლეს მთვარის ფაზებს უსადაგებდნენ.

ზოგიერთმა ხალხმა შორეულ წარსულში მთვარის ფაზების ცვალებაღობა დაუკავშირა კვეწარმავლის (კველის) კანის ცვლას, კერძოდ ავსტრალიაში და ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე მელანეზიის კუნძულების აბორიგენებს სწამდათ, რომ გველი არის მაც-დური ქალის სიმბოლო.

მონღლოლები მთვარეს სასწაულებრივ ძალას მიაწერდნენ. მთვარე მათვის მზის სწორი ღვთაება იყო. იგი იყო მეფე-ვარსკვლავი. მონღლოლების აზრით, მთვარეს ღამით ჩუმი შრიალიც კი ესმის და ამიტომ მას ცის ყურსაც უწოდებდნენ.

შორეულ წარსულში, მთელ რიგ ხალხებს ისიც სჯეროდათ, რომ მთვარე მართავდა ქალის სიცოცხლეს, რამეთუ ქალთა უმრავლესობის ორგანიზმში ყოველ 28 დღეში ერთხელ ხდება ფიზიოლოგიურ-ბიოლოგიური ცვლილებები, ხოლო ფეხმძიმბიდან მშობიარობამდე, ნორმალური ფეხმძიმბიდას შემთხვევაში, გაღის სწორედ 10 მთვარის 28-დღიანი ოვე ( $28 \times 10 = 280$  დღე). ამიტომაც იყო, რომ ბერძნულ მითოლოგიაში ქალთა ინტერესების დამცველად აღიარებულ იქნა ქალმერთი ჰეკატე, რომელსაც თითქოს ურთიერთობა ჰქონდა მთვარესთან. ბერძენი პოეტის ჰესიოდეს (VIII—VII საუკუნეთა მიწა) მიხედვით „ჰეკატე ტიტან ჰერსესა და ტიტანიდ ასტერიას ქალიშვილია. ჰეკატე მიწის, ზღვისა და ზეცის ქალმერთია. ჰეკატე ეხმარება მშობიარე ქალებს, დედებს, ქმნის და ამრავლებს სიმდიდრეს“ (7, გვ. 319). მას ბერძენები გამოსახავდნენ ღამაზ ქალაზ, ხელში აღმართული ჩირაღდნით. ჰეკატეს სამთავინ გამოსახულებებს დგამდნენ გზაჯვარედინებზე, მისი ქანდაკებები ჰქონდა თითქმის ყოველ ოჯახს. ბერძენ ქალებს, როცა ცის თაღზე მთვარე არ ჩანდა, სახლის ნაგავი მიჰქონდათ გზაჯვარედინზე, იქ დაყრიდნენ ხოლმე და უკანმიურედავად ბრუნდებოდნენ შინ. მაშინდელი რწმენით ნაგავი „ჰეკატეს ვახშემად“ ითვლებოდა. ამ რიტუალის შინაარსი ის გახლდათ, რომ თითქოს და ოთახის ნაგავში ერია ბოროტი სულების მაგიური ძალები. ჰეკატე ვახშემობისას შეჭიმდა რა მას, ამით დაიცავდა ოჯახს ყოველგვარი ხი-

ფათისაგან, ხოლო როცა მე-16 დღეზე მთვარე იშუებდა თანდათანობით დაცხრომას, ბერძენ ქალებს გზაჯვარედინზე ჰეკატესაოვის მიპკონდათ დიდი კვერები, რომლებშიც ჩარჭობილი იყო აზოებული სანთლები. ამ შეწირულების მიზანი გახლდათ მთვარის სინათლის შენარჩუნება. რადგან გზაჯვარედინთან დაკავშირებული რიტუალი მთვარეს ეძღვნებოდა. სამი გზის შესაყარი სიმბოლურად გამოხატავდა მთვარის სამ ფაზას. „მთვარე, — ამბობდა სირიელი ნეოპლატონიკოს პერფირიე (ჩვ. წ. III ს.), — ესაა ჰეკატე, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს მთვარის ფაზების ცვალებადობას. ამიტომაცაა, რომ ბერძნული მითოლოგიით მისი გავლენა აისახება სამ ფორმაში“ (43. გვ. 226).

როგორც ინგლისელი სწავლული ჭ. ტომსონი აღნიშნავს: „ორფიულ ლიტერატურაში მთვარის ფაზებს აქვს სსვადასხვა ახსნა-განმარტება. პირველ სამ დღეს ეწოდება სელენე, მეექვსე დღეს იგი ხდება არტემიდედ, მეხუთმეტე დღეს კი — ჰეკატედ“ (43, გვ. 227). სელენე გახლდათ მზისა და მთვარის ქალღმერთი, არტემიდე კი ნადირობის, ნაყოფიერებისა და შვილიერების ღმერთი. ანტიკურ ხელოვნებაში არტემიდე გამოისახებოდა ახალგაზრდა ქალის სახით, რომლის გვერდით იდგა დედა და შვილი. ხოლო, როგორც მთვარის ღმერთს, არტემიდეს გამოსახვალნენ თავზე ნახევარმთვარით და ჩირალდნით ხელში, არტემიდასათვის შესაწირავი მიჰკონდათ ფეხშიმე და გასათხოვარ ქალებს. მე-15 დღეს კი იგი ხდებოდა ჰეკატე.

ზოგიერთი ბერძენი ავტორის აზრით: როცა მთვარე დედამიწის ზევითაა — სელენეა, როცა მიწის ქვეშაა — არტემიდეა, როცა დედამიწის მოპირდაპირე მხარესაა — ჰეკატეა.

სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის ტომები: ინკები, აცტეკები, მაია მთვარეს ღამის იღუმალ ქალღმერთს უწოდებდნენ.

ასეთი იყო სხვადასხვა ხალხის მითოლოგიური მსოფლებელვა მთვარის მიმართ.

ქართულ მითოლოგიაში, როგორც უკვე აღნიშნეთ, მთვარე მამა-ქაცია. მავალითად, მეგრულ ხალხურ ლექსში ნათქვამია: „მზე დედაა ჩემი, მთვარე მამაა ჩემი“. ამავე აზრს იმეორებს სხვა ქართული ლექსიც, სადაც მზე ამბობს: „მე და ვარ და ის ძმა არის“.

ივ. გავახიშვილი, იმოწმებს რა სტრაბონს, ამის შესახებ ამბობს: „პონტოში და ფრიგიაში, სადაც ერთ დროს ქართველი ტომები ბინაღრობდნენ, მთვარის თაყვანისცემა გვერცელებული ყოფილა, ...მთვარე უმთავრეს ღვთაებად ითვლებოდა და მეუფეს ეძახდნენ, იგი

ზეცისა და ქვეყნის პატრონია. იგი აძლევს დედამიწას უხვ მოსავალს, ხოლო ადამიანს მფარველობას უწევს და დაჩაგრულს ექმოაგება. მა-მალი ამ ღვთაების მფარველად ითვლებოდა, იმიტომ რომ მამალმა ღამე ყივილი იცის. როცა პონტოში და ფრიგიაში მთვარეს მთვარე-ღმერთად გამოსახავდნენ ხოლმე, მას მხრებს უკან მცხრალი მთვარის წვეტები რქების მსგავსად უჩანს, ამიტომ იყო, რომ ხარის რქები ჩვე-ულებრივ მთვარის ნიშნად ითვლებოდა, და, ბოლოს ივ. ჯავახიშვილი ასკვნის, „სადაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემა შერჩენილია; ამის გამო მთვარის ვითარცა მთავარ-მეუფისა და ღვთა-ების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტომების უუძველეს რწმენად უნდა ჩაითვალოს“ (28. გვ. 99).

შორეულ წარსულში ქართველების მიერ მთვარის ერთ-ერთ უმ-თავრეს ღვთაებად აღიარება დასტურდება „ქართულ ასომთავრულ-შიც“. რ. პატარიძე წერს: „ქართული ასომთავრული ანბანის პირველ ასო-ნიშანს „ან“ ეწოდება, რადგან ფინიკიურ ანბანში ერთ-ერთ ასო-ნიშანს „სინ“ ეწოდება, ხოლო „სინ“ შუმერულად მთვარის ღმერთს ნიშნავს... ქართული ანბანის ასო-ნიშანი მთვარის ღვთაების იდეო-გრამაა, ხოლო „ან“ შუმერულად ცის ღმერთს ანუ მთვარის ღმერთს ნიშნავს. ასო-ნიშნის სახელდების ქართული პრინციპიც ეს არის“ (18, გვ. 117). გარდა ამისა, „როგორც ცნობილია, ქართულ წარმართულ ასტრალურ პანთეონში მთვარე-ღმერთი მამრი ღვთაებაა, ხოლო ქარ-თულ ასომთავრულ ანბანში „ან“ მთვარის ღმერთის ემბლემა-სიმბო-ლო ხარია“, — ასკვნის რ. პატარიძე (18. გვ. 375).

ასტროლოგიურად მთვარე შეყვარებულთა ღვთაება და მფარვე-ლია, მის ხელთაა აღამიანთა ბედი, ქორწილი, სიმდიდრის შოგნა, მფარველი და გამზრდელია პირუტყვთა და მცენარეთა.

ვალერიან გუნიას, საქართველოს 1897 წლის კალენდარში მოცე-მული აქვს ხალხური წინასწარმეტყველებანი, რომლებიც მთვარეზეა დაფუძნებული, სადაც ნათქვამია: „პირველ მთვარეს ყოველისფერი ქარგი: თესვა, ნერგვა, საძირკვლის ჩაყრა, გზას წასკვლა. ნოემ კიდობ-ნის საძირკველი ჩაყარა და მოსემ საძირკველი გააკეთა და მიქელ გაბ-რიელმა ყოვლად წმინდა ღვთის მშობელს ახარა — ამ დღეს, რომელ-მცც ტაძრის საძირკველი ჩაჰყარა, ავად მყოფი მორჩეს, დაქარგული იძოვნის, სიზმარი კეთილად ახდეს“ (5, გვ. 76).

ზემომოყვანილი ექსკურსი იმაზე მიგვითითებს, რომ შორეულ წარსულში მთვარის „მაგიურ“ ძალას უფრო მეტი ყურადღება ექცე-ოდა, ვიდრე მზისას. ამიტომაც იყო, რომ თითქმის ყველა ხალხში

მთვარისეული კალენდარი გაცილებით უფრო ადრე დაშვიდრდა ხმა-  
რებაში, ვიდრე მზისმიერი კალენდარი.

ერთ-ერთ კალენდარულ ერთეულად იყო მთვარისმიერი თვე, რო-  
მელიც შეიცავდა 28, 29 ან 30 დღეს, თავდაპირველად მას ყოფილნენ  
სავსემთვარეულ ორ პერიოდად. მოვგიანო პერიოდში კი, რადგან  
მთვარე-ჰეკატე იყო სამსახურვანი, ბერძნებმა შემოიღეს მთვარისმიერი  
თვის სამ ნაწილად დაყოფა.

ბაბილონელი ასტრონომები უფრო გააჩრებულად მოიქცნენ და  
ერთი ახალმთვარობიდან მეორე ახალმთვარობამდე მთვარის ფაზათა  
ცვლა დაყვეს ოთხ პერიოდად და ამით შორეულ წარსულში საფუძვე-  
ლი ჩაუყარეს იმ კალენდარულ შვიდღლიან კვირას, რომელსაც მსოფ-  
ლიოს მასშტაბით დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა.

## მ ზ ე

მზის ხილული ასახვისაგან მიღებული შთაბეჭდილება ჩვენი შო-  
რეული წინაპრების ცნობიერებაში მარტივია: იგი დილით ამოდის და  
საღამოს ჩადის — დღეს ცვლის ღამე, ღამეს კი დღე და ა. შ. მარ-  
დიულად და იგი ვერ ახდენს მის შემეცნებაზე ისეთ დიდ შთაბეჭდი-  
ლებას, როგორც მთვარე. ამის მაგალითია სამხრეთ აფრიკის აბორი-  
გენების, მუშმენების შეხედულება მზის მიმართ.

რამდენიმე ათასი ბუშმენი, როგორც ლ. ზაიდლერი აღნიშნავს,  
სამხრეთ აფრიკის კონტინეტზე ცხოვრობს. მათ წერილობით გადმო-  
ცემული ისტორია არ მოეპოებათ, ისინი ჯერაც ქვის ხანაში არიან, ან  
განვითარების კიდევ უფრო ადრეულ სტადიაზეც კი იმყოფებიან, მაგ-  
რამ მათ გააჩნიათ ლეგენდები. ამ ლეგენდების წყალობით ვვებუ-  
ლობთ, „რომ ყოველივე კეთილისა და ბოროტისათვის ბუშმენები  
მთვარეს აკისრებენ პასუხისმგებლობას. საკულისხმოა, რომ მზე არა-  
ვითარ როლს არ ასრულებს მათს თქმულებებში“ (9, გვ. 145). მოგ-  
ვიანო პერიოდში ადამიანები მიხვდნენ, რომ მზე სითბოს წყაროა,  
მისი ცის თაღზე გამოჩენით დედამიწა თბება, რომ სითბო ყველაფე-  
რია, ამიტომ იგი არა ნაკლები ღმერთია, ვიდრე მთვარე, რის გამოც  
იქმნებოდა მითები, თქმულებები, ზღაპრები, ლეგენდები. ზოგი თქმუ-  
ლების მიხედვით მზე ბოროტია, ზოგითაც კი კეთილია და მას ხალ-  
ხები უგებენ ტაძრებს, სამლოცველოებს, წირავენ დიდალ მსხვერპლს,

ლოცულობენ და ფიცავენ მზის სახელს. ზოგიერთი მას მამრ სქესად თვლის, ზოგი — მდედრად.

პოლინეზიური ლეგენდის მიხედვით, შორეულ წარსულში მზე ცაზე უსაქმურ მაწანწალასავით დაეხეტებოდა, თანაც ისე სწრაფად, რომ ადამიანები დღისით საჭმლის მომზადებასაც ვერ ასწრებდნენ. მაგრამ გამოჩნდა უმამაცესი გმირი მაუი, რომელმაც გამოიგონა მონადირის ხელშუბი და სათევზაო ანკესი. მიწისქვეშეთის (ქვესკნელის) ღმერთს მოსტაცა ცეცხლი, მოიშინაურა ძალლი, რომელსაც დაარქვა იარავარი. ერთ დღეს მაუიმ გადაწყვიტა დაემორჩილებინა ფრთამალი მზე. მან ადამიანის თმისაგან დაამზადა ქამანდი და სტყორცნა მზეს. მასათობი შეეცადა თავი დაეღწია მარყუჯისავან, მაგრამ ამაოდ. მაუიმ აიძულა მზე ემოძრავა უფრო ნელა, ვიდრე წინათ და დღეც გახანგრძლივდა. ამის გამო პოლინეზიელებმა მაუი მზის ღმერთად აღიარეს. „მას ჰყოლია დაი — სინა, მთვარის ქალღმერთი. საინტერესო დამთხვევაა: ბაბილონელთა მთვარის ღმერთსაც სინ ერქვა... პოლინეზიური მითების მაუი ბერძენთა პრომეთეს მოგვაგონებს“ (9, გვ. 144), რადგან მაუი, ისევე როგორც პრომეთე, ადამიანების მხარეზე დგას და მათ ინტერესებს იცავს, თანაც, როგორც პრომეთემ, მაუიმაც მოსტაცა ცეცხლი ღმერთს.

პოლინეზიელები ამ მითით ქებას ასხამდნენ ადამიანის ძლიერებას, რომელმაც გაიმარჯვა ბუნებაზე, ხოლო მზეს არც თუ ისე დიდი პატივისცემით იხსენიებენ.

როგორც ლ. ზაიდლერი წერს: „კუნძულ რაიატეაზე მაუი არის მზის ღვთაების — რას (საოცრად ემთხვევა ეგვიპტელთა მზის ღვთაების — რას სახელს) და პირმშვენიერი კუნძულელი ასულის უახეის (თუ უის) ძე“ (9, გვ. 144), ხოლო „ინკების ოფიციალური წინაპარნი იყვნენ ინთი (მზე) და მისი ცოლი — კილა (მთვარე). თუმცამდ უმთავრეს ღვთაებად სამყაროს შემომქმედი ვირა კიჩა ითვლებოდა... ვირა კიჩამ ქვისაგან კაცნი გამოკვეთა, მათ სიცოცხლე მიუბოძა და ტიტიკაკას ტბის სანახებში დასახლა, რის შემდეგაც მზე და მთვარე შექმნა“ (9, გვ. 136). ამრიგად, ინკების მითოლოგიითაც მზე და მთვარე მეორეხარისხოვანი ღმერთები არიან, მათზე ძლიერი ღვთაება ვირა კიჩაა. მაგრამ მოგვიანებით ინკებისათვის ინთი (მზე) ერთ-ერთი უძლიერესი ღვთაება ხდება, ამიტომაც იყო, რომ ინკების ქალაქ კუსკოს, რაც „დედამიწის ჭიპს“ ნიშნავდა, ამშვენებდა მზის ყველაზე დიდებული ტაძარი, ე. წ. „ოქროს ადგილი“. საკურთხევლის დასავლეთ კედელზე უზარმაზარი კარის წინ კაშკაშებდა ოქროს დისკო ადამიანის

გამოსახულებით. ხატიდან არეკლილი ამომავალი მზის სხივები მთელ  
ტაძარს ანათებდა, ხოლო მკრთალი სინათლე შარავანდს ჰელინდა მთვა-  
რეს — მზის დისა და მეუღლის ვერცხლისფერ გამოსახულებას კმრი-  
ვად, ინკების მსოფლმცედველობით, მთვარე მზისაგან იღებს. სინათ-  
ლეს, თანაც მზე მამრია, მთვარე კი — მდედრი.

ძველ რუსეთში თაყვანს სცემდნენ ცის მზრძნებელს სვაროვს და  
მის ვაჟს — მზის ნათელ სულს — სამართლიანობა-ჭეშმარიტების  
მფარველსა და უსამართლობა-იუცრუის მტერს.

ჩინელები უძველეს ხანაში აღმერთებდნენ ცას და მის ორ  
თვალს — მზეს და მთვარეს. მზე ხომ დღისით დაპყურებს ქვეყანას,  
მთვარე კი — ღამით.

ჩეხური თქმულებით მზე ოქროსფერომიანი ყოვლისმცოდნე  
ღვთაებაა, იგი ყველაფერს ხედავს, მის მახვილ მზერას არაფერი გა-  
მოეპარება ხოლმე. თითქმის ასეთივე თქმულება აქვთ შეთხზული  
სპარსელებს.

სპარსელები თაყვანს სცემდნენ მზის ღმერთს მიტრას. თქმულე-  
ბით, იგი გამოქვაბულში დაიბადა. პირველად მას მწყემსებმა სცეს  
თაყვანი. სპარსული მითოლოგიით მიტრას, ისე როგორც ყველა „წე-  
სიერ“ ღვთაებას, ათასი თვალი და ყური აქვს, იგი ყველაფერს ხე-  
დავს და ყველაფერს ისმენს. მან იცის ყოველივე: არც წარსული და  
არც მომავალი არ გამოეპარება მის ყოვლისმცვერეტელ თვალს. როცა  
დადგება ქვეყნის დასასრული, ცოდვილ მიწაზე, კვლავ დაეშვება ყოვ-  
ლისმხილველი და ყოვლისმცოდნე მიტრა, რათა ქმნას მყარი სამარ-  
თალი ცოცხლებსა და მკვდრებზე, ,რომ ეს იქნება უკანასკნელი სამს-  
ჯაგრო: დამნაშავენი სასტიკ მისაგებელს მიიღებენ. შემდეგ კი მზის  
ასტროლოგიური ასახვა გადადის მზის ასტრონომიულ ასახვაში, მითი  
განაგრძობს: შემოდგომით მზე ჰორიზონტზე სულ უფრო დაბლა იქნევს,  
ღამე იმატებს, წყვდიადის ბოროტი სულები ცდილობენ დაამარცხონ  
ნათელი მიტრა. მაგრამ ფუჭია მათი ხრიკები და ოინები: დადგება  
ზამთრის მზებუდობა და დღე ისევ გადიდება, გაიფარება წყვდია-  
დის ძალები.

მზის ზამთრისკენ „მობრუნებას“ (იულიუსის კალენდრით 25 დე-  
კემბერი) სპარსელები ზეიმობდნენ მიტრას დაბადების დღეს. ქრის-  
ტიანებიც, ამ ღმერთის თაყვანისმცემლებთან ერთად, მართავდნენ  
მზის დღესასწაულს. ასე დაემთხვა ქრისტეშობა 25 დეკემბერს.

ბერძნულ მითოლოგიაში ჰელიოსი — მზე განლდათ ტიტან ჰი-  
პერიონისა და თეიას ვაჟი, სელენესისა (მთვარე) და ეიოსის ძმა. ამ-  
ზო

რიგად, ბერძნულ მითოლოგიაში მზე მამრია. ჰელიოსი სიბრმავისა და სინათლის ღვთაება იყო. იგი ყოველდღიურად აღმოსავლეთიდან მთ-ბრძანდებოდა ეტლით, რომელშიც შებმული იყო ცეცხლისმფრქვევებული ცენები და საღამოს დასავლეთით ეშვებოდა ოკეანეში. ღმმით ჰელიოსი დედამიწას შემოუვლიდა ნავით და დილით კვლავ აღმოსავლეთიდან ამობრწყინდებოდა.

ხელოვნებაში ჰელიოსი გამოისახებოდა ეტლში მჯდომარე, თავზე ნათლის გვირგვინიან, ან მზის დისკოდადგმულ მამაკაცად. ზოგ გამოსახულებაში კი ეტლში ფეხზე დგას, ერთ ხელში მათრახი უჭირავს, მეორეში კი დედამიწის სფერო. ამრიგად, საბერძნეთში ჰელიოსი არც თუ ისე ძლიერი ღმერთია ხოლო მის შესახებ შეთხზული მითის შინაარსი გულუბრყვილოდ ასახავს მზის ბუნებრივ მოვლენებს — მზის აღმოსავლეთიდან ამოსვლას და დასავლეთით ჩასვლას. ალბათ, ეს იმიტომ, რომ ბერძნულ მითოლოგიაში მზეზე ძლიერი ღმერთებიც არსებობდნენ, მათ შორის ყველაზე ძლიერი კი გახლდათ ჰექა-ქუნილის ღმერთი — ზევსი.

სულ სხვა მდგომარეობა გახლდათ ეგვიპტეში. ეგვიპტე დაყოფილი იყო ტერიტორიასთან თემებად — ნომებად, ნომთა რაოდენობა 40-მდე აღწევდა. ყოველ ნომს ჰქონდა ცენტრალური საკურთხეველი იმ ღმერთისა, რომელსაც ნომინალურად მთელი ნომის ტერიტორია ეკუთვნოდა. და რაღაც ნომთა რაოდენობა 40-მდე აღწევდა, არ იყო არც ერთი ისეთი ცხოველი, რომელსაც თაყვანს არ სცემდნენ ღმერთის სახით, დაწყებული ლომით და დამთავრებული თაგვით, მაგრამ ეგვიპტის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა ჰელიოპოლი, სადაც თაყვანს სცემდნენ მზის ღმერთ რას; ქ. აბიდოში — ღმერთ ოზირისს, რომელიც „კვდებოდა და ცოცხლდებოდა“.

როგორც ვხედავთ, ეგვიპტეში პოლიტეიზმს (მრავალღმერთიანობას) ჰქონია ადგილი და ცხოველთა კულტი — ტოტემიზმი უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე ბაბილონში, სადაც ღმერთთა უმრავლესობა ასტრალური ბუნებისა იყო.

ქვ. წ. 1780 წელს ეგვიპტეში ამბოხებამ იფეოქა, ამით დასუსტებული ეგვიპტე აღმოსავლეთიდან მოსულმა მომთაბარე ჰიქსოსებმა ძვ. წ. 1700 წელს ადვილად დაიძყრო. ჰიქსოსებმა სატახტო ქალაქი აღიარეს ნილოსის შესართავის აღმოსავლეთით მდებარე ქალაქი ავარისი გამოაცხადეს.

დიდი ბრძოლების შემდეგ ეგვიპტელებმა განდევნეს ჰიქსოსები და როცა ეხნატონი (მეფობდა 1365—1358) ეგვიპტის ფარაონი

გახდა, დაგმო ძველი სარწმუნოება — მრავალმერთიანობა და ერთადერთ ღმერთად გამოაცხადა ატონი — შზის ოქროს დისკო. ეს მაინც და მაინც ახალი ამბავი არ იყო, რადგან სხვა ღმერთებთნ ერთად ეგვიპტეში თაყვანს სცემდნენ ღმერთსაც, რომელსაც უწოდებდნენ რას, ამონს და ა. შ. მაგრამ ახლა ფარაონმა იგი არა მთავარ, არამედ ერთადერთ ღმერთად აღიარა. მხოლოდ მისთვის აშენებდნენ ახლა ტაძრებს და მხოლოდ მას სწირავდნენ მდიდრულ და დიდალ მსხვერპლს, ძვირფას საჩუქრებს, სხვა ღმერთებს კი ივიწყებდნენ. ფარაონმა თავისი სახელიც კი ამენხოტებ (ამონი კმაყოფილია) შეცვალა ენატონით (ატონის სასურველი) და თებედან სატახტო ქალაქი ახალ, საგანგებოდ აგებულ უზარმაზარ ქალაქ ახეტატონში (ატონის ჰორიზონტი) გადაიტანა (ახლანდელი თელ-ამარნი).

ერთადერთი ღმერთი, ცის მზე, კიდევ უფრო განადიდებდა თავის ერთადერთ შვილს „მიწის მზეს“ — ფარაონს, უდიდესი სახელმწიფოს მძრდანებელს. მის სადიდებლად იწერებოდა ჰიმნები. ერთ-ერთი ჰიმნი გვაუწყებს: „მშენერია შენი ამოსვლა, ო, ატონ, საუკუნეთა მეუფევ, შენ შუქ-მფინარი ზარ, მშვენიერი, ძლიერი, სიყვარული შენი დაიდი და განდიდებულია, შენი სხივები მთელ კაცობრიობას ეფინებიან... ღმერთო წმინდავ, რომელმაც თავის თავი თვითონ შეჰქმენი, შეჰქმენი ყველა ქვეყანა და ყველაფერი, რაც ამ ქვეყნად არის, ყველა ადამიანი, ჯოგები, თხები, ხეები; ისინი ცოცხლობენ, როდესაც შენ მათ უნათებ. შენ დედ-მამა ზარ იმათი, რომელთა თვალები შენ შეჰქმენი... შენ ასხივოსნებ მთელ ქვეყანას, ყველა გული ზარობს შენს დანახვაზე, როდესაც შენ ამოდიხარ როგორც მათი მეუფე“ (22, გვ. 80—81).

ატონი — მზე ეგვიპტეში აღიარებულ იქნა რა ყველაზე საპატივ-ცემლო და ერთადერთ ღვთაებად, იგი გახდა ქურუმებისა და მეფის დინასტიის ძირითადი იდეოლოგიური დასაყრდენი, ამიტომაც იყო, რომ ღვთიურ მნათობს სწირავდნენ აურაცხელ საგანძურს, უთვალავ ფარას და ჯოგს, ნაყოფიერ მიწებს, რაც, რა თქმა უნდა, ქურუმებისა და ფარაონის მფლობელობაში გადადიოდა.

ატონი ხელოვნებაში ასახული იყო, როგორც მზის დისკო. იგი გამოჰუნდა სხივებს, რომლებიც ბოლოვდებოდა ხელებით და მეფე ენატონს სიცოცხლის სიმბოლოს აწვდიდა. ამრიგად, ეგვიპტის სინამდვილეში მზე მდედრიც არის და მამრიც, იგი ქვეყნიერების დედმამაა.

პოლითეიზმი დამახასიათებელი იყო ბაბილონისთვისაც, მაგრამ უგვიპტური პოლითეიზმისაგან განსხვავებით ბაბილონის ღმერთები ასტრალური ხასიათისანი იყვნენ. მაგალითად, ქ. ნიპურში იმპერიას სცემდნენ დედამიწის ღმერთს ენლილს და იგი გახლდათ მფარველი ყველა იმისა, რაც კი დედამიწაზე არსებობდა: ქ. ურუქში ღმერთ ანუსცისა და ცის მნათობთა უფალს და ქალღმერთ იშთარს (ვენერას) — ვარსკვლავთა ცის დედოფალს, სილამაზის, სიყვარულის, ნაყოფიერების ღმერთს; ქ. აქადში — შამაში (მზეს) — მართლმასჯულობის მფარველ ღმერთს; ქ. ურში — სინს (მთვარეს) — ქვეყნის მაცოცხლებელ და სიყვარულის შემწე ღმერთს; ქ. ბაბილონში — მარუქს (იუპიტერს) — მწიგნობარს, უზენაეს, ყოვლისშემძლე ღმერთს. მოვგიანებით ბაბილონის მთავარ ღმერთს. ქ. ბორსპეში — ნაბუს (მერკურს) — ჭკუის, დამწერლობის, სიბრძნის, მოხერხებისა და ბედის გამგებლის ღმერთს. ქ. ლაგაშში — ნინიბს (სატურნს) — ძლიერებისა და ოღბლიანი ომის ღმერთს. ნერგალს (მარსს) — ომის, ხანძრისა და ქვესკენელის ღმერთს. ძველ ზღვისპირა ქალაქ ერიდუში — ეას — სიცოცხლისა და დიდების, სიბრძნისა და წყლის ღმერთს.

თუ ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთები ოლიმპოს მთაზე იმყოფებოდნენ, იქ წყვეტდნენ ხალხისა და ცალკეული ინდივიდის სვებედს, ბაბილონისა და მისი შემოგარენის ღმერთები კოსმოსში ბჟობენ. ამის შესახებ თიხის ერთ-ერთ ფილაზე გაკეთებულ წარწერაში ნათქვამია: „შუმერო, დიდო ქვეყანავ, კოსმიურო მხარევ, მაღლიანი შუქით გარემონცულ! შენ მიჰმაღლებ წესრიგს ხალხებს აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე. წესრიგი შენი უზენაესია, შეუბლალავი“ (13, გვ. 4), ხოლო აშურის მეფე ადად-ნირარი II ასე აგვიშერს თავის გამეფების ამბავს: „დიდმა ღმერთებმა გადაწყვიტეს და კვერთი, ხალხის სამწყესავი, ხელთ ჩამაბარეს, გვირგვინოსან მეფეთა ზედა ამამაღლეს, სამეუფეო მელამი თავს დამახურეს“ (13, გვ. 92).

ბაბილონის მეფემ პამურაბმა (1792—1750 ძ. წ. აღ.) შექმნა ძლიერი ცენტრალიზირებული სახელმწიფო, რის შემდეგ ქალაქი ბაბილონი გახდა შუამდინარეთის პეგემონი, მანამდე უჩინო ღმერთი მარდუქი კი გახდა მთელი იმპერიის მთავარი ღმერთი, მაგრამ ეს თავისი ნებით კი არ მომხდარა, არამედ „შეიკრიბა უზენაესი საბჭო, ღმერთების ყრილობა, და ერთპიროვნულ მბრძანებლად ირჩევენ მარდუქს, შემოსავენ რა შეუვალი ავტორიტეტით... მას მიენიჭება ენლილობა, ზოგადშუმერული პანთეონის ჩელადის ღირსება“ (13, გვ. 86). მაგრამ შამაში — მზე არანაკლებ ასტრალური ღვთაებაა და მის სა-

დიდებლად იშერება მითები, პიმნები, მიმართვები. მაგალითად, როცა  
 ნაბუქოლონისორმა (604—567) შუამდინარეთის „კეისარმა“ ქ. სი-  
 პარში დაამთავრა ტაძრის აგება, მან ასეთი სიტყვებით ჩიმართა მხეს:  
 „შამაშ, დიდებულო მეუფევ, როდესაც შეხვალ ებარჩიუს გასხვოს-  
 ნებულ ტაძარში მხიარულებით, გადმოხედე ჩემს ნამუშაკევს და და  
 ბაგეთა შენთა წარმოთქვან ჩემთვის წყალობა“ (22. გვ. 157), ხოლო  
 შამაშის სადიდებლად შეთხულ ჰიმნში ნათქვამია: „ძლიერნი მთანი  
 სავს არიან შენი ბრწყინვით, შენი ნათელი აღავსებს მთელ ქვეყანას,  
 შენ ძალუმი ხარ მთებზე, განიხილავ დედამიწას, ჰკვებავ კიდევებზე  
 დედამიწას — საშუალ ცისა. შენ მგრძანებლობ მთელ მსოფლიოს  
 მცხოვრებლებზე, ყოველივეს, რაც შექმნა ეამ, მეფემ და მრჩეველმა,  
 შენ მწყესავ ყოველივე გაჩენილს: შენ ხარ მწყემსი ყველა მთიურისა  
 და ველისა... შენ ხარ მთელი მსოფლიოს მმართველი... შენ მუსრავ  
 იმის რქას, ვინც ბოროტს განიზრახავს. უსამართლო მოსამართლეს  
 შენ საპყრობილები ამწყვდევ, შენ სჯი სიკვდილით მას, ვინც ქრთამს  
 იღებს, ვინც არ იღებს მისაგებელს და ზრუნავს ჩაგრულთათვის, შა-  
 მაში მოწყალეა და დღენი მისნი განგრძობილ არიან. მოსამართლე,  
 რომელიც წარმოთქვამს სამართლიან განაჩენს, დაამთავრებს თავის  
 სასახლეს, მისი სამყოფელი იქნება თავადის სახლი... სუსტი შევიწრო-  
 ებული, გლახაი — შენ გლოცულობს. ორ, შამაშო შენ გევედრება  
 შიშით შეპყრობილი მგზავრი, მოგზაური დიდვაჭარი, ახალგაზრდა ვა-  
 ჭარი. ორ, შამაშო, შენ გევედრება მებადური ბადით, მონადირე, ყასა-  
 ბი, მენახირე, ....ორ, შამაშო, ყველა ესენი შენ გევედრებიან და შენ  
 არ უკუაგდებ მლოცველთა და ა. შ. (22, გვ. 118).

მართალია, ჩვენი შორეული წინაპრები ცის თაღზე არსებულ  
 პლანეტებს, მათ შორის მხეს, მთვარეს ღვთის ნახელვად თვლიდნენ,  
 მათზე ლოცულობდნენ, მათ სახელს ფიცავდნენ, მაგრამ იმ შორეულ  
 წარსულში, მოიძებნებოდნენ ისეთი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი  
 სწავლული — ქურუმებიც, რომლებიც დღენიადაგ იმის ძიებაში იყვ-  
 ნენ, თუ როგორ ჩაეყენებინათ ხალხის სამსახურში მთვარე მზე და  
 ვარსკვლავები. სწორედ ასეთი ქურუმ-სწავლულების მიერ იქნა შეს-  
 წავლილი მთვარის ფაზები და მათ მიერ დაგროვილი ცოდნის საფუძ-  
 ველზე კიდეც შემოიღეს ხმარებაში შვიდდღიანი კვირა, 28, 29, 30-  
 დღიანი თვე და მთვარისმიერი 12-თვიანი წელიწადი.

მოგვიანებით, ქურუმ-სწავლულები იმასაც ხვდებიან, რომ მზე  
 იძლევა საშუალებას დროის უფრო მცირე ერთეულები დადგინდეს,  
 მაგრამ ამისათვის საჭირო იყო შექმნილიყო რაღაც ხელსაწყო, ია-

რალი. მართლაც, 20—25 საუკუნის წინათ ჩვ. წ-მდე ბაბილონის ქუ-  
რუმ-ასტრონომები მიხვდნენ, მოედანზე ვერტიკალურად დაემაგრესები  
ბინათ ბოძი. ბოძს საათის ისრის მაგივრობას უწევდა ჩრდილი, ხოლო  
მექანიზმს წარმოადგენდა დედამიწის სფერო, რომელიც ბრუნავდა რა-  
თავის ლერძის გარშემო, ცის თაღზე ქმნიდა მზის ხილულ მოძრაობას.  
ბოძის გარშემო დროის გარკვეულ მონაკვეთში, გადაადგილებულ  
ჩრდილის ფიქსირებას ახდენდნენ პალოვებით ან ხაზებით. ბოძის ირ-  
გვლივ ან ექვსი პალო იყო ჩარჭობილი, ანდა ბოძის ფუძიდან, რო-  
გორც ცენტრიდან, გამომავალი ექვსი ხაზი. ერთი პალოდან მეორე  
პალომდე, ან ერთი ხაზიდან მეორე ხაზამდე განვლილ დროს „ნაბიჯი“  
ეწოდებოდა. ასე წარმოიშვა ციფერბლატი. ასე გამოიყენა ადამიანმა  
მზე დროის მცირე ერთეულების საზომ საშუალებად.

ძველმა ბერძნებმა, ისეთ ბოძს, რომელიც დროს უჩვენებდა,  
გნომონი — „მცოდნე“ უწოდეს.

ვერტიკალური გნომონი მოითხოვდა მიწის საკმაოდ დიდ ფარ-  
თობს თანაც ბოძის ვერტიკალურად აღმართვა არც თუ ისე აღვილი  
გახლდათ, არც მისი ციფერბლატი იყო მოხერხებული, ამიტომ მოგ-  
ვიანებით გამოგონებულ იქნა ჰორიზონტალური მზის საათი — გნო-  
მონი. ჰორიზონტალური გნომონი თითქმის იმავე პრინციპზეა აგებუ-  
ლი, როგორც ვერტიკალური გნომონი, მაგრამ მისი უპირატესობა  
ისაა, რომ იკავებს გაცილებით მცირე ფართობს და იგი შეიძლება  
დამზადებულ იქნას ნებისმიერი მასალისაგან. ამრიგად, პირველი ცდა  
ადამიანისა, მზე ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა, გამარჯვებით დამ-  
თვრდა.

მოგვიანებით, ძველ ჩინეთში, ეგვიპტეში, რომში ხმარებაში შე-  
მოღებულ იქნა მზისმიერი 12-თვიანი კალენდარი, რომელიც მაღლ  
გავრცელდა მთელ რიგ ქვეყნებში, ეს კი ადამიანის გონების მორიგი  
სამარჯვება გახლდათ ბუნებაზე, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

## ბაზილონური კალენდარი

ინგლისელმა ცოლ-ქმარმა ეკატერინა და ლეონარდ ვულებმა  
1922 წლიდან დაიწყეს მდ. ევფრატზე მდებარე ქ. ურის გათხრა და  
მთელ რიგ ძვირფასეულობასთან ერთად აღმოაჩინეს ე. წ. „მეფეთა  
სიებიც“. მეფეთა სიების თანახმად, შუმერთა ისტორია ადამიანის გა-

ჩენიდან იშვება და მათი მეფეები საოცრად დიდხანს ცოცხლობდნენ  
და მეფობდნენ; მაგალითად, მეფე ალულიმი ქ. ერიდუში „წარღვნამ-  
დე“ მეფობდა 28 800 წელიწადს, მეფე ალალგარი ამავე ქალაქში მე-  
ფობდა უფრო ხანგრძლივად — 36 000 წელიწადს და ა. შ.

ეს იძლობინდელი ქურუმების ფანტაზია, რომელსაც ახსნა არ  
მოეპოვებაო, — ამბობდნენ მეცნიერები. მაგრამ, თუ ლრმად ჩავწე-  
დებით შუამდინარეთის ქურუმების ჩანაფიქრს, ამოცანას ადვილად  
ამოვხსნით. შორეულ წარსულში შუამდინარეთში, რიცხვ 60-ს ისეთი  
ფართო გამოყენება ჰქონდა, რომ იგი აღიარებულ იქნა მაგიურ რი-  
ცხვად. ეს რიცხვი არა მარტო შუამდინარეთის უზენაესი ღვთაების  
ანუს — ცის მნათობთა უფლის — კოდური რიცხვი იყო, არამედ  
შუმერ მეფეთა კოდური რიცხვიც. ამიტომ უნდა ვაღიაროთ, რომ მე-  
ფე ალულიმს უმეფია  $28\ 800:60=480$  წელიწადი, ხოლო მეფე ალალ-  
გირს —  $36\ 000:60=600$  წელიწადი. მაგრამ ესეც ხომ დიდი რიცხვე-  
ბია! ამიტომ ჰეშმარიტებად უნდა ჩავთვალოთ, რომ შორეულ წარ-  
სულში, „წარღვნამდე“, შუამდინარეთში ჯერ კიდევ ხმარებაში არ იყო  
არც მთვარისა და არც მზის 12-თვიანი კალენდარული წელიწადი. წე-  
ლიწადად ითვლებოდა მთვარის ერთი ახალმთვარობიდან მეორე ახალ-  
მთვარობამდე გასული დროის მონაკვეთი, რაც დაახლოებით 30 დღე-  
ღამეს უდრის. დღე-ღამის ათვლას კი ბაბილონელები იშვებდნენ არა  
შუალამიდან, როგორც ჩვენში, არამედ საღამოდან, ამიტომ თვეც იშ-  
ვებოდა იმ დღის საღამოდან, როცა მზის ჩასვლის შემდეგ პირველად  
გამოჩნდებოდა ნამგალა მთვარის ვიწრო ზოლი.

ამრიგად, შუმერები წელიწადად მთვარის ერთი სრული მოქცე-  
ვის 30-დღიან პერიოდს იყენებდნენ; შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ,  
რომ მეფე ალულიმს უმეფია  $480:12=40$ , ხოლო მეფე ალალგარს  
 $600:12=50$  მზის წელიწადი, რაც ჰეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს (12, გვ. 47).

ჩვენი აზრით, მთვარის 30-დღიანი კალენდარული წელიწადი  
ადამიანის ისტორიის იმ ადრეულ პერიოდს ეკუთვნის, როცა იგი ნა-  
წილობრივ მაინც ბუნების წყალობით არსებობდა. მაგრამ შემდეგ ადა-  
მიანმა გადაწყვიტა თავისი გაზრებული შრომით უკეთ მოეწყო ცხოვ-  
რება. განვითარდა მეცხოველეობა და მიწათმოქმედება. მართლაც,  
მოგვიანებით შუმერებმა გამოიგონეს გუთანი, წერაქვი, ბარი და სხვა  
სასოფლო-სამეურნეო იარაღები, სწავლობდნენ საირიგაციო და სამე-  
ლიორაციო საქმიანობას, აკვირდებოდნენ მდინარეებს ტიგროსსა და  
ევფრატს და რწმუნდებოდნენ, რომ მათი ერთი წყალდიდობიდან მე-

ორე წყალდიდობამდე დაახლოებით გადის 12 ანალი მთვარე. ეს ის პერიოდია, როცა ქურუმ-ასტრონომებმა ისიც დაადგინეს, რომ ერთ-ერთ ახალმთვარეობიდან მეორე ახალმთვარეობამდე გაივლის არა 30, არა 29, მედ 29, 5 დღე. ამიტომ შემოიღეს მთვარის 12-თვიანი კალენდარული წელიწადი. წელიწადის ლურ აღგილზე მდგომი 6 თვე იყო 29, ხოლო წელიწადის კენტ აღგილზე მდგომი 6 თვე 30-დღიანი, წელიწადი კი შეიცავდა 354 დღე-ღამეს ( $29 \times 6 + 30 \times 6 = 354$ ). თვეებს ასეთი სახელწოდებები ჰქონდა:

1. ნისანუ (მარტი-აპრილი), 2. იარუ (აპრილი-მაისი), 3. სივანუ (მაისი-ივნისი), 4. თამუზუ (ივნისი-ივლისი), 5. აბუ (ივლისი-აგვისტო), 6. ულულუ (აგვისტო-სექტემბერი), 7. თიშრითუ (სექტემბერი-ოქტომბერი), 8. ვარახსამნუ (ოქტომბერი-ნოემბერი), 9. ქისლიმუ (ნოემბერი-დეკემბერი), 10. თებეთუ (დეკემბერი-იანვარი), 11. შაბათუ (იანვარი-თებერვალი), 12. აღარუ (თებერვალი-მარტი).

უ შუმერულ-აქადური მთვარის კალენდრით ყოველი წელიწადი იწყებოდა ნისანუს თვით. ეს ის თვე იყო, როცა თვის პირველი რიცხვებიდან მდ. ტიგროსის წყლით ავსება უნდა დაწყებულიყო. მაგრამ ზოგჯერ მთვარის წელიწადის ერთი ციკლის გასვლის შემდეგაც კი მდ. ტიგროსი არ ადიდებოდა ხოლმე. კალენდარული წლის პირველი თვის ნისანუს ზუსტად განსაზღვრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სოფლის მეურნეობის სამუშაოების დროულად შესრულებისათვის.

ქურუმ-ასტრონომები მიხვდნენ რომ მთვარის კალენდარი უფრო მოკლეა, ვიდრე ტიგროსის ერთი წყალდიდობიდან მეორე წყალდიდობამდე გასული დროის მონაკვეთი; მათ ისიც დაადგინეს, თუ რამდენი დღითაა მოკლე მთვარის კალენდარი და გადაწყვიტეს თერთმეტი დღით დროის „შეჩერება“, ამას კი საოცარი რელიგიური რიტუალის შეთხევა მოჰყვა.

გაივლიდა თუ არა მთვარის წელიწადის 354 დღე-ღამე, მთელ ბაბილონეთში იწყებოდა მარდუქისადმი მიძღვნილი რელიგიური დღე-სასწაული.

მარდუქი, მათი რწმენით, ღმერთების საბჭოს მიერ არჩეული მთავარი ღმერთია. იგი მთვარის წელიწადის გასვლის შემდეგ განსაცდელშია ჩავარდნილი და ამიტომაც ჯიუტობს ტიგროსი, არ იწყებს აღიდებას. ბაბილონეთში წყდება ყოველი საქმიანობა, რადგან მაშინდელი ქურუმებისა და ხალხის რწმენით, თიამათმა (ქვესქნელმა) შთანთქა მარდუქი. იგი თიამათის წიაღში იმყოფება, ყველას მაგივრად წა-  
2. გ. კოალეიშვილი

ვიდა იქ, რათა იხსნას ქვეყანა საყოველთაო შთანთქმისაგან, ფამარცხოს თიამათის ძალები და ქვეყნის მიანიჭოს.

ქურუმები პირველ დღეებში სიცოცხლებდნენ ე. წ. მონანიების რიტუალს, ხალხი კი დასტიროდა ღმერთ მარდუქს. ეს დატირება ოთხ დღეს გრძელდებოდა.

მეოთხე დღეს, საღამოს ქურუმები მღეროდნენ „ენუმა ელიშ“ — „შემოქმედის ჰიმნს“. ენუმა ელიშის ეპოსის მიხედვით, ბაბილონელებს ძიახნდათ, რომ წყალი ორბუნებოვანია: ერთი წარმოადგენს მტკნარი ოკეანის — აპსუს სუსტანციას, მეორე — თიამათისას, რომელიც მღლაშე წყალს აგროვებს თავის წილში; თანაც მტკნარი წყალი — ასუ — მარია, მღლაშე თიამათი — მდედრი. მეოთხე დღეს მათ შორის იწყება წყალთა შერევა — წყალთა შორის ბრძოლა.

მეცუთე დღეს მეფე შედიოდა მარდუქის ტაძარში და ქურუმთა შურუმი მას ჩამოართმევდა ყველა რეგალიას, გააწინავდა სილას და აუწევდა ყურს. ამ მომენტიდან მეფე ხდებოდა რიგითი ერისკაცი. უფლებააყრილ მეფეს უმაღლესი ქურუმი კვლავ დაუბრუნებდა ყველა რეგალიას იმ პირობით, თუ მარდუქი გაადიდებდა მის სამფლობელოს. მეფე თამაშობდა მარდუქის როლს და ფიცს დებდა, რომ აღასრულებდა ქურუმთქურუმის ნებას.

მეექვსე დღეს სამეფოს სხვადასხვა ქალაქიდან ბაბილონში ჩამოჰკონდათ თავისი ქალაქის მფარველი ღმერთის ან ქალღმერთის ქანდაკება და იკრიბებოდნენ აქითუს სახლთან, საიდანაც წინა დღეებში ხომალდით ჩამოასვენეს მარდუქის ქანდაკება. დელეგატების მიზანი იყო, დასწრებოდნენ „უფლის ძლევით გამოსვლას თიამათის მუცლიდან, ანუ მის მეორედ შობას“ (52, გვ. 82—84).

მეშვიდე დღეს მარდუქს თავისი შვილი ნაბუ — ღმერთი ქ. ნიფურისა — (თავისი სიდიდით ქ. ბაბილონის შემდეგ მეორე ქალაქი) რაღაც მანქანებით ათავისუფლებდა.

მერვე დღეს ტაძრის იმ ნაწილში, რომელსაც „ღმერთების შეხვედრის ადგილი“ ეწოდებოდა მეფის მეთვალყურეობით სიძლიერის მიხედვით განალაგებდნენ ღმერთების ქანდაკებებს. აქ ღმერთები თავიანთ მფარველად ირჩევდნენ მარდუქს, ე. ი. ბაბილონეთის მეფეს. ამის შემდეგ სრულდებოდა მარდუქისა და თიამათის ბრძოლის ამსახველი რიტუალი. თიამათის როლს ასრულებდა დამნაშავე პიროვნება, რომელსაც მისჯილი ჰქონდა სიკვდილი. იგი მარდუქს მიმართავდა უშვერი სიტყვებით, მარდუქი კი მას უკიუინებდა, რომ იგი განუდგა ღმერთს. სიტყვიერი შებრძოლების შემდეგ იწყებოდა ნამდვილი

ბრძოლა. თიხის ერთ-ერთი ფირფიტა მარდუქისა და თიამათის ბრძოლის შესახებ ასე მოგვითხრობს: „თიამათი და ღმერთების ბელაფი ერთმანეთს ეკვეთებიან საბრძოლველად და საომრად. მეფე ჰაშლის თავის ბადეს, იჭერს თიამათს და მის წინააღმდეგ უშვებს ძლიერ ქარს. როცა თიამათი პირს დააღებს მარდუქის ჩასაყლაპავად, მარდუქი მის პირში შეუშვებს გრიგალს, ისეთ ძლიერ გრიგალს, რომ ვერ შეძლოს პირის მოკუმვა და ქარები ავსებს და გუდავს მის სხეულს“ (27, გვ. 115).

მეცხრე დღეს მეფე და ქურუმები მიუძღვებოდნენ სადღესასწაულო პროცესის, რომელსაც ქალაქებით მდებარე საზეიმოდ მორთულ დარბაზში მიჰქონდათ ყველა ღმერთის ქანდაკება; იქ საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ მარდუქმა მოსპონ ყველა მისი მტერი.

მეათე დღეს მარდუქის ამ გამარჯვებას საზეიმო დარბაზში აღნიშნავდნენ დიდი ნადიმით; საღამოს პროცესია ბრუნდებოდა ქალაქში და ხდებოდა ღმერთისა და ქალღმერთის შეუღლება.

მეთერთმეტე დღეს იმართებოდა ქანდაკებების სახით წარმოდგენილ ღმერთთა მეორე კრება. კრებაზე ღმერთები განსაზღვრავდნენ ახალი წლის ბედს. ჩვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქურუმები აღგენდნენ ქვეყნის სამუშაო გეგმას ერთი წლის ვადით.

მეთერთმეტე დღიდან იწყებოდა ხენა-თესვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ქალაქი უბრუნდებოდა თავის ყოველდღიურ ცხოვრებას. შუამდინარეთის ხალხი კალენდარულ ახალ წელს ხვდებოდა შრომა-გარჯით და არა ნადიმებით.

ამრიგად, შუამდინარეთის ქურუმებმა თერთმეტი დღე მოხერხებულად გამოიყენეს საკუთარი რელიგიური მიზნებისათვის, თანაცმთვარის 12-თვაანი წელიწადი ნაწილობრივ მიუსადაგეს მზის წელიწადს (354 + 11 = 365).

შორეულ წარსულში შუამდინარეთის ქურუმები იცნობდნენ შვიდ პლანეტას და სწამდათ, რომ ყოველი პლანეტა ღვთაებაა, განაგებს და მფარველობს თავის დღეს, და მოიგონეს ღროვის უფრო მცირე საზომი ერთეული — შვიდდღიანი კვირა. მათ შვიდდღიანი კვირა მთვარის ფაზებს დაუკავშირეს და, რადგან ყოველ შვიდ დღეში მთვარე ერთი ფაზიდან მეორეში გადადიოდა, თვის 7, 14, 21, 28 რიცხვებში თავს იკავებდნენ ყოველგვარი საქმიანობისაგან.

კვირა იყო შამაშის (მზის) დღე, ორშაბათი — სინის (მთვარის), სამშაბათი — ნერგალის (მარსის), ოთხშაბათი — ნაბუს (მერკურის),

ხუთშაბათი — მარდუქის (იუპიტერის), პარასკევი — იშთარის (ვენერას), შაბათი კი — ნინიბის (სატურნის) დღე.

მთვარის კალენდარი არ მოიხოვდა ასტრონომიის დღიდანდან, რადგან იგი ემყარებოდა მთვარეზე უბრალო დაკირვებას. მდგრად, მთვარის კალენდრის შემოღება და მისი კალენდარული წელიწადის თერთმეტი დღით „შეჩერება“ შუამდინარეთის ისტორიის უძველეს პერიოდს მიეკუთვნება. მოგვიანო პერიოდში კი, როცა მთელი ძალა-უფლება თავმოყრილ იქნა ერთი მეფის ხელში და სოფლის მეურნეობის განვითარება საერთო სახელმწიფობრივ საქმედ იქცა, შემოღებულ იქნა მთვარის უწყვეტი კალენდარული წელიწადი მე-13 თვის დართებით.

ქურუმები იძულებული იყვნენ კალენდრისათვის დროდადრო და-ემატებინათ მე-13 თვე, არ ივიწყებდნენ „ენჯუმა ელიშის“ რიტუალსაც, მაგრამ მათ შორის დავს ის იწვევდა, თუ როდის დაემატებინათ კალენდრისათვის მე-13 თვე. ალბათ, აქედან წარმოიშვა რიცხვი 13-ის პვიმატობის ცნებაც.

ძვ. წელთაღრიცხვის XVIII საუკუნეში, ჰამურაბის მეფობის ხა-ნაში (1792—1750) შუმერულ-აქადური კალენდარი უნიფიცირებულ იქნა და მე-13 თვის დამატება რომელიმე ქურუმის ნება კი არ იყო, არამედ მეფე ჰამურაბისა. ჰამურაბი დროდადრო გამოსცემდა დევ-რეტს: „ამ წელს აქვს დამატებითი თვე, მომავალი თვე, დაე, იწოდებოდეს ულულუ მეორედ“ (47, გვ. 285).

მოგვიანო პერიოდში ქალდეები ქურუმები მიხვდნენ, რომ მთვარის კალენდარული წელიწადისათვის მე-13 თვის დამატება არ იძლეოდა სათანადო შედეგს, რადგან ტიგროსის წყალდიდობა ხანდა-ხან მაინც არ იწყებოდა ნისანუს თვის პირველ რიცხვებში. ეს იმი-ტომ ხდებოდა, რომ ქურუმ-ასტრონომებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ რამდენ ხანს გრძელდებოდა მზის ჭეშმარიტი წელიწადი. ამიტომ იყო, რომ ქურუმ-ასტრონომებმა მთელი ყურადღება მზის ხილულ მოძრა-ობაზე გადაიტანეს და შენიშნეს, რომ გაზაფხულის დღელამტოლობის დღეს მზე დედამიწის თავზე აკეთებს 180 „ნაბიჯს“, რომ მზის ყოვე-ლი „ნაბიჯი“ მზის ორ დიამეტრს უდრის. ამდენივე ნაბიჯს აკეთებს იგი ერთ ღამეში დედამიწის მეორე მხარეს, ხოლო დღე-ღამეში აკე-თებს 360 „ნაბიჯს“. მათ აკრეთვე შენიშნეს, რომ მზე თავისი წლიური მოძრაობისას ეკლიპტიკის გზაზე 12 თანავარსკვლავებს, ანუ, რო-გორც მათ მოგვიანებით შეაქნებმა უწოდეს, 12 ზოდიაქოს გაიღლის, ამიტომ მზის კალენდარული იდეა ზოდიაქოს ნიშნებსაც დაუკავშირეს.

ქურუმ-ასტრონომებმა ეს აღმოჩენა ღვთაებას მიაწერეს და თან  
დაასკვნეს, რომ თვით ღმერთს სურს წელიწადში ზუსტად 360 დღე-  
ღამე იყოს და კვიმატი რიცხვი 13 თავიდან მოგვაშოროსო და გადაუ-  
წყვიტეს წელიწადში 360 დღე-ღამე ყოფილიყო. მზის კალენდარში,  
როგორც წინათ მთვარის კალენდარში, 12 თვე დატოვეს, ხოლო ყოვე-  
ლი თვე 30-დღიანი გახადეს. სწორედ ამ ეპოქაში იქნა შემუშავებული.  
დროის საზომად უფრო მცირე ერთეულები. კერძოდ, დღე-ღამის 12  
ტოლ ნაწილად, ე. ი. 12 საათად დაყოფა, საათის — 30 წუთად; მა-  
შასაღამე, მათი ერთი საათი თანამედროვე საათთან შედარებით 2-ჯერ  
დიდი იყო, ხოლო ერთი — 4-ჯერ დიდი.

გავიდა დრო და „ღვთის ნაბიჯებზე“ დაყრდნობით გაანგარიშე-  
ბულმა მზის კალენდარმა არ გაამართლა, რადგან ნისანუს თვის პირ-  
ველი რიცხვებიდან მდ. ტიგროსი არ ადიდდა. ქურუმები სასოწარკვე-  
თილებას მიეცნენ: მათ ჯერ არ იცოდნენ, რომ მზე ეკლიპტიკას დაახ-  
ლოებით 365, 25 დღე-ღამეში გაიღლის; მხოლოდ ძვ. წელთაღრიცხვის VI  
საუკუნეში ქალდეველმა ქურუმ-ასტრონომებმა დაადგინეს, რომ  
მთვარის კალენდარი 11,25 დღე-ღამით ნაკლები იყო, ვიდრე მზის  
ჰეშმარიტი წელიწადი; მათ გადაწყვიტეს მთვარის კალენდარი მიესა-  
დაგებინათ მზის ჰეშმარიტი კალენდრისათვის და გამოსავალიც იპო-  
ვეს. რადგან 8 წლის განმავლობაში მთვარის კალენდარი მზის კალენ-  
დარს 90 დღე-ღამით ჩამორჩებოდა ( $11, 25 \times 8 = 90$ ), შემოიღეს 8-  
წლიანი ციკლი, საღაც II, V და VIII წლებს უმატებდნენ მთვარის  
მე-13 თვეს. ამრიგად, მზე-მთვარის 8 კალენდარული წელიწადი შეი-  
ცავდა 99 თვეს, ანუ 2 922 დღე-ღამეს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც რვა  
მზის წელიწადში 365, 25 დღე-ღამე თითოეულ წელიწადში ( $2 922:8 = 365, 25$ ). ქალდეურ ბაბილონეთში 8-წლიან ციკლს იყენებდნენ ძვ.  
წელთაღრიცხვის VI—IV საუკუნეებში. დაახლოებით ძვ. წელთაღრი-  
ცხვის 380 წელს ბაბილონეთში შემოღებულ იქნა ე. წ. მეტონის 19-  
წლიანი ციკლი. აღნიშნული ციკლის თანახმად III, VI, VIII, XI,  
XIV, XVII, XIX წლებს, ე. ი. ციკლის 7 წელიწადს, უმატებდნენ  
მე-13 თვეს. ამჯერად მზე-მთვარის წელიწადი იწყებოდა გაზაფხულის  
დღედღმტოლობის პირველი ახალმთვარობიდან, ე. ი. 22 მარტიდან  
20 აპრილამდე გრიგოლის კალენდრის მიხედვით.

ამრიგად, შუამდინარეთის ქურუმ-ასტრონომებს ათეული საუკუ-  
ნები დასჭირდათ, რათა დაედგინათ ჰეშმარიტება და შეექმნათ ასე  
თუ ისე მათთვის გარეისი კალენდარი.

ბაბილონელ ქურუმ-ასტრონომების უდიდეს მიღწევად უნდა ჩაი-

თვალის ე. წ. „საროსის“ ოღმოჩენა. საროსი ეს არის დროის ის შუალედი, რომლის გასკლის შემდეგ კვლავ მეორდება მზისა და მთვარის დაბნელება. იგი დახლოებით უღრის  $6585\frac{1}{3}$  დღე-ლამზე — თითქმის ასეთივე ხანგრძლივობისაა 223 სინოდური თვე (6585, 321 დღე). ამიტომ მათ შორის ერთი დღის სხვაობას ადგილი აქვს 1500 წლის განშევლობაში. ანტიკური სახერძეთის ისტორიკოსის დიოდორ სიცილიელის (ძვ. წ. I საუკუნე) ცნობით, ბაბილონელები საროსის დახმარებით წინასწარმეტყველებინენ მზის დაბნელებას. ასევე ცნობილია, რომ ცნობილმა ბერძენმა სწავლულმა თალეს მიღეთელმა, საროსის წყალობით, ძვ. წელთაღრიცხვის 585 წლის 28 მაისს იწინასწარმეტყველა მცირე აზიაში მზის დაბნელება.

ბაბილონელები ისტორიული მოვლენების დათარიღებას აწარმოვბდნენ ამა თუ იმ მეფის ტახტზე ასკლის მომენტიდან. ალექსანდრიელმა ასტრონომმა და მათემატიკოსმა კლავდიუს პტოლომეოსმა მე-2 საუკუნეში შეადგინა ე. წ. მეფეთა ქრონოლოგიური სია, დაწყებული ნაბონასარის მეფობიდან დამთავრებული რომის იმპერატორ ანტონინა პიით (რომის იმპერიას მართავდა 138—161 წლებში). ნაბონასარი პი ტახტზე ავიდა ძვ. წელთაღრიცხვის 747 წლის 26 თებერვალს. ასე წარმოიშვა და ხმარებაში დამკვიდრდა ე. წ. ნაბონასარის ერა.

მოგვიანებით ბაბილონეთში, სირიასა და პალესტინაში ფართოდ იხმარებოდა ე. წ. სელევკიდების ერა. ამ ერას წარმოშობა დაკავშირებულია ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მხედართმთავრის სახელთან — სელევკესთან, რომელმაც სირიაში საფუძველი ჩაუყარა თავის — სელევკეს დინასტიას. იგი იწყება ძვ. წელთაღრიცხვის 312 წლის 1 ოქტომბრიდან.

## მგვიპტური კალენდარი

შორეულ წარსულში ეგვიპტელები, ისე როგორც სხვა ხალხები, კალენდარს არეგულირებდნენ მთვარის ხილული მოძრაობის მიხედვით. ძვ. წელთაღრიცხვის 4241 წელს კი, — როგორც გერმანელი მეცნიერი ი. მეიერი ამტკიცებს, — ეგვიპტის სახელმწიფო-აღმინისტრაციული და სოფლის მეურნეობის სამუშაოების უკეთ რეგულირებისათვის შემოღებულ იქნა მზის კალენდარი; რელიგიური დღესასწაულების რეგულირებისათვის კი კვლავ ხმარებაში დარჩა მთვარის კალენ-

დარი. გავიღდა კიდევ 500 წელი და ეგვიპტის რელიგიის მესვეურებმა შემოიღეს მზე-მთვარის კალენდარი მე-13 თვის დამატებით, თანაც ყოველ 25 წელიწადში 9 წელიწადს უმატებდნენ 29, 52 დღე-ლამებს ტოლ მე-13 მთვარის თვეს. ამიტომაც ეგვიპტის მზე-მთვარის 25 წლიანი ციკლი, ინგლისელი სწავლულის ჭ. ტომსონის თქმით, უფრო ზუსტი იყო, ვიდრე სხვა ხალხების მზე-მთვარის კალენდარი. რადგან ეგვიპტური მზის კალენდრით წელიწადში იყო  $365 \times 12 = 4380$  დღე-ლამე, 25 წელიწადი მოიცავდა  $365 \times 25 = 9125$  დღე-ლამეს. მთვარის უნაკო წელიწადში  $29,53 \times 12 = 354,36$  დღე-ლამე იყო, ნაკიანში კი —  $354,36 + 29,53 = 383,89$  დღე-ლამე, ამიტომ 25 წელიწადში ეგვიპტური მზე-მთვარის კალენდარი მოიცავდა  $354,36 \times 16 + 383,89 \times 9 = 9124,77$  დღე-ლამეს. ამრიგად, ეგვიპტური მზე-მთვარის კალენდარი ეგვიპტურ მზის კალენდარს 25 წლის განმავლობაში წინ უსწრებდა მხოლოდ  $9125 - 9124,77 = 0,23$  დღე-ლამით, ანუ 5 სთ. 31 წთ. 12 წ-ით, ხოლო 100 წელიწადში 22 სთ. 04 წთ-ის 48 წ-ის ცდომილებას იძლეოდა, რაც იმ ეპოქისათვის არცთუ ისე დიდი ცდომილება იყო.

კაცობრიობის ისტორიის თითქმის გარიურაუზე ეგვიპტეში მზის კალენდრის პირველად შემოღება განაპირობა ქურუმ-ასტრონომების მცერ ეგვიპტის მარჩენალი მდინარე ნილოსისა და ვარსკვლავ სოტი-სის, ანუ სირიუსის (დიდი ქოფაის თანავარსკვლავებში), ქცევათა შორის ურთიერთკავშირის აღმოჩენამ. საქმე ის არის, რომ ეგვიპტეში სოტისი ზამთრობით თითქმის მთელ ღამეს კაშკაშებს, გაზაფხულზე მხოლოდ საღამოს საათებში ჩანს დასავლეთით, ყოველ მომდევნო დღეს კი უფრო გვიან გამოჩნდება ხოლო, სანამ მთლიანად არ გაუჩინარდება. დაახლოებით 2,5 თვის შემდეგ პორიზონტზე კვლავ გამოჩნდება სოტისი უკვე აღმოსავლეთით მზის ამოსვლის წინ, განთიადისას.

თავდაპირველად იგი აღმასივით აკიაფდება, მაგრამ როგორც კი ცა ვარდისფრად შეიღებება, მაშინვე უჩინარდება განთიადის სხივებში. ქურუმ-ასტრონომებმა ყურადღება იმაზე უფრო გაამახვილეს, რომ პირველად სოტისი აღმოსავლეთიდან სწორედ იმ დღეს ამოდიოდა, როცა დგებოდა ზაფხულის მზებუდობა. და ნილოსში წყალი მატულობდა, შემდეგ კი ნილოსში წყალი ნელ-ნელა კლებულობდა და კვლავ უბრუნდებოდა თავის ძეველ კალაპოტს.

ნილოსის აღიდების დაწყების, სოტისის ცაზე გამოჩენისა და ზაფხულის მზებუდობის დაწყების მომენტის დამთხვევა თავდაპირველად შემთხვევით მოვლენად მიიჩნიეს, მაგრამ ცის მნათობებზე მრავალი

წლის დაკვირვებების შედეგად ქურუმ-ასტრონომებს იმდენი მასალა დაუგროვდათ, რომ დარწმუნდნენ — ეს მოვლენა შემთხვევით კი არა, ბუნების კანონზომიერება იყო, რამაც მისცა მათ საშუალება — შეედგინათ ხალხთა ისტორიაში ერთ-ერთი პირველი მზის კალვინისტარი. შორეული წინაპარი იმ კალენდრისა, რომელსაც ჩვენ დღესაც ვხმარობთ.

ეგვიპტელ ქურუმ-ასტრონომებს მზის კალვინის გამოყენებით უკვე შეეძლოთ აღმოსავლეთიდან სოტისის ამოსვლამდე ეჭინასჭარ-მეტყველათ, თუ რამდენი თვის ან დღის შემდეგ დაიწყებდა ნილოსი აღიდებას, როდის დაუბრუნდებოდა იგი თავის ძველ კალაპოტს და ა. შ. ეს იყო ადამიანის გამარჯვება ბუნებაზე.

ეგვიპტური მზის კალენდარული წელიწადი თავდაპირველად 360 დღე-ღამისაგან შედგებოდა და თვეებად კი არ იყოფოდა, არამედ სამ სეზონად, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მიხედვით. პირველი სეზონი იყო „ახეტ“ — „წყალდიდობა“, რომელიც გრძელდებოდა 100 დღეს, მეორე — „პერტ“ — „გამოსვლა“ — მიწის წყლისაგან განთავისუფლებისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე გამოსვლის — თესვის პერიოდი და მესამე — „შემუ“ — „არყოფნა“ — ნილოსში წყალმარჩხობისა და მოსავლის აღების პერიოდი. პირველი სეზონი მოიცავდა პერიოდს ზაფხულის მზებუღლიდან, ე. ი. 21 ივნისიდან ოქტომბრამდე, მეორე — ოქტომბრიდან მარტამდე, მესამე — მარტიდან ივნისამდე.

მოვგიანებით, ჩვენს ერამდე 4240 წლის წინათ, 360-დღიანი ეგვიპტური კალენდარული წელიწადისათვის დაწესდა 5 დღის ღამატება, თანაც, ეგვიპტური მითოლოგიის თანახმად, ამ 5 დღის ღამატება მოკვდავი ადამიანის ნებით კი არ მომხდარა, არამედ „ღმერთების ნებით“. თურმე „მზის ღვთაება რას შეუნიშნავს, რომ ღვდამიწის ღვთაება სები და ზეცის ქალღმერთი ნუტი ფარულად ხვდებოდნენ ერთმანეთს. რას უბრძანებია, ამიერიდან ნუტმა წელიწადის ვერც ერთ თვეში გერ შეძლოს შვილის შობა. მაშინ ნუტს სიბრძნის ღვთაება თოთისათვის უთხოვია დახმარება. თოთს მთვარის ქალღმერთთან ყომარი უთამაშია და 360-დღიანი წელიწადის ყოველი დღის ერთი სამოცდამეთორმეტედი ნაწილი მოუგია მისთვის. ამ ნაწილთაგან 5 დღე შეუქმნია და ეს დღეები წლის ბოლოს თვეებისაგან გამოცალევებუღლად დაუწესებია. ასე მოიგო ნუტმა 5 დღე და 5 შვილიც შეეძინა: ოსირისი, ჰორი, სეთი, ისიდა და ნეფთიდა“ (9, გვ. 276).

უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ პერიოდში გაჩნდა ეგვიპტეში თვის ცნება და წელიწადიც დაყოფილ იქნა 12 თვედ. აღბათ,

ამიტომაა, რომ ისტორიის მამამთავარი ჰეროდოტე თავის „ისტორიაში“ წერს: „ყველა ადამიანთა შორის ეგვიპტელები პირველები არიან, რომელთაც აღმოაჩინეს წელიწადი და დაყვეს მისი დროები 12 წელიად... ეგვიპტელები წელიწადში 30-დღიან 12 თვეს ითვლიან და ამ რიცხვს ყოველწლიურად უმატებენ კიდევ 5 დღეს, ისე რომ, დროთა ციკლი მათთან ყოველთვის ერთსა და იმავე დროს მოიცავს“ (37, გვ. 276). ამრიგად, ეგვიპტური წელიწადი მოიცავდა  $30 \times 12 + 5 = 365$  დღე-დამეს.

ეგვიპტურ თვეებს თავდაპირველად არ ჰქონია სახელწოდებები და მას გადაითვლიდნენ ხოლმე რიგისდა მიხედვით, რადგან სულ სამი სეზონი იყო, თითო სეზონზე ოთხი თვე მოდიოდა. მოგვიანებით შემოღებულ იქნა თვეების სახელწოდებებიც: 1-ლი — თოთი (ივნისი-ივლისი), მე-2 — პაოფი (ივლისი-აგვისტო), მე-3 — ატირი (აგვისტო-სექტემბერი), მე-4 — ხოიაკი (სექტემბერი-ოქტომბერი), მე-5 — ტიბი (ოქტომბერი-ნოემბერი), მე-6 — მეხირი (ნოემბერი-დეკემბერი), მე-7 — ფამენოტი (დეკემბერი — იანვარი), მე-8 — ფარმუტი (იანვარი-თებერვალი), მე-9 — პახონი (თებერვალი-მარტი), მე-10 — პაინი (მარტი-აპრილი), მე-11 — ეპიფი (აპრილი-მაისი), მე-12 — მუსორი (მაისი-ივნისი).

ყოველი თვე შედგებოდა სამი 10-დღიანი კვირისაგან, ხოლო წლის ბოლოს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კალენდარულ წელიწადს ემატებოდა კიდევ ხუთი დღე, რომლებიც ეგვიპტის ღმერთებს ეძღვნებოდა. პირველი დღე — ოსირისს, მეორე — ჰორის, მესამე — სეთას, მეორე — ისიდას, მეხუთე — ნეფთიდას. ეს ღმერთები დედამიწის ღვთაება სებისა და ზეცის ქალღმერთ ნუტის შვილებად ითვლებოდნენ.

წელიწადის ბოლო თვეებისაგან გამოცალგევებულად დაწესებული ხუთი დღე ღვთაებრივი წარმომავლობის დღეებად იყო აღიარებული და ეგვიპტეში ისინი ავბედით, უბედურების მომტანად მიაჩნდათ. მათი სიავისაგან თავდასაცავად სავანგებო ლოცვები ჰქონდათ შეთხული.

მართალია, ეგვიპტური კალენდარი მარტივი და მოსახერხებელი იყო, მაგრამ მას ჰქონდა ერთი ნაკლი. დაახლოებით 0,25 დღე-დამით ნაკლები იყო მზის ჭეშმარიტ წელიწადთან შედარებით. ერთ-ორ წელიწადში ასეთი სხვაობა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველია, მაგრამ 4 წლის შემდეგ ერთი დღე-დამის სხვაობას იძლეოდა, ხოლო 120 წელიწადში — მთელ ერთ თვეს (120:4=30). აქედან გამომდინარე, ეგვიპტის ღვთაებრივი ვარსკვლავი სოტისიც ეგვიპტის კალენდარული

მე-5 წლის პირველი თვის (თოთის) პირველ რიცხვში კი არ ამოდით-და, არამედ მეორე რიცხვში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ზროთა განმავლობაში კალენდარული ახალი წელი უკან გადააღილდებოდა ხოლმე ზაფხულიდან გაზაფხულზე და კვლავ უბრუნდებოდა ზაფხულს. ამიტომ ეგვიპტურ კალენდარს დროში „მოხეტიალე“ კალენდარსაც უწოდებდნენ. მოხეტიალე კალენდრის წყალობით თოთის პირველი რიცხვი წელიწადის ყოველ დღეს ემთხვეოდა ხოლმე და ხეტიალის. სრული ციკლის გასვლის შემდეგ იგი კვლავ დაემთხვეოდა სოტისის დილით ამოსვლასა და ნილოსის წყალდიდობის დაწყებას. ეს კი ხდებოდა  $365 \times 4 = 1460$  წელიწადის გასვლის შემდეგ, რასაც ეგვიპტელები დიდი ზარ-ზეიმით ხდებოდნენ. მათი აზრით, ამიერიდან სამყაროში ყველაფერი კვლავ თავის საწყის მდგომარეობას დაუბრუნდებოდა. ამ ზარ-ზეიმს მარადისობის დღესასწაულს უწოდებდნენ. ფაქტი კი ის იყო, რომ ეგვიპტური კალენდრით 1461 წელიწადი იულიუსის კალენდრის 1460 წელიწადს უდრიდა.

ეგვიპტელმა ქურუმებმა, რა თქმა უნდა, დროზე შენიშნეს კალენდრის დროში ხეტიალის ფაქტი, მაგრამ მის შესასწორებლად თავს იმიტომაც არ იწუხებდნენ, რომ, მათ გარდა, ვერავინ გარკვეულიყო წელიწადის რთულ ანგარიშში. სამაგიეროდ, სირიუსის გარსკვლავს საგულდაგულოდ უთვალთვალებდნენ, რათა ნილოსის აღიდების ცვალებადი კალენდარული თარიღი გამოეთვალათ და თან კალენდარული წელიწადი გაეკონტროლებინათ. ამ მიზნით პი-რას ტაძარში ციურ საიდუმლოებათა დიდი მჭვრტელის თანამდებობაც კი იყო დაწესებული და იგი ქურუმთუხუცეს-ასტრონომს ეპყრა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეგვიპტის ისტორიაში ცნობილია ფაქტები, როცა ეგვიპტის ესა თუ ის ძლიერი მეფე, ქურუმების წინააღმდეგობის მიუხედავად, გაატარებდა ხოლმე კალენდრის რეფორმას. ასე მაგალითად, 3700 წლის წინათ ეგვიპტეში მოხდა მონათა აჯანყება. მართალია, აჯანყება ჩააქრეს, მაგრამ ეგვიპტე ისე დასუსტდა, რომ იგი მომთაბარე ტომებმა პიქსოსებმა დაიძყრეს (3650 წლის წინათ). პიქსოსების მეფემ სალიტისმა არაფრად ჩააგდო ეგვიპტელი ქურუმების დატორიტეტი და ეგვიპტური კალენდარული წელიწადის ყოველ მეოთხე წელს დაუმატა ერთი დღე. სალიტისმა ასეთი რეფორმის გატარებით ბოლო მოუღო ახალი წლის პირველი დღის ხეტიალს წელიწადის ყველა რიცხვში. მაგრამ ბოლო მოეღო პიქსოსების 100-წლიან ბატონობასაც და მეფე სალიტისმა მიერ შესწორებული კალენდარი გაუქმდა.

1866 წელს გერმანელმა ეგვიპტოლოგმა კარლ რიპარდ ლეპსიუს  
მა ნილოსის დელტაში მდებარე ქ. ცოანეს ნანგრევებში იძღვა ჰქონდა  
ფილა, რომელზეც სამ ენაზე ამოტვიფრული იყო ე. წ. „კანოპის დეკორაცია“.  
ამ დეკორაცით მსოფლიომ გაიგო, რომ „მონეტიალე“ კალენდ-  
რის პირველი რეფორმიდან 1500 წლის შემდეგ, კერძოდ, ჩვენს ერამ-  
დე 238 წლის 7 მარტს, ეგვიპტის მეფე პტოლემეონს III ევარგეტის  
(ძეფობდა 248—222 წ.) უბრძანებია ქვაზე ამოეტვიფრათ მისი დად-  
გენილება ეგვიპტური კალენდრის რეფორმის შესახებ. დეკრეტი გვა-  
უწყებს: „რაღან ვარსკვლავი სოტისი ყოველ ოთხ წელიწადში ერ-  
თხელ წინ მიდის ერთი დღით, ზაფხულის დღესასწაულები რომ მომა-  
ვალში ზამთრის თვეებში არ გადავიდეს (რაც ამჟამად ხდება და მო-  
მავალშიც შეიძლება მოხდეს, თუ წელიწადში იქნება 360 და 5 დამა-  
ტებითი დღე), ამიერიდან ვბრძანებ, ევერგეტის ღმერთების დღესას-  
წაული იზეიმოთ ყოველი ოთხი წლისა და ხუთი დამატებითი დღის  
გასვლის შემდეგ, ახალი წლის წინ. დაე, ამიერიდან ყველამ იცოდეს,  
რომ წელიწადის დროთა აღრიცხვის ნაკლი სარწმუნოდაა შესწორე-  
ბული მეფე ევერგეტის მიერ“ (48, გვ. 48). მაგრამ მალე მეფის გო-  
ნივრული წინადადების წინააღმდეგაც გაილაშქრეს და „კანოპის დეკ-  
რეტმა“ მოქმედება შეწყვიტა. ძევლებისტური კალენდარი კვლავ  
დიდხანს დარჩა „მონეტიალედ“.

კანოპის დეკრეტიდან 200-ზე მეტმა წელმა განვლო და ეგვიპტე  
რომაელებმა დაიპყრეს, ხოლო ჩვენს ერამდე 26 წელს რომის იმპე-  
რატორმა ავგუსტმა ალექსანდრიაში შემოიღო იულიუსის კალენდრის  
მსგავსი კალენდარი. ამ კალენდრით წელიწადის თორმეტივე თვე 30-  
დღიანია, პირველ სამ წელიწადს 360 დღის შემდეგ ემატება 5 დღე,  
ხოლო მე-4 წელიწადს — 6 დღე და წელიწადის საშუალო ხანგრძლი-  
ვობა 365, 25 დღე-ლამს უდრის.

თანამედროვე ეგვიპტის კალენდარიც 12-თვიანია, თითოეული  
თვე — კვლავ 30-დღიანი. პირველ სამ 360-დღიან წელიწადს უმატე-  
ბენ 5 დღეს, ხოლო მეოთხე წელიწადს — 6 დღეს. თვეთა სახელწო-  
დებებია: 1-ლი — თოთი, მე-2 — ბაბე, მე-3 — ხატური, მე-4 — კი-  
ხაკ, მე-5 — ტუბე, მე-6 — აშშირ, მე-7 — ბარამხატ, მე-8 — ბარმუ-  
და, მე-9 — ბაშნას, მე-10 — უნა, მე-11 — აბიბ, მე-12 — მისრა.

თავდაპირველად ეგვიპტეში წელთაღრიცხვას აწარმოებდნენ ამა  
თუ იმ ფარაონის ტახტზე ასვლის, ქვის ტაძრის აგების, წარმატებით  
ჩატარებული ლაშქრობის, საქონლის საყოველთაო აღწერის და სხვა  
მნიშვნელოვანი მომენტიდან.

ქვის ფილები და მთელი რიგი სახელმწიფო მნიშვნელობის საბუ-  
თები აკრელებულია ასეთი თარიღებით: „ტუტმოსის მეფობიდან  
47-ე წელს“, „სენუსერტას მეფობიდან მე-7 წელს“, „ხელშეკრულება  
დადებულია ნეფრ-შეპრ-რე ვა-ნ-რე მეფობისა და ხელმწიფობის  
მე-3 წლის ისიდას დაბადების დღეს (ე. ი. წელიწადის მე-4 დამატებით  
დღეს), „ხარებისა და წვრილფეხს საქონლის მე-14-ჯერ აღწერის და-  
წყებიდან“ და ა. შ. მაგრამ ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში  
სწავლულთა შორის ფართოდ გავრცელდა ნაბონასარის ერა. ნაბონა-  
სარის ერას დამკვიდრება, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიეწერება ალე-  
ქსანდრიელ სწავლულ კლავდიუს პტოლომეოს (87—165 წწ.). ნაბო-  
ნასარის ერას საწყისად ითვლება ჩვენს წელთაღრიცხვამდე 747 წლის  
26 თებერვალი (იულიუსის კალენდრით ოთხშაბათი დღე). ამ დღიდან  
მოყოლებული, პტოლომეოსი იძლევა მეფეთა ქრონოლოგიას 908  
წლის მანძილზე (ძვ. წელთაღრიცხვის 747 წლიდან ახ. წელთაღრიცხ-  
ვის 161 წლამდე). ნაბონასარის ერა სმარებაში იყო დიოკლეტიანეს  
ერას შემოღებამდე, ე. ი. 284 წლის 29 აგვისტომდე.

პტოლომეოსის მიერ შედგენილი მეფეთა ქრონოლოგიური სია  
იმითაა საყურადღებო, რომ მისი შედგენის დროს იგი სარგებლობდა  
ეგვიპტის მოხეტიალე კალენდრით, რომლის ყოველი წელიწადი, ყო-  
ველგვარი ნაკიანი წელიწადის გარეშე 365-დღიანია, რაც სრულ გა-  
რანტიას იძლევა, ზუსტად აღირიცხოს არათუ წლები, არამედ დღეებიც  
კი. ამიტომაცაა რომ ნაბონასარის ერას თარიღების იულიუსის კალენ-  
დრის თარიღებზე გადასაყვანად იყენებენ სკალიგერის ერას, ხოლო  
მიახლოებითი გამოთვლებისათვის მიმართავენ ფორმულას  $M=748-H$ ,  
სადაც  $M$  არის ჩვენი ერას წელიწადის ნომერი, ხოლო  $H$  — ნაბო-  
ნასარის წელიწადის ერას ნომერი. თუ  $H < 747$ -ზე, მაშინ გამოთვლით  
იმ წელიწადს, რომელიც იყო ჩვენს ერამდე, ხოლო თუ  $H > 747$ -ზე,  
მაშინ გამოიყენება ფორმულა  $M=H-747$  და გამოვთვლით ჩვენი  
ერას წელთა რიცხვს.

მაგრამ ზემომოყვანილი ფორმულით შეუძლებელია ამოიხსნას  
ასეთი შინაარსის ამოცანა: „ერთ-ერთ ეგვიპტურ პაპირუსში ნათქვა-  
მია, რომ ფარაონ სენუსერტ III-ის მეფობის მეშვიდე წელს სირიუსი  
(სოტისი) მე-8 თვის მე-15 დღეს გამოჩნდა. როდის გამეცდა სენუსერტ  
მესამე?“ (18, გვ. 165). ასეთი და სხვა ისტორიული მოვლენის დასად-  
გენად სწავლულები იყენებენ რომაელ მწერალ ცენზორინის (ჩვენი  
ერას III საუკუნე) 283 წელს გამოცემულ წიგნს, სადაც ავტორი ძი-  
რითადად აშუქებს რა კალენდრისა და ქრონოლოგის საკითხებს, მი-

უთითებს ეგვიპტური ახალი წლის თოთის პირველი დღისა და იულიუსის კალენდრით ჩვენი ერას 140 წლის 19 ივლისს მზებუდობდა დამთხვევის ფაქტზე, მაშინ მეორე დამთხვევა მოხდებოდა ჩვენს ერამდე 1461—140=1321 წელს, მესამე — ჩვენს ერამდე 1321+1460=2781 წელს, მეოთხე — ჩვენს ერამდე 2781+1460=4241 წელს და ა. შ.

მკითხველს შევახსენებთ, რომ ჩვენი ერას 140 წლის 19 ივლისს მზებუდობა და ეგვიპტური კალენდრით თოთის თვის პირველი რიცხვი იმიტომ დაემთხვა, რომ ეგვიპტელებს არ ჰქონდათ ნაკიანი წელი-წალი, რის გამოც სხვაობა ჭეშმარიტ მზის წელიწადს შორის ყოველ ოთხ წელიწადში ერთი დღე-ლამით იზრდებოდა და გარკვეული დროის შემდეგ გაზაფხულის მზებუდობის დღე კვლავ თავის კანონიერ დროს დაუბრუნდებოდა, მაგრამ ამას დასჭირდებოდა  $365 \times 4 = 1460$  წელიწადი.

მე-8 თვის მე-15 დღე კი ეგვიპტური წელიწადის 225 დღეა. მაშა-სადამე, იმ მომენტიდან, როდესაც სოტისის ამოსვლა წლის დასაწყისს დაემთხვა, სენუსერტ III-ის მეორების მეშვიდე წლამდე უნდა გაეგლო  $225 \times 4 = 900$  წელს. ამრიგად, სენუსერტ III-ის მეორების მეშვიდე წელი ემთხვევა ჩვენს ერამდე 1321—900=421; 421+1460=1881, ანდა  $1881+1460=3341$  წელს.

ჩვენს ერამდე 421 წელს ეგვიპტეს ფარაონები კი არ მართავდნენ, არამედ სპარსეთის მეფის ნაცვლები, ამიტომ ჩვენს ერამდე 421 წელი ამოცანის ამოსახსნელად არ გამოგვადგება. დარჩა 1881 და 3341 წლები. ახლა თუ ამ წლებს მივუმატებთ „ფარაონ სენუსერტ III-ის მეორების მე-7 წელს“, მაშინ სენუსერტ III-ის გამეფების დასაწყისი-სათვის გვექნება ჩვენს ერამდე 1887 და 3347 წლები. მეცნიერებმა ხანგრძლივი კმათის შემდეგ დაადგინეს, რომ ფარაონ სენუსერტ III გამეფდა 1887 წელს. ასეთი შედარებებისა და მზის დაბნელებებზე არსებული ყველა ცნობის გათვალისწინებით ისტორიკოსები და სწავლულები თანდათანობით აზუსტებენ ისტორიულ მოვლენათა თარი-ლებს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეგვიპტელებს, — როგორც ლ. ზაიდლერი აღნიშნავს, — ცალკე დღე და ცალკე ღამე ოც თანაბარ ნაწილად ჰქონდათ დაყოფილი და ამ ნაწილებს უნტს უწოდებდნენ. დღისა და ღამის ზღვრად მზის ჩასვლა-ამოსვლის მომენტები იყო მიჩნეული. ოღონდ ცნობილია, რომ ზაფხულობით დღე ღამეზე გრძელია ხოლმე, ზამთრობით კი მოკლე. ამიტომ დღის საათებიც ღამეულთან განსხვა-

ვებული უნდა ყოფილიყო. ზაფხულობით დღის უნიტები ღმისაზე გრძელი იყო, ხოლო ზამთრობით — პირიქით, ღამის უნიტები იყო უფრო გრძელი. ამ სისტემის უსსოფარი დროიდან მისდევდნენ მეტაბრელნი. ამ პრინციპის მიხედვით მოქმედ საათებს წელიშადის ღროთა შესატყვისი ურთულესი სკალა ჰქონდა.

გარდა მზის საათისა (რისთვისაც, კერძოდ, განთქმული ობელის-კები იყო გამოყენებული), ეგვიპტელებს კლეპსიდრად წოდებული წყლის საათიც ჰქონდათ. მის გამოგონებლადაც თოთი ჰყავდათ შერაცხილი“ (9, გვ. 227).

წყლის საათი წარმოადგენდა ქვის ჭურჭელს, რომელსაც წაკვე-თილი კონუსის ფორმა ჰქონდა. ჭურჭელში ასხამდნენ წყალს და იგი კონუსის ვიწრო ფუძეში გაკეთებული ნახვრეტიდან პერიოდულად წვეთავდა.

ისტორიამ შემოგვინახა ცნობა იმის შესახებ, რომ წყლის საათი გაუმჯობესებულ იქნა ძვ. წ. XV საუკუნეში ვინმე ეგვიპტელ ამენემ-ხეტის მიერ. ამენემხეტი ამ გამოგონების შესახებ წერს: „მე აღმოვა-ჩინე, რომ წყალდიდობის ღამე მოიცავს 14 საათს, მაშინ როცა მკის ღამე — 12 საათ... მე აღმოვაჩინე წელიწადის რომელი თვიდან რო-მელ თვემდე მატულობს ღამის ხანგრძლივობა და რომელი თვიდან რომელ თვემდე კლებულობს... მე გავაკეთე „მერხიტ“-ი (ე. ი. საზო-მი ხელსაწყო) წლიური გაანგარიშებისათვის. იგი სხვებთან შედარე-ბით სიამოვნებით იქნა აღიარებული ზემო და ქვემო ეგვიპტის მეფის ამენხოტეპ I-ის მიერ. იგი წელიწადის ყოველ დღეს ზუსტად აჩვე-ნებს. ამის მსგავსი ჩემამდე არავის გაუკეთებია... თითოეული საათი იწყება თავის დროზე. წყალი გამოდის ერთი ნასვრეტიდან“ (60, გვ. 83).

ამჟამად ეგვიპტეში სამი წელთაღრიცხვაა გაბატონებული — გრიგოლის, მუსულმანური (ჰიჯრა) და კოპტური. ოფიციალურად კი ეგვიპტეში აღიარებულია გრიგოლის და მუსულმანური კალენდრები, მაგრამ მრავალი მილიონი ეგვიპტელი, კერძოდ, მდ. ნილოსის ხეობა-ში მცხოვრები გლეხობა, დღემდე სარგებლობს კოპტური კალენდ-რით. ეს არცაა გასაკვირი, რადგან კოპტური კალენდარული სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული სოფლის მეურნეობის საქმიანობასთან, რამეთუ იგი ზუსტად აღრიცხავს ნილოსის წყალდიდობას, მიწის წყლისაგან განთავისუფლებასა და ნილოსში წყალმარჩხობის პერიო-დებს, მიწის მუშაკთათვის კი სწორედ წელიწადის ეს სამი პერიოდია მთავარი.



რომის ისტორიას არ შემოუნახავს ცნობები იმის შესახებ, რომ რომის დაინერგა რომში კალენდარი. მაგრამ ის კი ცნობილია, რომ რომის ლეგენდარული დამარსებლის რემუსისა და რომულუსის დრომდე, ე. ი. დაახლოებით ძვ. წ. VIII საუკუნის შუა წლებამდე, რომაელები სარგებლობდნენ. ისეთი კალენდრით, რომელიც შედგებოდა 10 თვისაგან, თანაც თვეებს სახელწოდებები კი არ ჰქონდა, არამედ ნომრები (წლის I, II, III, IV თვე და ა. შ.). წელიწადი იწყებოდა დაახლოებით გაზაფხულის დღელამტოლობამდე. რომულუსის პერიოდში კი რომის კალენდრის ზოგიერთმა თვემ მიიღო სახელწოდება. წელიწადის პირველ თვეს უწოდეს რემუსისა და რომულუსის მამის მარტიუსის (მარსის) სახელი. ღვთაება მარტიუსი ომის ღმერთიც იყო და მშვიდობიანი შრომის დამცველიც. წლორედ ამ პერიოდში იწყებოდა რომში მინდვრის სამშაოები. წლის მეორე თვეს აპრილისი უწოდეს. მას საფუძვლად დაედო ლათინური სიტყვა „აპერირე“ (გაშლა), რადგან აპრილში იშლებოდა კვირტები. წლის მესამე თვე მიეძღვნა ყვავილებისა და სილამაზის ქალღმერთ მაიუსს (მაიას) — ღვთაება მერკურის დედას — და ეწოდა მაიუსი (მაიისი). წლის მეოთხე თვე მიეძღვნა ნაყოფიერების ქალღმერთს — ღვთაება იუპიტერის ცოლს იუნონას და ეწოდა იუნიუსი (ივნისი). დანარჩენმა თვეებმა კი შეინარჩუნეს საკუთარი ნომრები: კვინტილისი ნიშანვდა წლის V თვეს, სექტილისი — VI-ს, სეპტემბერი — VII-ს, ოქტომბერი — VIII-ს, ნოემბერი — IX-ს, დეცემბერი — X-ს. წელიწადის ოთხი თვე: მარტი, აპრილი, ივნისი, ოქტომბერი 31-დღიანი იყო, ხოლო დანარჩენი 5 თვე — 30-დღიანი. ამიტომაც რომის ადრეული ზანის კალენდარული წელიწადი 304 დღისაგან შედგებოდა.

„რომულუსის წელიწადსა“ და მზის კალენდარულ წელიწადს შორის არსებული სხვაობის ლიკვიდაციის რომაელ მწერალ მაკრობიას (ძვ. წ. V საუკუნე) გადმოცემით რომაელები ახერხებდნენ თვეების დამატების გარეშე. ისინი წელიწადის უკანასკნელ X თვის ბოლოდან ელოდნენ გაზაფხულს, რათა კვლავ დაეწყოთ წელიწადის თვე-თა ანგარიში.

ძვ. წ. VII საუკუნეში რომის მეორე მეფემ ნუმა პომპილიუსმა (715—672) არა მარტო საფუძველი ჩაუყარა რომაულ რელიგიას, არამედ რომაული კალენდრის რეფორმაც ჩატარა. მან წელიწადს დაუმატა ორი — XI და XII თვე. XI თვეს მართავდა ორსახოვანი,

ზროისა და კარის მფარველი ღვთაება იანუსი — იანვარი. რაღაც რომაული მითოლოგით დროის ღმერთი იცავდა კარტშეს, ყველა სახლის გასასვლელსა და შესასვლელს, ამიტომ ღვთაება იანუსს ჰქონდა სახოვანს და გასაღებით ხელში ხატავდნენ. იანუსის ერთი სახე წინ, ხოლო მეორე უკან იყურებოდა, რათა ყველაფერს გასწვდენოდა მისი მზერა, დაენახა და განეჭირიტა მომავალი, თანაც შეეფასებინა წარსული.

რომის ისტორიაში კალენდრის ზემოაღნიშნული რეფორმა ტარდება იმ პერიოდში, როცა რელიგიურ ცრურწმენებს ხალხის ფართო ძასებში ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები. კერძოდ, მაშინდელი რწმენით, ყველა კინტი რიცხვი ბეღნიერების მომტან რიცხვად ითვლებოდა, ხოლო ღუწი — უბედურებისა, რასაც კალენდრის რეფორმაზე დიდი ზეგავლენა მოუხდებია: წელიწადის თერთმეტი თვე კენტ-რიცხვა იყო. ერთადერთი თვე — თებერვალი, რომელიც მიეძღვნა მონანიებისა და მიცვალებულთა ღმერთს — ფებრუარის, მართალია, ოფიციალურად 23 ძირითადი დღისაგან შედგებოდა, მაგრამ ყოველწლიურად 5 დღე ემატებოდა და 28-დღიანი (ლუწრიცხვა) ხდებოდა.

ადრინდელი რომაული კალენდარი მთვარის კალენდარი იყო. აქედან გამომდინარე, წელიწადი 354-დღიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაღაც კენტი რიცხვი ბეღნიერების მომტან რიცხვად ითვლებოდა, ამიტომ წელიწადი 355-დღიანი გახადეს და თვეებს დღეთა შემდეგი რაოდენობა ღაუწესეს: მარტიუსი — 31, აპრილისი — 29, მაიუსი — 31, იუნიუსი — 29, კვინტილისი — 31, სექტილისი — 29, სეპტემბერი — 29, ოქტომბერი — 31, ნოემბერი — 29, დეკემბერი — 29, იანვარიუსი — 29, ფებრუარიუსი — 23+5.

ახლად შემოღებული კალენდარი თითქმის ემთხვეოდა მთვარის კალენდარს, მაგრამ იგი მზის კალენდართან შედარებით 10, 25 დღით მოკლე იყო და ასეთი ცდომილების აღმოსაფხვრელად ძვ. წ. V საუბუნეში რომაელ ქურუმთა კოლეგიამ შემოილო მზე-მთვარის კალენდარი ოთხწლიანი ციკლით. ასეთი ციკლის თანახმად, რომაელი ქურუმები ყოველ ორ წელიწადში ერთხელ, 24 და 25 თებერვალს შორის, უმატებდნენ XIII თვეს, რომელსაც „მარცელონა“ ეწოდებოდა. XIII თვე რიგრიგობით 22 ან 23 დღეს შეიცავდა, ამიტომ ყოველი მეორე წელიწადი  $355+22=377$ -დღიანი, ხოლო ყოველი მეოთხე წელიწადი  $355+23=378$ -დღიანი იყო. ყოველი ოთხწლეული შეიცავდა ორ უნაკო და ორ ნაკიან წელიწადს. ასეთი ოთხწლეულის თითოეული

$$\text{წელიწადი კი საშუალოდ } \frac{355 \times 4 + 22 + 23}{4} = 366,25 \text{ დღესათვე}$$

ღამეს, რაც შედარებით ახლოს იყო მზის წელიწადთან.

ამ რეფორმის საფუძველზე რომაული წელიწადი ერთი დღით მეტი გახდა, ვიდრე მზის საშუალო წელიწადი, რამაც დროთა აღრიცხვაში დიდი არევდარევა გამოიწვია. იმისათვის, რომ აღმოეფხვრათ სხვაობა მოქმედ კალენდარსა და მზის კალენდარს შორის, ძვ. წ. II საუკუნეში რომის უმაღლესმა ქურუმებმა მიიღეს უფლება თვით გადაეწყვიტათ, თუ როდის დაემატებინათ კალენდარული წელიწადისა-ოვის XIII თვე. მაგრამ ამ უფლებას ზოგიერთი ქურუმი ბოროტად იყენებდა, რამაც უფრო არია თვეთა და დღეთა აღრიცხვა.

რომში ყოველი დღის კალენდარული აღრიცხვა ხდებოდა საღა-მოს 6 სთ-დან. დღე-ლამე კი შედგებოდა 24 სთ-საგან და როგორც დღეში, ისე ღამეში 12-12 სთ იყო.

თვეების კალენდარულ დღეებს არ ჰქონდა რიგითი ნომრები და დღეთა ანგარიში ემყარებოდა ყოველი თვის სამ ძირითად დღეს: კა-ლენდეს, ნონის და იის.

ყოველი თვის პირველ რიცხვს ეწოდებოდა „კალენდე“, რადგან ამ დღეს სპეციალური პირები რომალებს ყვირილით გადასძახებდნენ ხოლმე მთვარის მორიგი თვის დაწყებას — ახალი მთვარის კვლავ გამოჩენას.

კალენდრის 31-დღიანი თვეების (მარტის, მაისის, კვინტილისის, ოქტომბრის) მე-7 დღეს და ყველა დანარჩენი მოკლე თვეების მესუთე დღეს, ნონე ეწოდებოდა. ამრიგად, ნონე იყო მთვარის მორიგი ფაზის დაწყების მომენტის აღმნიშვნელი.

იდი ეწოდებოდა კალენდრის 31-დღიანი თვეების მე-15 დღეს და ყველა დანარჩენი მოკლე თვეების მე-13 დღეს და ამ რიცხვით აღ-ნიშნავდნენ სავსემთვარობის საწყის მომენტს. დღეთა გადათვლა კი წარმოებდა კალენდედან ნონემდე, ნონედან — იდამდე და ა. შ.

გადიოდა დრო. რომი თანდათან ძლიერდებოდა. მას ბუნებრივია, უკვე აღარ აქმაყოფილებდა თავისი ესოდენ მოუქნელი კალენდარი. აშიტომ, დღის წესრიგში დადგა კალენდრის მორიგი რეფორმის სა-კითხი. ასეთი რეფორმა გაატარა უდიდესმა სამხედრო და პოლიტი-კურმა მოღვაწეებ გაიუს იულიუს კეისარმა (100—44) ძვ. წ. 46 წელს. იულიუსი ეგვიპტეში ყოფნის დროს გაეცნო ეგვიპტურ კალენდრს და გადაწყვიტა რომაული კალენდრის ეგვიპტური კალენდრის ყაიდა-3. ვ. კოპალეუშვილი

ზე გადაკეთება. ახალი კალენდრის პროექტის შედგენა კი მან აღმა-  
სანდრიელ ასტრონომ სოზიგენს დავალა.

სოზიგენმა ის 10, 25 დღე, რომელიც ყოველწლიურად წელი  
ბოდა რომაულ კალენდარს და ამიტომაც იგი 355-დღიანი იყო, გაანა-  
წილა რომაულ მოკლე თვეებს შორის. ხუთ თვეს დაუმატა თითო  
დღე, სამ თვეს კი — ორ-ორი. მაგრამ ასეთ შემთხვევაში კალენდრის  
ყოველი წელიწადი 366-დღიანი გამოდიოდა, ამიტომ სოზიგენმა ოქ-  
ტომბრის თვეს ერთი დღე მოაკლო და იგი 30-დღიანი გახადა. 0,25  
დღის ცდომილება რომ თავიდან აეშორებინა, ყოველ მეოთხე წელი-  
წადისათვის ერთი დღე უნდა დაემატებინა. ამრიგად, ყოველი კალენ-  
დარული სამი წელიწადი უნდა ყოფილიყო 365, ხოლო მეოთხე წე-  
ლიწადი — 366-დღიანი.

სოზიგენმა თვეებს შეუნარჩუნა რომაული სახელები, მაგრამ  
წლის პირველ თვედ დაასხელა არა მარტი, არმედ იანვარი, რადგან  
ჯერ კიდევ ძვ. წ. 153 წლიდან რომში ტრალიციად დამკიდრდა, რომ  
ახლად არჩეული კონსულები მოვალეობის შესრულებას 1 იანვრიდან  
შედგომოლნენ. მომდევნო თვედ მან დაასახელა თებერვალი. წელი-  
წადის რიგით კენტ აღგილზე მდგომი თვეები 31-დღიანი, ხოლო ლუწ  
აღგილზე მყოფი თვეები 30-დღიანი უნდა ყოფილიყო. თებერვალი კი,  
დღენაკლული რჩებოდა.

სოზიგენის მიერ წარდგენილ პროექტს ასეთი სახე ჰქონდა: იან-  
ვარიუსი — 31, ფებრუარიუსი — 29—30, მარტიუსი — 31, აპრილი-  
სი — 30, მაიუსი — 31, იუნიუსი — 30, კვინტილიისი — 31, სექტი-  
ლიისი — 30, სეპტემბერი — 31, ოქტომბერი — 30, ნოემბერი — 31,  
ოქტომბერი — 30.

კეისარმა სოზიგენის მიერ შედგენილი კალენდარი სენატს წა-  
რუდგინა. იულიუსმა სენატში გაბედულად უარყო ცრურწმენა ლუწი  
რიცხვების მიმართ და მოითხოვა წელიწადში ყოფილიყო ხუთი 30-  
დღიანი თვე, ხოლო თებერვალი, უნაკო წელიწადში ყოფილიყო 29,  
ხოლო ნაკიან წელიწადში — 30-დღიანი. სენატმა მოიწონა კალენდ-  
რის პროექტი და იგი ძალაში შევიდა ძვ. წ. 45 წლიდან.

ძვ. წ. 44 წელს კეისარის თანამოაზრემ მარკ ანტონიუსმა (82—30)  
სენატში შეიტანა წინადადება, რათა კვინტილიისის თვე წოდებულიყო  
რომის კალენდრის რეფორმატორისა და სახელმწიფოს დიდი პოლი-  
ტიკური მოღვაწის გაი იულიუსის საპატივსაცემოდ „იულიუსად“ და,  
ეს წინადადება იმით დაასაბუთა, რომ იულიუსი სწორედ კვინტილი-  
იის თვეში იყო დაბადებული. ანტონიუსის წინადადება სენატის მიერ

შიღებულ იქნა და დღემდე კვინტილისის თვეს — ივლისი, ხოლო კალენდარს იულიუსის კალენდარი ეწოდება.

ამავე სხდომაზე სენატმა ქურუმთა კოლეგიას დაავალი შეცილენდებოდა გაეწია კალენდარული დროის ზუსტად გაანგარიშებისათვის, მაგრამ, იულიუს კეისრის ტრაგიკული სიკვდილის (ძვ. წ. 44 წლის 15 მარტი) შემდეგ ქურუმთა კოლეგიამ, ვერ გაიგო იულისისული რეფორმის არსი და ყოველ მე-4 წელიწადს კი არ უმატებდნენ 1 დღეს, არამედ — ყოველ მესამე წელიწადს (ძვ. წ. 45, 42, 39, 36, 33, 30, 27, 24, 21, 18, 15, 12, 9 წწ., ე. ი. სულ 13), ხოლო ნაკიანი წლები კი უნდა გადაეთვალათ შემდეგი რიგით: 45, 41, 37, 33, 29, 25, 21, 17, 13, 9 წწ., ე. ი. სულ 10. ამრიგად, რომის ქურუმებმა ძვ. წ. 45 წლიდან ძვ. წ. 8 წლამდე 9 ნაკიანი წელიწადის ნაცვლად გამოიყენეს 12 ნაკიანი წელიწადი. ამის გამო კალენდარულ დღეთა ანგარიში კვლავ აირია. ეს შეცდომა შემჩენეულ იქნა იმპერატორ ოქტავიან ავგუსტუსის (ძვ. წ. 63 ახ. წ. 14 წწ.) დროს — ძვ. წ. მე-8 წელს.

ავგუსტუსი იძულებული გახდა გაეტარებინა კალენდრის ახალი რეფორმა. მისი წინადადებით, იმ სამი ზედმეტი დღის მოსაცილებლად, რომლებიც გაჩნდა ქურუმთა მიერ 3 ნაკიან წელთა დამატების შედეგად, იულიუსის 3 ნაკიანი წელიწადი (ძვ. წ. მე-5 და 1-ლი, ხოლო ახ. წელთაღრიცხვით მე-4 წელი) უნაყო წლებად გამოცხადდა, ე. ი. თითქმის მთელი 16 წლის მანძილზე ყველა წელი უნდა ყოფილიყო უნაკო, ხოლო მე-16 წელიწადი და მისი მომდევნო ყოველი მეოთხე წელიწადი — ნაკიანი. სწორედ მაშინ იყო, რომ სენატმა გადაწყვიტა იმპერატორ ავგუსტუსის დიდი სამხედრო წარმატებებისა და კალენდრის ახალი რეფორმის გატარების აღსანიშნავად იულიუს კეისარივით მისი სახელი უკვდავეყოთ და წელიწადის ერთ-ერთი თვისათვის ავგუსტუსის სახელი ეწოდებინათ, მაგრამ წელიწადის პირველი ექვსი თვე, შორეული წარსულიდან, რომაელ ღვთაებათა სახელები ერქვა, ამიტომაც ამ თვეებს ავგუსტუსი ვერ შეეხებოდა, რადგან ღმერთებთან კონკურენციის გაწევა გამოიწვევდა მორწმუნე რომაელებისა და ქურუმების დიდ გულისწყრომასა და წინააღმდეგობას, რაც შეიძლება დამთავრებულიყო მისი მოკვლითაც კი, თანაც ავგუსტუს კარგად ესმოდა, რომ არც თუ ისე მტკიცედ იჯდა თაგის სამეფო ტახტზე. მეშვიდე თვე — კვინტილისი უკვე მონათლული იყო მისი წინამორბედის — იულიუს კეისრის სახელით — ივლისით. ავგუსტუსმა ვერც ამ თვის შეხება გაბედა, რადგან ეშინოდა იულიუსის თვეს ჩემს სახელზე თუ გადმოვიწერ, ვაი თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ-

მა მემკვიდრემ ჩემსავით მოიქცესო და იულიუს-ავგუსტუსის თვეს თავისი სახელი უწოდოსო. ამიტომ იყო, რომ ავგუსტუსმა „გადაწყვიტა ივლისის მომდევნო თვე — სექსტილისი წოდებულიყო „ავგუსტიად“, მაგრამ სექსტილისი, რომაული რწმენით, უიღბლო (ლუჭი) 30-დღიანი იყო. თანაც იულიუსის სახელდების თვე 31 დღისაგან შედგებოდა, ავგუსტუსი კი იულიუსზე არანაკლებ პატივმოყვარე გახლდათ და 30-დღიანი თვე იმპერატორ ავგუსტუს როდი ეკადრებოდა, ამიტომ ქურუმთა კოლეგიამ თებერვლის თვეს დააკლო ერთი დღე და სექსტილისს — აგვისტოს დაუმატა. ამრიგად, ისედაც შეზღუდული თვე, კი-დევ უფრო დააკნინეს და იგი 28—29-დღიანი გახდეს. ამ ერთი დღის გადაადგილებამ ის გამოიწვია, რომ წელიწადში ზედიზედ სამი თვე: ივლისი, აგვისტო და სექტემბერი 31-დღიანი გახდა. ეს კი მორწმუნე ქურუმებს ხელს არ აძლევდა და ქურუმებმაც გამოსავალი იპოვეს. მათ სექტემბერს დააკლეს ერთი დღე და ოქტომბერს დაუმატეს, ხოლო ნოემბერს ჩამოაშორეს ერთი დღე და იგი დეკემბერს დაუმატეს. ასე გახდა ოდესაც 30-დღიანი და უიღბლო თვე სექსტილისი 31-დღიან და ბედნიერ თვედ — აგვისტოდ.

რატომ მაინცდა მაინც ძვ. წ. 45 წელი უნდა ყოფილიყო ნაკიანი და არა 44? აკი 45 არ იყოფა 4-ზე. უნდა შევნიშნოთ, რომ რომის იმპერიაში წელთა აღრიცხვა წარმოებდა „რომის დაარსებიდან“, თანაც მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ძვ. წ. 45 წლის 1 იანვარი ესადაგება „რომის დაარსებიდან“ 708 წლის 1 იანვარს, 708 კი უნაშთოდ იყოფა 4-ზე. ამ ორი თარიღის შემთხვევით დამთხვევამ ის განაპირობა, რომ იულიუსიდან დაწყებული დღემდე ნაკიან წელიწადთა ანგარიში არ დარღვეულა.

ძვ. წ. 8 წელს რეფორმის შედეგად დაკანონებული იულიუსის კალენდარი მრავალი საუკუნის მანძილზე ერთადერთი კალენდარი იყო რომის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე.

რომის იმპერიაში ქრისტეანობის გავრცელებამდე, ისე როგორც უძველეს აღმოსავლეთის ქვეყნებში, შვიდდღიურის თითოეულ დღეს ერქვა ხუთი პლანეტის — მარსის, მერკურის, ვენერას, მზისა და მთვარის სახელი: dies Lunae — ორშაბათი, dies Martis — სამშაბათი, dies Mercurii — ოთხშაბათი, dies Iovis — ხუთშაბათი, dies Veneris — პარასკევი, dies Saturni — შაბათი, dies Solis — კვირა. მაგრამ ეცროპულ ქვეყნებში ბიბლიური მოძღვრების გავრცელებასთან კვალდაკვალ, შვიდდღიურის მეშვიდე — სადღესასწაულო დღის სატურნის მაგივრად მკვიდრდება სახელწოდება „საბატ“ —

„დასვენება“, „სამუშაოს დამთავრება“ და ბიბლიური „შაბათი“, როგორც „ღვთის დასვენების“ დღე ითვლებოდა, როგორც ეპრაელებისათვის ისე ქრისტიანების დასვენებისა და დღესასწაულის დღედ მაგრამ ქრისტიანული მოძღვრების თანდათანობით გავრცელებამ დღის წესრიგში დააყენა ქრისტიანულ ეკლესიას პეტროდა საკუთარი დასვენებისა და დღესასწაულის დღე, მართლაც მეორე საუკუნის დასაწყისში რომის იმპერატორმა ადრიანემ (76—138) დასვენების დღე, სატურნის — შაბათის დღიდან, გადაიტანა შვიდდღიურის მომდევნო — მზის დღეზე, ხოლო რომის იმპერატორ კონსტანტინე დიდმა (274—337) 321 წელს, ამ დღეს (ქრისტეს მკვდრეთიდან აღდგომის აღსანიშნავად) „dies dominica“ ანუ „ღვთის დღე“ უწოდა. მოგვიანებით ამ დღეს წარმოსოდევამდნენ ერთი სიტყვით — „dominica“ — „ღვთისა“. საქართველოს სინამდვილეში კი „dominica“-ს მაგივრად ბერძნული „კვირიაკე“-დან ნაწარმოები სიტყვა „კვირა“ — „უფლისა“, „ღვთისა“, დამკვიდრდა.

დასვენებისა და დღესასწაულის შაბათიდან კვირა დღეზე გადატანით, მორწმუნე ქრისტიანთა სამყარომ, იუდეიზმის კიდევ ერთი წოდევლებული ტრადიცია — შაბათობით დღესასწაული, ჩამოიშორა.

შორეულ წარსულში რომაული კალენდარი ერას ცნებას არ იცნობდა. წელთა ორიცხვა წარმოებდა კონსულებისდა მიხედვით, რომელთა სიები ზედმიწევნით ზუსტად დგებოდა. როგორც ცნობილია, რომში, შორეული წარსულიდან, ირჩევდნენ ორ კონსულს და წლებიც აღინიშნებოდა მათი სახელებისდა მიხედვით — „ამა და ამ წელს, ამა და ამ კონსულიდან“. წელთა ორიცხვის ეს პრინციპი, რომის ისტორიის სინამდვილეში ხმარებაში იყო ჩვენი ერას 541 წლამდე. მაგრამ ჩვენი ერას I საუკუნიდან თანდათანობით გავრცელება ჰპოვა ერამ „რომის დაარსებიდან“. ამ ერას გავრცელება მიეწერება რომაელ სწავლულს — მარკ ტერენციი ვარონს (116—27), რომელმაც ვარაუდით გამოთვალა და დაადგინა რომის დაარსების თარიღი. მისი აზრით, რომი დაარსებული უნდა იყოს ჩვენს ერამდე მე-6 ოლიმპიადის მესამე წლის გაზაფხულს. რომაული კალენდარული ერას დასაწყისად კი აღიარებულ იქნა ძვ. წ. 753 წლის 21 აპრილი (ახალი სტილით) „რომაული“ ერა ფართოდ გამოიყენებოდა ევროპის სწავლულთა მეცნიერულ შრომებში XVIII საუკუნის ბოლომდე. ამიტომ, როცა ვამბობთ „ამ ერას გავრცელება მიეწერება რომაელ სწავლულ მარკ ტერენციონ ვარონს“ და თან გრიგოლის კალენდრით მივუთითებთ მისი დაბადებისა და გარდაცვალების (116—27 წწ.) თარიღებს, რა

თქმა უნდა, არაა სწორი, რადგან ვარონი თავის დაბადების წელს და-  
ათარიღებდა „რომის დაარსებიდან“ და არა იულიუსისა და ან გრი-  
გოლის კალენდრით, რამეთუ ასეთი კალენდრები მაშინ არც კი არსე-  
ბობდა, არ არსებობდა არც „ქრისტეს აქეთ და ქრისტეს იქეთ“ მიხნა,  
რომელიც მოგვიანებით „დაადგინა“ დიონისე მცირებ. რადგანაც ეს  
ასე იყო, ამიტომ XIX, XX საუკუნის ასტრონომები და მათემატიკო-  
სები ცდილობდნენ გამოენახათ ისეთი მოხერხებული მათემატიკური  
ფორმულები და ცხრილები, რომლებიც სხვა დარგის სწავლულებს  
საშუალებას მისცემდა სხვადასხვა ხალხების წელთაღრიცხვები გადა-  
ეყვანათ იულიუსისა და გრიგოლის კალენდარულ წელთაღრიცხვაზე.  
მართლაც, ამჟამად რომაული კალენდრის „კონსულების“ ერას წელთ-  
აღრიცხვის გრიგოლის კალენდარულ წელთაღრიცხვაზე გადაყვანა  
ხერხდება სპეციალური ცხრილებით, ხოლო „რომის დაარსებიდან“  
ერას წელთაღრიცხვის კი — ფორმულებით.

ფორმულით  $H = 754 - R$ , სადაც  $H$  — ჩვენი ერას წელთა ნომე-  
რია,  $R$  — რომის დაარსებიდან ერას წელთა ნომერი, გამოთვლიან  
თარიღს ძვ. წ-მდე, თუ  $R < 753\text{-ზე}$ , ხოლო, თუ  $R > 753\text{-ზე}$ , მაშინ  
ფორმულით  $H = R - 753$ , გამოთვლიან ას. წ-ის თარიღს.

მაგალითი 1. რომის დაარსებიდან 691 წლის დასაწყისში  
გაიუს იულიუს კეისარი ოჩეულ იქნა დიდ პონტიფაკად (Pontifex  
maximus). ჩვენი წელთაღრიცხვის რომელ წელს იქნა ოჩეული იუ-  
ლიუს კეისარი რომის იმპერიის დიდ პონტიფაკად?

$R = 691$ , ე. ი.  $691 < 753\text{-ზე}$ , ამიტომ  $H = 754 - 691 = 63$  წ. მაშა-  
სადამე, გაიუს იულიუს კეისარი, რომის იმპერიის დიდ პონტიფაკად,  
აურჩევით ძვ. წ-ის 63 წელს.

მაგალითი 2. რომის დაარსებიდან 832 წლის 24 აგვისტოს,  
სამხრეთ იტალიის ქალაქი პომპეუსი ვულკან ვეზუვემ „ცოცხლად“  
დამარხა. ჩვენი წელთაღრიცხვის რომელ წელს დამარხა ვულკანმა  
ვეზუვემა ქ. პომპეუსი?

$R = 832$ -ს, ე. ი.  $832 > 753\text{-ზე}$ , ამიტომ  $H = 832 - 753 = 79$  წ.

მაშასადამე, ქალაქი პომპეუსი ვულკან ვეზუვეს „ცოცხლად“ და-  
უმარხია ას. წ-ის 79 წლის 24 აგვისტოს (რადგან წელიწადის თვეთა  
აღრიცხვა უკვე ხდებოდა იულიუსის კალენდრის მიხედვით).

იმ შემთხვევაში, თუ გვსურს, ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის  
„რომის დაარსების“ წელთაღრიცხვაზე, ჩვენი წელთაღრიცხვის გა-  
დაყვანა, ვიქცევით ასე: თუ ისტორიული ფაქტი (მოვლენა) მოხდა  
ახალ წელთაღრიცხვამდე, ვიყენებთ ფორმულას  $R = 754 - H$ , ხოლო

თუ ისტორიული ფაქტი მოხდა ა. წელთაღრიცხვით, მაშინ ვიყენებთ ფორმულას  $R = H + 753$ .

მაგალითი 1. რომის გამოჩენილი მოღვაწე და ორგზომის მარკუს ტულიუს ციცერონი დაიბადა ძვ. წ. 106 წლის სამ იანვარს. რომის დაარსებიდან რომელ წელს დაიბადა მარკუს ტულიუს ციცერონი?

რადგან ციცერონი დაიბადა ძვ. წ. 106 წელს, ვიყენებთ ფორმულას  $R = 754 - H$ -ს. აქ  $R = 754 - 106 = 648$  წ. მაშასადამე, მარკუს ტულიუს ციცერონი დაბადებულა რომის დაარსებიდან 648 წელს.

მაგალითი 2. ა. წ. 14 წლის 19 აგვისტოს გარდაიცვალა რომის იმპერიის დამარსებელი ოქტავიანუს-ავგუსტუსი, რომის დაარსებიდან რომელ წელს გარდაიცვალა ოქტავიანუს-ავგუსტუსი?

რადგან ისტორიული ფაქტი მოხდა ა. წ.-ით, ამიტომ ვიყენებთ ფორმულას  $R = H + 753 = 14 + 753 = 767$  წ.

მაშასადამე, ოქტავიანუს-ავგუსტუსი გარდაცვლილა რომის დაარსებიდან 787 წლის 19 აგვისტოს.

## ბერძნული კალენდარი

ბერძნებს მთვარის კალენდარი შორეული წარსულიდან ჰქონდათ. რასაც მოწმობს პომეროსის „ოდისეა“ (ძვ. წ. IX საუკუნე). ოდისევს-მა მორიგ ხიფათს თავი რომ დააღწიოს, ქალღმერთი კირცე მას ასე-თი სიტყვებით მიმართავს: „სკილას თუ გადურჩი, თრინიკის კუნძულს მიადგები, სადაც მზეს — ჰელიოსს შვიდი ნახირი და შვიდი ცხვრის ფარა დაუდის. თითოეულში ორმოცდაათ-ორმოცდაათი ცხვარ-ძროხაა. ისინი არც იხოცებიან და არც ნამატი აქვთ... თუ ამ წმინდა სვასტაგს ხელს არ ახლებ, სამშობლოში დაბრუნდები“ (39, გვ. 200—201).

აქ თრინიკის კუნძული სიცილიის კუნძულია, ხოლო „შვიდი ნახირი... თითოეულში ორმოცდაათ-ორმოცდაათი ცხვარ-ძროხა“ ასტ-რონომიული შინაარსისაა და იგულისხმება 50 შვიდდღიანი კვირა, რაც მთვარის წელიწადს შეადგენს, ძროხები და ცხვრები კი დღე-ღამეს გამოხატავენ. ამრიგად, შორეულ წარსულში ბერძნებს ჰქონი-თ  $50 \times 7 = 350$  დღელამიანი მთვარის წელიწადი, რომლის ყოველი ოვე შეიცავდა  $350:12 = 29$ , 17 დღე-ღამეს.

რადგან საბერძნეთში თავდაპირველად გაბატონებული იყო კალენდარი, რა თქმა უნდა, იგი წინ გაუსწრებდა მზე კალენდარს და საჭირო იქნებოდა მთვარის კალენდრისათვის 1—13 თვის დამატება. მართლაც, ჩვენს ერამდე პირველი ათასწლეულის დასაწყისში საბერძნეთში მთელ რიგ პოლისებში (ქალაქი-სახელმწიფო) შემოღებულ იქნა მზე-მთვარის კალენდარი. პირველ ხანებში არ იყო შემუშავებული მტკიცე წესი, თუ როდის და ასამდენი ხნის შემდეგ დაემატებინათ მთვარის წელიწადისათვის მე-13 თვე, ამიტომ მისი დამატება ხდებოდა თითოეული ქალაქის მესკეურთა სურვილისა და გადაწყვეტილების მიხედვით. მე-13 თვედ კი გამოყენებული იყო „მეორე პოსეიდონი“.

ჩვენს ერამდე 593 წელს ათენის არქონტმა სოლონმა (638—558) მთელ რიგ რეფორმებთან ერთად გაატარა კალენდრის რეფორმაც. რეფორმის თანახმად, ძალაში დარჩა მზე-მთვარის კალენდარი, მაგრამ მე-13 თვის დამატება ხდებოდა ზუსტად თითო წლის გამოშვებით. ამას მოწმობს სოლონის საუბარი ეგვიპტის ფარაონ კრეზუსთან (568—548), რომლის შესახებ წერს ჰეროდოტე (480—430) მათი საუბრიდან დახლოებით 150 წლის შემდეგ: „თუკი ყოველ მეორე წელს გავაგრძელებ ერთი თვით, — ამბობს სოლონი, — იმისათვის, რომ წლის დროები თავ-თავის ადგილზე მოხვდნენ, მაშინ 70 წელზე მოვა 35 დამატებითი თვე, ხოლო ამ თვეებისაგან შედგება 1050 დღე. მთელი ამ დღეებიდან, რომლებსაც შეიცავს 75 წელიწადი, ეს არის 26 250 დღე“. მაშასადამე, VI—IV საუკუნეებშიც კი ათენის სწავლულები მთვარის თვეში ვარაუდობდნენ 26250:  $(75 \times 12) = 29$ , 17 (და არა 29, 53) დღე-დამეს.

უფრო გონივრული, 8-წლიანი ციკლის მქონე კალენდარი ჰქონდათ პითიელებს. იგი მოიცავდა 99 თვეს. პირველი ოთხი წელიწადი შედგებოდა  $12 \times 4 + 1 = 49$ , ხოლო მეორე ოთხი წელიწადი —  $12 \times 4 + 2 = 50$  თვისაგან. ამ 8 წლიდან 5 წელიწადი 12-თვიანი იყო, ხოლო მე-2, მე-5 და მე-8 წლები — 13-თვიანი.

პითიელები სპორტულ თამაშობებს ატარებდნენ ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, 7 ბუკატის (აგვისტოს). ამ დღეს მთავრდებოდა მთვარის პირველი მეოთხედი. თამაშობანი ეძღვნებოდა ოლიმპიულ ქალღმერთს ლეტოსა და ზევსის ვაჟს აპოლონს. აპოლონი მფარველობდა ხილის კრეფას, რაც, ჩვეულებრივ, აგვისტოს თვეში ხდებოდა. ოლიმპიური თამაშობანიც 49 ან 50 თვის ინტერვალით ტარღებოდა, მაგრამ ეს ინტერვალი იმით განსხვავდებოდა ათენელების ინტერვა-

ლისაგან, რომ ოლიმპიური თამაშობანი იწყებოდა ზაფხულის მზებულობის პირველი ახალმთვარეობისას... ეს დრო კი შესაბამება ჩვენი კალენდარული წელიწადის ივლისის თვეს. რაღანაც საბერძნეოს ყოველ პოლის თავისი კალენდარი ჰქონდა, ოლიმპიურ თამაშობათა ხელმძღვანელები, რამდენიმე თვით აღრე აგზავნიდნენ მაცნეებს საბერძნეთის ყოველი კუთხისაკენ...

საბერძნეთის თითოეულ პოლის 12-თვიანი კალენდარი ჰქონდა, შაგრამ კალენდარული წელიწადის ათვლა სხვადასხვა დროიდან ხდებოდა. მაგალითად, ათენსა და დელფოსში წელიწადი იწყებოდა ზამთრის მზებულობის პირველი ახალმთვარეობიდან; თებეში — ზამთრის მზებულობიდან; ქ. ოისში — გაზაფხულის დღეღამტოლობიდან; სპარტაში, მილეტში, როდოსისა და კრეტის კუნძულებზე — შემოდგომის დღეღამტოლობიდან და ა. შ. ახალი წლის დაწყების სხვადასხვაობა კი, აღბათ, გამოწვეული იყო ადგილობრივი და ბუნებრივი ფაქტორებით.

პოლისებში განსხვავებული იყო აგრეთვე თვის დღეთა რაოდენობაც და თვეების სახელწოდებებიც. ასე მაგალითად, ათენში დამკაიდრებული იყო კალენდარული წელიწადის თვეთა შემდეგი სახელწოდებანი: 1. ჰეკატომბეონი, (ივლისი-აგვისტო); 2. მეტაგეიტნიონი (აგვისტო-სექტემბერი); 3. ბოედრომიონი (სექტემბერი-ოქტომბერი); 4. პიანეპიონი (ოქტომბერი-ნოემბერი); 5. მემაკტერიონი (ნოემბერი-დეკემბერი); 6. პოსეიდონი (დეკემბერი-იანვარი); 7. გამელიონი (იანვარი-თებერვალი); 8. ანტესტერიონი (თებერვალი-მარტი); 9. ელაფებოლიონი (მარტი-აპრილი); 10. მუნისიონი (აპრილი-მაისი); 11. ფერგელიონი (მაისი-ივნისი); 12. სკიროფერიონი (ივნისი-ივლისი).

დ ე ლ ი ს შ ი: 1. ჰეკანტობი; 2. მეტაგეიტნი; 3. ბუფონი; 4. აპატური; 5. არესი; 6. პოსეიდონი; 7. ლენეი; 8. ჰიეროსი; 9. გალაკსი; 10. არტემისი; 11. ტარგელი; 12. პანემოსი.

დ ე ლ ფ ი ს შ ი: 1. აპელეი; 2. ბუკატი; 3. ბოატოი; 4. ჰერეი; 5. დაიდოფორი; 6. პატროფი; 7. ამალი; 8. ბისი; 9. თეოქსენი; 10. ენდისპონიტროფი; 11. ჰერაკლი; 12. ილეი.

თითქმის ყოველ პოლისში ყოველი თვე იწყებოდა ახალმთვარობიდან, ე. ი. იმ მომენტიდან, როცა ახალი მთვარე შეუიარაღებელი თვალით შეიმჩნეოდა. თვეები იყოფოდა სამ დეკადად. იმ შემთხვევაში, თუ თვე შედგებოდა 29 დღისაგან, უკანასკნელი დეკადა შედგებოდა 9 დღისაგან და, თუ პირველ ორ დეკადაში დღეთა გადათვლა ხდებოდა 1-დან 10-ის ჩათვლით, უკანასკნელი — მესამე დეკადის

დღეთა გადაოვლა ხდებოდა უკუთვლით, ე. ი. ბერძნები ითვლიონენ, თუ რამდენი დღე დარჩა მორიგ ახალმთვარეობამდე.

ნებისმიერი პოლისის ოფიციალური კალენდარი სოფლის შეუჩნეთათვის გამოუსაღებარი იყო, რადგან იგი ყოველთვის ჩაშირჩებოდა ან წინ უსწრებდა მზის ჭეშმარიტ წელიწადს. გარდა ამისა, ყველა მეურნემ როდი იცოდა ოფიციალური კალენდრის გამოყენება. ყველაფერი ეს ხელს უშლიდა სოფლის მეურნეთ დროულად ეწარმოებინათ სასოფლო-სამუშაოები. სწორედ ამან აიძულა ანტიკური საბერძნეთის პოეტი ჰესიოდე (VIII—VII სს.) ასტრონომიული მონაცემების საფუძველზე შეექმნა პოემა „სამუშაონი და დღენი“. პოემა ისე იყო აგებული და დაწერილი, რომ სოფლის მეურნე მას აღვილად სწავლობდა ზეპირად და პრაქტიკულად იყენებდა. ამ პოემას „სოფლის მეურნის კალენდარსაც“ კი უწოდებდნენ.

ჰესიოდე სოფლის მეურნეთ ურჩევდა: გაელესათ ნამგლები და მომზადებულიყვნენ მკისათვის, როცა ხომლის თანავარსკვლავედი ცისკრის ვარსკვლავთან ერთად ამოვიდოდა (8 მაისიდან). მიწის ხვნა დაწყოთ მაშინ, როცა ხომლის თანავარსკვლავედი დაიწყებდა ჩასვლას (7 ნოემბრიდან). ხორბლის დაფქვა დაწყოთ მაშინ, როცა ორიონის თანავარსკვლავედი გამოჩნდებოდა (ივლისის შუა რიცხვები). ეს მოეჭრით მაშინ, როცა სირიუსი გადაივლიდა ცის თაღს (თებერვლის მეორე ნახევარი). ვაზისათვის ლერწები შეეჭრათ მაშინ, როცა ზამთრის მზებულობიდან 60 დღე გავიდოდა და დაბინდებისას ვარსკვლავი არქტური დაიწყებდა ამოსვლას (თებერვლის ბოლოდან). ყურძნის კრეფა დაწყოთ მაშინ, როცა ორიონი და სირიუსი გამოჩნდებოდნენ ცის შუა თაღზე (სექტემბერი) და ა. შ.

თვის 30-რიცხვი საუკეთესოა სამუშაოების გასანაწილებლად და თადარიგის დასაჭრად, — განაგრძობს ჰესიოდე, — რადგან ამ დღეს თვით ზევსია მრჩეველი.

თვის პირველი, მეოთხე, მეშვიდე დღეები წმინდაა, განსაკუთრებით კი უკანასკნელი — ამ დღეს ლეტოსმა შობა აპოლონი ოქროს მახვილით ხელში.

მერვე და მეცხრე, ეს ორი დღე, როცა მთვარე იზრდება, მოკვდავთათვის საუკეთესოა სამუშაოების კარგად დასამთავრებლად.

მე-11 და მე-12, ორივე კარგია ცხვარის გასაკრეჭად; მე-11 ჯობია მე-12-ს, რადგან ამ დღეს ქალები საქსოვ დაზეგებთან დადგებიან და მუშაობას შეუდგებიან. როცა თვის მე-13 რიცხვი იწყებს გადაწურ-

ეს, დაიწყე თესვა, მცენარეულობის დასარგავადაც საუკეოესო ქს  
ღლე.

მეორე დეკადის მეშვიდე დღეს — დემეტრეს მიართვი წმინდა  
საჩუქრები და კალოზე გულდასმით აურიე და გაბერტყე ხორბალი,  
ხეებიც მოჰქერი სახლის ბოძებისათვის და ხომალდის გასამართავად  
და ა. შ.

სოკრატეს, პითაგორას, პლატონის, არისტოტელეს და მრავალი  
სხვა ტიტანი მოაზროვნის სამშობლო-საბერძნეთი ღირსი იყო ჰეონო-  
და ყველაზე საუკეთესო კალენდარი. და, მართლაც, როცა ბერძენი  
ხალხი ემზადებოდა რიგით 87-ე ოლიმპიადისათვის, ჩვენს ერამდე  
432 წელს, ოლიმპოს მთავარ მოედანზე აღმართეს ქვის სვეტი. მასზე  
ამოკეთილი იყო 12 ცხრილი ვარსკვლავებისა და თანავარსკვლავე-  
დების სახელწოდებებით, ხოლო სახელწოდებათა მარცხნივ, ასევე  
მათ შორის, იყო 30 ნასვრეტი. ნასვრეტებში ამაგრებლნენ მიმღინარე  
თვის რიცხვებით აღნიშნულ წყირებს. ეს გახლდათ მზე-მთვარის კა-  
ლენდარი, რომლითაც შეიძლებოდა არა მარტო წელიწადის 12 თვის  
დღეთა აღრიცხვა, არამედ მზის წელიწადის დროთა დადგენაც ცის  
თაღზე ვარსკვლავთა გადაადგილების საშუალებით. ასეთი ქვის კა-  
ლენდარი მეცნიერებაში „პარაპეგმის“ სახელწოდებითაა ცნობილი,  
რაც „დამაგრებას“ ნიშნავს. ოლიმპიადაზე მოსული ხალხი სვეტს  
უყურებდა და აღტაცებაში მოდიოდა. მის შემოქმედს ათენელ ასტ-  
რონომ მეტონს ქება-დიდებას ასხამდნენ. როცა მეტონმა ალტისის  
ცენტრალურ მოედანზე აღმართულ თეთრი მარმარილოს მრავალთა-  
ღიან ტაძარში სიტყვა წარმოთქვა თავისი კალენდრის შესახებ, მად-  
ლიერი ხალხი მას ზეიმით შეხვდა და იგი ოლიმპიადის გმირად აღია-  
რეს.

მეტონის ქვის სვეტი თვალსაჩინოდ ადასტურებდა ახალი კალენ-  
დრის უპირატესობას, რადგან, როგორც მეტონმა დაასაბუთა, „ყოვე-  
ლი ახალმთვარობა და, საერთოდ, მთვარის ყოველი ფაზა 19 წელი-  
წადში ერთხელ ემთხვევა ვარსკვლავიერ კალენდარს, ანუ მზის წე-  
ლიწადის ერთსა და იმავე თარიღებს. ასეთი დამთხვევა ზუსტად მე-  
ორდება 235 მთვარის თვის გასკვლის შემდეგ, ე. ი. მეტონმა იციდა,  
რომ მზის წელიწადი გრძელდებოდა 365, 25 დღე-ლამეს, 19 მზის წე-  
ლიწადი მოიცავს 6939, 75 დღე-ლამეს, ე. ი. დაახლოებით იმდენს,  
რამდენიც 235 მთვარის განმავლობაშია, თუ თვეში საშუალოდ 29,  
53 დღე-ლამეს ვიანგარიშებთ. მაგრამ მეტონის კალენდარის მიხედვით,

მთვარის 19 წელიწადი შედგებოდა  $12 \times 19 = 228$  თვისაგან. იმისათვის, რომ მთვარის 19 წელიწადი მზის 19 წელიწადისათვის მიესადაგებინა, საჭირო იყო 7 თვის დამატება და მეტონმა თავის 19-წლიან ციკლს ყოველ მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-14, მე-17 და მე-9 წლებს ჩატარება მე-13 თვე; თანაც მე-3, მე-8, მე-11, მე-19 წლები ნაკიანი (385-დღიანი) იყო.

მეტონის 19-წლიანი მზე-მთვარის კალენდარი ზედმიწევნით ზუსტი როდია, მაგრამ იგი მალე გავრცელდა ბაბილონეთში, იუდეაში და ზოგ არაბულ ქვეყანაში.

ძველ საბერძნეთში თავდაპირველად რაიმე ერა (წელთაღრიცხვა) არ ყოფილა. ესა თუ ის მოვლენა ხშირად თარიღდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომაღენნლის — არქონტის მიხედვით. მაგრამ ჩვენი წელთაღრიცხვიდან რამდენიმე საუკუნის წინ ხმარებაში შემოვიდა ერა ოლიმპიადების მიხედვით. ასეთ ერას საფუძვლად დაედო მთელ საბერძნეთში პოცულარული სპორტული თამაშობანი, რომლებიც ტარდებოდა ყოველ 4 წელიწადში ერთხელ ქ. ოლიმპოში. ერის საწყისად, ოლიმპიადების მიხედვით, ითვლებოდა პირველი ოლიმპიადა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ჩატარებულია ჩვენს ერამდე ზაფხულის მზებულობიდან პირველი ახალმთვარობის დროს, ე. ი. 8 ივლისს (თანამედროვე რვა ივლისი, ძველი ბერძნებისათვის იყო ახალი წლის პირველი დღე, ე. ი. პირველი ივლისი).

მიუხედავად იმისა, რომ იმპერატორმა თეოდოს I-მა ჩვენი წელთაღრიცხვის 394 წელს სასტიკად აკრძალა ოლიმპიადების ჩატარება, როგორც „წარმართობის საზიზღარი „გადმონაშთი“, წელთაღრიცხვა ოლიმპიადების მიხედვით მაინც გრძელდებოდა. იგი პრაქტიკულად პირველად გამოიყენა ბერძენმა ისტორიკოსმა ტიმეოსმა (352—256), როცა იგი წერდა თავის საშობლოს ისტორიას — სიცილიის — ისტორიას, დაწყებული შორეული წარსულიდან ჩვენს ერამდე 264 წლამდე.

ოლიმპიური ერის მიხედვით, თითოეულ ოლიმპიადაში 4 წელიწადია. წლების ათვლა ხდება ოლიმპიადის მიხედვით. მაგალითად, პირველი წელი მესამე ოლიმპიადის შემდეგ, მეორე წელი მესამე ოლიმპიადის შემდეგ, მესამე წელი მესამე ოლიმპიადის შემდეგ, მეოთხე ოლიმპიადა. პირველი წელი მეოთხე ოლიმპიადის და ა. შ.

ოლიმპიური წელთაღრიცხვა გრიგოლის, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვის, კალენდარზე რომ გადავიყვანოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რომ

ყოველი ელინური (ბერძნული) წელიწადი შეესაბამება ჩვენი წელიწადის მეორე ნახევარს და მისი მომდევნო წელიწადის პირველ ნახევარს. რაღაც ძველი საბერძნეთის წელიწადი იწყებოდა ივლისის პირველ დეკადიდან, ამიტომ საჭიროა ოლიმპიადათა რიცხვი გამრავლებეს ოთხზე და მის ნამრავლს გამოაქლდეს 776 (თუ ეს მოვლენა მოხდა შემოდგომაზე ან ზამთარში) ან 775 (თუ მოვლენა მოხდა გაზაფხულზე ან ზაფხულში). ოლიმპიური ერის წელთაღრიცხვა გრიგოლის წელთაღრიცხვაზე რომ გადავიყვანოთ, საჭიროა გამოვიყენოთ ფორმულა:  $M = 4(h-1) + (t-1)$ , სადაც  $h$  ოლიმპიადის რიგითი ნომერია,  $t$  კი — ოლიმპიადის შემადგენელი ნაწილის ნომერი, ე. ი. თარიღების გადაყვანის დროს საჭიროა ერთით შემცირებული ოლიმპიადის რიცხვი გამრავლდეს 4-ზე და მიემატოს ერთით შემცირებული რიგით უკვე ჩატარებული ოლიმპიადიდან გასულ წელთა რაოდენობა; შემდეგ, თუ  $M < 776$ , მაშინ  $776 - M$  უდრის ჩვენს ერამდე წელთა რიცხვს. თუ  $M \geq 776$ , მაშინ  $M - 775$  უდრის ჩვენი ერის წელთა რიცხვს.

მაგალითი 1. ათენის კალენდრის მიხედვით სალამანის სრუტეში სპარსელებთან გამართულ ბრძოლაში ბერძნებმა გაიმარჯვეს 75.1 წლის ბოედრობიონის თვეში. ჩვენი წელთაღრიცხვით რომელ წელს გაიმარჯვეს ბერძნებმა სპარსელებზე სალამინის სრუტეში?

$$M = 4(75-1) + (1-1) = 296.$$

რაღაც  $296 < 776$ , ამიტომ  $776 - 296 = 480$  წელს ჩვენს ერამდე. ბოედრობიონის თვე კი ჩვენი კალენდრით სექტემბრის თვეა, მაშასადამე, ბერძნებს სპარსელებზე გაუმარჯვეიათ ჩვენს ერამდე 480 წლის სექტემბრის თვეში.

მაგალითი 2. გამოჩენილი ბერძნი არატორი დემოსთენე გარდაიცვალა 114-ე ოლიმპიადიდან მესამე წლის პიანეპსიონის თვის მე-16 დღეს. ჩვენი წელთაღრიცხვით რომელ წელს გარდაიცვალა დემოსთენე?

$M = 4(114-1) + (3-1) = 454$ ;  $454 < 776$ ;  $776 - 454 = 322$ . პიანეპსიონის თვე იწყება 26 ოქტომბერს. 26-ს მივუმატოთ 15, მივიღებთ 10 ნოემბერს. მაშასადამე, დემოსთენე გარდაიცვლილა ჩვენს ერამდე 322 წლის 10 ნოემბერს.



ბაბილონეთის დედამდინარეები და საარსებო წყარო მდ. ტიგრთ-  
სი და ევფრატი იყო. ეგვიპტელებისათვის მდ. ნილოსი. ჩინეთისათვის  
კი ჰუან-ჰე და იან-ცძი-ცძიანი. ეს ორი მდინარე, ისე როგორც ტიგრო-  
სი, ევფრატი და ნილოსი წლის გარკვეულ დროს ივსებოდა წყლით,  
გადმოდიოდა კალაპოტიდან, წყლის კლებისას კი სანაპიროზე ტოვებდა  
ნოკიერ და რბილ შლამს, რაც ჩინეთის მისახლეობას საშუალებას  
აძლევდა წელიწადში ორი-სამი მოსავალი მიეღო. მაგრამ ჩინელები  
ბუნების წყალობას როდი შესცემოდნენ. მათ, როგორც ბაბილონე-  
ლებს და ეგვიპტელებს, გაჰყავდათ არხები და ამით არა მარტო ადი-  
დებდნენ სავარგული მიწების ფართობს, არამედ ჩინეთის ერთ რეგი-  
ონს უკავშირებდნენ მეორეს.

ხანდახან მდ. ჰუან-ჰე და იან-ცძი-ცძიანი წყალუხვობისას და კო-  
კისპირული წვიმების შემდეგ მოულოდნელად გადმოვიდოდნენ ნაპი-  
რებიდან და მთელ ნათეს ფართობს და სოფლებს ფარავდა. ჩინელები  
არ ეპუებოდნენ ბუნების ამ სტიქიას და მდინარეების ზღვრულ ნაპი-  
რებზე აგებდნენ მიწის მაღალ ჭებირებს.

ჩინელები შრომისმოყვარე, გონიერი და განსწავლული ხალხია,  
მათ აქვთ უძველესი, ძალზე მდიდარი კულტურა. ამას ადასტურებს  
ძველი ჩინური ქალაქების გრანდიოზულობა, უზარმაზარი კეთილ-  
მოწყობილი ნაგებობანი, 60 000 კმ სიგრძისა და 11 მ სიმაღლის ჩი-  
ნური კედელი თავისი კოშკებითა და ჭიშკრებით, 6 400 კმ სიგრძის  
დიდი არხი, მაღალი ჭებირები, ხელოვნების იშვიათი ნიმუშები და  
არქიტექტურული მემკვიდრეობა.

ჩინელებმა შეაღწის ინდო-ჩინეთში, რიუ-კიუს კუნძულებზე,  
ტაივანში, კორეაში, იაპონიაში და ამ ქვეყნებში დანერგეს თავიანთი  
კულტურის მრავალი მიღწევა. მათ შეიმუშავეს ქალალდისა და აბრე-  
შუმის, თოფის წამლისა და ფაიფურის წარმოება. პირველებმა მიმოქ-  
ცევაში შემოიღეს ქალალდის ფული, გამოივონეს კომპასი. ძვ. წ-ის  
VIII საუკუნეში იცოდნენ რკინის გამოდნობა, გუთნით მიწის მოხვნა,  
იყენებდნენ ნამგალსა და ცელს, საერთოდ, ჩინელები კარგი მეურნე-  
ნი იყენენ. მდინარეების ჰუან-ჰესა და იან-ცძი-ცძიანის ნოკიერი შლა-  
მიანი ნაპირები მათ ხელს უწყობდა წელიწადში ორი მოსავალი მიე-  
ღოთ. ერთი სიტყვით, ყველა პირობა ჰქონდათ მიწათმოქმედების გან-  
ვითარებისათვის. მხოლოდ საჭირო იყო დროულად შედგომოდნენ მი-  
წის დამუშავებას და მოსავლის აღებას. ამას, რა თქმა უნდა, კალენდ-

რის გარეშე ვერ მოახერხებდნენ. მართლაც მათი კალენდარი რაშდე-  
ნაღმე უფრო ზუსტი იყო, ვიდრე სხვა ქვეყნებისა.

ჩინელ მიწათმოქმედებს „მეგზურობას“ (ისევე როგორც კალენდარი უწევდნენ) ცის მნათობები უწევდნენ. ამიტომაც იყო, რომ შორეულ  
წარსულში ჩინელმა ასტრონომებმა შეადგინეს კალენდარი „მთვარის  
განრიგის მიხედვით“. კალენდარული წელიწადი იწყებოდა ახალმთვა-  
რეობით, რომელიც წინ უსწრებდა მზის შესვლას მერწყულის თანა-  
ვარსკვლავედში ეს კი ემთხვეოდა იანვარ-თებერვალს. წელიწადი იყო  
354-დღიანი და შეიცავდა 12 თვეს. თვეები თანმიმდევრულად 30 და  
29-დღიანი იყო. მათ თავდაპირველად საკუთარი სახელები არ ერქ-  
ვათ, უწოდებდნენ: „პირველ მთვარეს“, „მეორე მთვარეს“, „მესამე  
მთვარეს“ და ა. შ.

ჩინელები 30-დღიან თვეს ყოფდნენ სამ დეკადად. 29-დღიან  
თვეში ორი სრული და ერთი 9-დღიანი დეკადა ჰქონდათ. ღასვენების  
დღეებად დაკანონებული იყო 1-ლი, მე-11 და 21-ე დღეები. ისინი  
კალენდარში განსაკუთრებულად იყო აღნიშნული.

ძვ. წ-ის II ათასწლეულში ჩინური კალენდარი მოდერნიზებულ  
იქნა მზე-მთვარის 5-წლიან ციკლურ კალენდრად. რაღვან ჩინური კა-  
ლენდრის მიხედვით წელიწადში ოთხი დრო იყო, ამიტომ მზე წლის  
დასაწყისში ზოდიაქოს ერთი და იმავე ნიშნის ქვეშ რომ ყოფილიყო,  
ლროდადრო, მე-3 და მე-5 წელიწადს მე-13 თვეს უმატებდნენ.

ჩინეთის სწავლულები უძველესი დროიდან სწავლობდნენ ცის  
მექანიკას. მატიანეს ცნობით მეფის კარის ასტრონომები ხი და ხო  
ძვ. წ-ის 2137 წელს იმიტომაც იქნენ ღასჩილი სიკვდილით, რომ უც-  
ბად დღისით-მზისით ჩამობნელდა ცა, მზე და მთვარე ერთმანეთს შე-  
ხვდნენ კირჩხიბის თანავარსკვლავედში, რამაც ჩინელები შეაძრწუნა,  
ხოლო მზის დაბნელება ხის და ხოს მხედველობიდან გამოეპარათ. ეს  
გადმოცემა იმაზე მეტყველებს, რომ ცის მექანიკის შესწავლა, ძველ  
ჩინეთში, სახელმწიფოებრივ საქმედ იყო მიჩნეული.

ჩინეთში ასტრონომიის პარალელურად ვითარდება ფილოსოფიუ-  
რი აზროვნებაც. საყურადღებოა, რომ თუ საბერძნეთის ფილოსოფიის  
ფუძემდებელი თალესი მატერიალური სამყაროს პირველსაწყისად  
მიიჩნევდა წყალს, ანაქსიმენე — პაერს, ანაქსიმანდრე — „პაერიონს“ —  
დამიანისათვის შეუცნობად, უხილავ მატერიას, ხოლო ემპედოკლეს  
თავის ფილოსოფიურ პოემაში „ბუნების შესახებ“ საგანთა მრავალ-  
ფეროვნება დაჰყავს ოთხ პირველსაწყისზე: მიწაზე, წყალზე, პაერსა  
და ცეცხლზე. მისი აზრით, სამყაროში არსებული ყოველი ცალკეული

საგანი წარმოადგენს ოთხი ელემენტის ანუ სტიქის შეერთებისა და დაშლის შედეგს.

ბერძენი ფილოსოფოსებისაგან განსხვავებით, ჩინელი მოაზროვნები სამყაროს პირველსაწყისად თვლიდნენ 5 ელემენტს: ხეს, ცეცხლს, მიწას, ლითონს და წყალს. ამ ხუთ სტიქის უსადაგებდნენ ქვეყნის ხუთ მხარეს: ჩრდილოეთს, სამხრეთს, დასავლეთს, აღმოსავლეთსა და ცენტრს, თანაც ქვეყნის ცენტრად თვით ჩინეთი მიაჩნდათ.

ჩინელი მოაზროვნების მსოფლმხედველობით 5 ელემენტი ანუ სტიქია: ხე, მიწა, ცეცხლი, ლითონი და წყალი იმიტომაც არის ყოველივეს პირველსაწყისი, რომ ხე ბალებს წყალს, წყალი აქრობს ცეცხლს, ცეცხლი აღნობს ლითონს, ლითონი ჭრის ხეს, ხე იზრდება მიწაზე, ასე იკვრება და წარმოიქმნება დაუსრულებელი წრებრუნვა, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, ეს კი ჩინელი მოაზროვნების გაბედული განაცხადი იყო, რადგან მაშინდელ ეპოქაში ღიღი სითამამე იყო საჭირო, რომ გეთქვა: „სამყარო უსასრულოა, მას არ აქვს ზღვარი სივრცეში და დროში, რომ იგი მუდმივ მოძრაობაშია“. მართალია, ჩინელ მოაზროვნეთა მსჯელობა ყოვლის-მომცველ ხუთეულის შესახებ გულუბრყვილოა, მაგრამ იგი რაღიკალურად განსხვავდება ბაბილონურ „იდუმალ შვიდეულისაგან“. ბაბილონელ ქურუმებს ბრმად სწამდათ უხილავი და მრასხანე ღმერთების ჯაღისნური ყოვლისშემძლეობა. ჩინელ მოაზროვნეთა მსოფლმხედველობით სამყაროს ცალკეული ღმერთი ან ღმერთები კი არ განაგებენ, არამედ სამყაროს განაგებს ღმერთებისაგან დამოუკიდებლად არსებული ხუთი სტიქია და აღამიანი რაც უფრო ღრმად შეიცნობს სტიქიის იდუმალებას მით უფრო ბედნიერი იქნება. ამრიგად, ჩინელი მოაზროვნები მოუწოდებდნენ აღამიანებს შეეცნოთ ის კანონები, რომლებიც ერთნაირადაა სავალდებულო როგორც მიწისათვის, ისე ცისათვის.

ჩინელი მოაზროვნების მსოფლმხედველობით სამყაროში და ყოველთვის მიმდინარეობდა და მიმდინარეობს ბრძოლა ორ საპირისპირო ძალას შორის და ეს ძალები ღმერთები კი არ არიან, არამედ კოსმოსური საწყისები კაცი (მამრი) — იანი და ქალი (მდედრი) — ინი. იანს მიაწერდნენ 5 თვისებას: ნათელს, თბილს, მშრალს, სიმტკიცეს, აქტიურობას. ინიც 5 თვისებით ხასიათდება: ბნელით, სიცივით, სინოტივით, რბილით, პასიურობით. მათი აზრით მიწაც და ცაც ისეთი-ვი დამოკიდებულებაში იყვნენ ერთმანეთთან, როგორც იანი და ინი.

ჩინელი მოაზროვნების გაგებით 5 კენტი რიცხვი: 1, 3, 5, 7, 9

ციურ რიცხვებად ითვლებოდნენ, ხოლო 5 ლუწი რიცხვი: 2, 4, 6, 8,  
10-მიწიერ რიცხვებად.

სამყაროს პირველსაწყისების 5 სტიქიისადმი ასეთმა წარმოდგე-  
ნამ და რიცხვებისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ, გარკვეული გავ-  
ლენა მოაზღინა იმ ასტრონომებზე, რომლებსაც ეკისრებოდათ ჩინე-  
თის კალენდრის ბედ-ილბლის გადაწყვეტა და მართლაც, ჩინელმა ას-  
ტრონომებმა შექმნეს 60-წლიანი ციკლური კალენდარი, რომელიც  
მთლიანად დამყარებული იყო მაშინდელი ეპოქის ჩინელი მოაზროვ-  
ნების ფილოსოფიურ შეხედულებებზე.

ჩინური 60-წლიანი ციკლური კალენდარი შედგებოდა ხუთი ორ-  
მაგი სვეტისაგან, რომლებსაც ესადაგებოდა ხუთი ორმაგი სტიქია:  
1. „მუ“ — ხე, 2. „ხო“ — ცაცხლი, 3. „ტუ“ — მიწა, 4. „ცძინა“ —  
ლითონი, 5. „შუი“ — წყალი. თითოეული სვეტი წარმოდგენილი იყო  
ორი — „იანისა“ (მამრისა) და „ინის“ (მდედრის) სახით. „იანის“ შე-  
სატყვისი იყო კენტი „ციური სვეტები“ — 1-ლი, მე-3, მე-5, მე-7,  
მე-9, თავისი სახელწოდებებით: „ცძია“, „ბინ“, „უ“, „გენ“, „ჟენ“,  
ხოლო „ინის“ შესატყვისი იყო ლუწი „მიწიერი სვეტები“ — მე-2,  
მე-4, მე-6, მე-8, მე-10 თავიანთი სახელწოდებებით: „ი“, „დინ“,  
„ცძი“, „სინ“, „გუი“. ამრიგად, გამოდიოდა 10 ვერტიკალური სვეტი,  
ანუ როგორც მას უწოდებდნენ „ცის ტოტები“.

60-წლიანი ციკლური კალენდრის თვეების აღსანიშნავად გამოყე-  
ნებული იყო ე. წ. „დედამიწისეული ტოტები“ და მოიცავდა 12 სა-  
ხელწოდებას: 1. „ცძი“ — იანვარი, 2. „ჩოუ“ — თებერვალი, 3.  
„ინ“ — მარტი, 4. „მაო“ — აპრილი, 5. „ჩენ“ — მაისი, 6. „სი“ —  
ივნისი, 7. „უ“ — ივლისი, 8. „ვეო“ — აგვისტო, 9. „ჟენ“ — სექტემ-  
ბერი, 10. „იუ“ — ოქტომბერი, 11. „სიუი“ — ნოემბერი, 12. „ხაი“ —  
დეკემბერი.

ცის 5 და დედამიწის 12 ტოტი ქმნიდა 60-წლიან კალენდარულ  
ციკლს.

დაახლოებით ორი ათასი წლის შინათ „მიწისეული ტოტების“  
შერიოდების ნიშნებს დაუმატეს 12 ცხოველის სახელი. თითოეული  
ცხოველის სახელი ერთი ციკლის დამთავრებამდე მეორდებოდა 5-ჯერ.  
ცხოველების სახელები შემდეგი გახლდათ: 1. „მუ“ — თავი, 2.  
„ნიუ“ — ძროხა, 3. „ხუ“ — ვეჟენი, 4. „ტუ“ — კურდლელი, 5.  
„ლუნ“ — ურჩელი, 6. „შე“ — გველი, 7. „მა“ — ცხენი, 8. „იან“ —  
ვერძი, 9. „ხოუ“ — მამუნი, 10. „ცძი“ — ქათამი, 11. „გოუ“ —  
ძაღლი, 12. „ჩეუ“ — ღორი.

4. ვ. კონალეიშვილი

60-წლიანი ციკლის პირველ წელიწადს, რომელიც მოთავსებულია ცის ტოტის „ცძია“-სა და დედამიწისეულ ტოტის „ცძია-შედაგეთაში აღნიშნავდნენ „ცძია-ცძია“-ს ნიშნით და იწოდებოდა, „მუშუ“-ს — ხისა და თაგვის წელიწადის ამასთან ჩინელები სარგებლობდნენ წელიწადის მოკლე დასახელებითაც და „მუ-შუს“ — ხისა და თაგვის წელიწადს, მოკლედ „შუს“ — თაგვის წელიწადს უწოდებდნენ. თაგვის წელიწადს ეკუთვნოდნენ 60-წლიანი ციკლის პირველი, მე-13, 25-ე, 37-ე და 49-ე წლები, ე. ი. მეორდებოდა ხუთჯერ და ითვლებოდა მამრ წლებად.

მეორე წელიწადი აღინიშნებოდა „ი-ჩოუ“-ს ნიშნებით, იწოდებოდა „მუ-ნიუს“ ხისა და ძროხის ანუ მოკლედ ძროხის წელიწადად. „ნიუს“ — ძროხის წელიწადად იყო ციკლის მე-2, მე-14, 26-ე, 38-ე, მე-40 წლებიც, ე. ი. მეორდებოდა 5-ჯერ და ითვლებოდნენ მდედრ წლებად.

მესამე წელიწადი აღინიშნებოდა „ბინ-ინი“-ს ნიშნებით, იწოდებოდა „ხო-ხუს“ — ცეცხლისა და ვეფხვის ანუ მოკლედ ვეფხვის წელიწადად. „ხუ“-ს — ვეფხვის წელიწადად ითვლებოდა ციკლის მე-3, მე-15, 27-ე, 39-ე, 51-ე წლები ანუ ხუთი მამრი წელიწადი.

მე-60 წელიწადი აღინიშნავდნენ „გუი-ხაი“-ს ნიშნებით, იწოდებოდა „შუი-ჩუ“-ს — წყალისა და ლორის ანუ მოკლედ „ლორის“ წელიწადად. ლორის წელიწადად წოდებული იყო აგრეთვე 60-წლიანი ციკლის მე-12, 24-ე, 36-ე, 48-ე წლები და ითვლებოდნენ მდედრ წლებად. ამიტომაცა, როცა ჩინელს ეკითხებიან რამდენი წლისა ხარო, იგი პასუხობს მე დავიბადე მაიმუნის წელიწადშიო და აქ გასაკვირი არაფერია. რადგან ჩინელები სარგებლობენ წელიწადის მოკლე დასახელებით. ცხრილში „ხოუ“, ანუ მაიმუნის წელიწადი 60-წლიანი ციკლის მე-9, 21-ე, 33-ე, 45-ე, 57-ე წლებია. ამიტომ, თუ რომელ წელსაა დაბადებული ჩინელი, იგი უნდა გამოიცნოთ მისი გარეგნობის მიხედვით.

როგორი გამჭრიახები და გონებამახვილებიც არ უნდა ყოფილიყვნენ ძვ. წ. III ათასწლეულის ჩინელი ასტრონომები, ისინი მაინც ვერ შეძლებდნენ სრულყოფილი კალენდრის შექმნას, რადგან სათანადოდ არ იყო შესწავლილი ცის მექანიკა, არ იყო განვითარებული გამოთვლითი ტექნიკა. ამიტომაც ჩინელებმა მხოლოდ ძვ. წ.-ის VI საუკუნეში შეძლეს 60-წლიანი კალენდარული ციკლის 19-წლიანი ციკლით შეცვლა.

VI საუკუნის ჩინელი ასტრონომების გამოთვლით ახალმთვარეო-

ბა ახალ წელს ემთხვევა ზამთრის მზებუღობის არა რვა (როგორც  
 მეორე ათასწლეულის ასტრონომები ფიქრობდნენ), არამედ  $19 \frac{7}{19}$  მთვა-  
 რიერ წელიწადში ერთხელ, ანუ 235 მთვარის თვის შემდეგ, კალენდ-  
 რის მიხედვით კი 19 წლის განმავლობაში გადის  $19 \times 12 = 228$  მთვა-  
 რის თვე. გარდა ამისა, ასტრონომების გამოთვლით მზისმიერი წელი-  
 წალი შედგებოდა  $12 - \frac{7}{19}$  მთვარის თვისაგან, ამიტომ მთვარის ყოვე-  
 ლი კალენდარული წელიწადის გასვლის შემდეგ, ზამთრის მზებუღო-  
 ბამდე კიდევ ჩრებოდა  $\frac{7}{19}$  მთვარის თვე, ორი წლის შემდეგ ეს სხვა-  
 ობა  $\frac{14}{19}$  -მდე იზრდებოდა, მესამე წელს  $\frac{21}{19}$  -მდე და ა. შ. ამის გამო  
 ჩინელი ასტრონომები იმ დასკვნამდე მივიღნენ, რომ ყოველ 19 წელი-  
 წალში 7 წელიწადს უნდა დაშატებოდა მე-13 თვე, რადგან  $\frac{7}{19} \times 19 =$   
 7 თვეს და ჩინელებიც მე-13 თვეს უმატებდნენ 60-წლიანი ციკლის  
 მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-14, მე-16 და მე-19 წლებს. ასე მოხდა ძვ.  
 წ.-ის VI საუკუნეში 60-წლიანი ციკლური კალენდრის მოღერნიზაცია.

ჩინელი ასტრონომები მოგვიანებითაც ცდილობდნენ თავიანთი  
 კალენდრის სრულყოფას. მაგალითად, XI საუკუნეში ჩინელმა მათე-  
 მატიკოსმა და ასტრონომმა შენ კომ (1031—1095) შეაღვინა ისეთი  
 მზისმიერი კალენდარი, რომელიც უფრო ზუსტად შეესაბამებოდა  
 ჩინეთის წელიწადის ოთხ დროს თავისებურებებს, თანაც თვეების  
 სანგრძლივობა განისაზღვრებოდა მხოლოდ ექლიპტიკაზე მზის მოძ-  
 რაობით, მაგრამ შენ კომის მიერ შედგენილი კალენდარის წინააღმ-  
 დეგ ამხედრდნენ ჩინელი ქურუმები და იგი უარყოფილ იქნა.

ცნობილმა ჩინელმა ასტრონომმა გო შოუცებინმა (1231—1316),  
 რომელიც ხელმძღვანელობდა ჩინეთის ობსერვატორიების ფართო  
 ქსელს, შეადგინა კალენდარი „შოუში ლი“, რომლის მიხედვით ტრო-  
 პიკული წელიწადის ხანგრძლივობა ტოლი იყო 365, 2425 დღე-დამის,  
 რაც 26 წამით მეტი იყო, ვიდრე ჭეშმარიტი ტროპიკული წელიწადი.  
 ასე, რომ აღნიშნული კალენდარი სიზუსტით თითქმის ისეთივე იყო,  
 როგორიც გრიგოლის კალენდარი, რომელიც შემოღებულ იქნა ევრო-  
 პაში სამი საუკუნით გვიან.

გო შოუცებინის კალენდარულ რეფორმას არ შეუცვლია ჩინური

60-წლიანი ციკლის ძირითადი სტრუქტურა. ახ. წ.-ის 1670 წელს ჩინეთში შემოიღეს დღე-ღამის 24 სათად დაყოფა, თითოეულ საგანგმო იყო 60 „ფინი“ (წუთი), თითოეულ წუთში — 60 „მიზო“ (წმიტი).

ძველ ჩინეთში მკაცრად დადგენილი ერა არ არსებობდა და ისტორიული მოვლენების დათარიღება წარმოებდა ომელიმე სამეფო დინასტიის დარსების მომენტიდან. მოგვიანებით შემოღებულ იქნა „ციკლური ერა“. ამ ერის საწყისად აღიარებულ იქნა ჩინეთის ლეგენდარული მეფის ხუან დის ტახტზე ასვლის დღე (ძვ. წ.-ის 2637

წლის 6 მარტი) და დღემდე გასულია ( $2637+1989$ ):  $60=77+\frac{6}{60}$

ციკლი, ე. ი. ამჟამად 78-ე ციკლია, რომელიც დაიწყო 1984 წელს. მისი პირველი წელიწადი არის თაგვის წელიწადი, 1985 წელი 78-ე ციკლის მეორე, ანუ ძროხის წელიწადი, 1986 წელი — ვეფხვის წელიწადი, 1987 წელი — კურდღლის წელიწადი, 1988 წელი — ურჩხულის წელიწადი და ა. შ. 78-ე ციკლი დამთავრდება 2043 წელს და 2044 წლიდან დაიწყება 79-ე ციკლი.

ჩინეთის ციკლური კალენდარული თარიღების გადაყვანა ჩვ. წელთაღრიცხვებაზე ძალიან რთულია, რადგან საჭიროა გამოყენებულ იქნეს სპეციალური ცხრილები და თანაც უნდა ვიცოდეთ ამა თუ იმ დინასტიის არსებობისა და ამ დინასტიაში იმპერატორის მეფობის თარიღები. მაგრამ მიახლოებითი გამოთვლა მაინცაა შესაძლებელი. მაგალითად, ჩვ. წელთაღრიცხვის რომელიმე წელი რომ 60-წლიანი ციკლით გამოითვალის, საკმარისია ჩვ. წელთაღრიცხვის რიცხვითი გამოსახულება გავყოო 60-ზე, გაყოფის შედეგად მიღებულ ნაშთს გამოვაკლოთ 3, თუ ნაშთი აღინიშნება 3-ის ტოლი ან 3-ზე ნაკლები რიცხვით, ნაშთს მივუმატოოთ 60 და მიღებულ ჯამს გამოვაკლოთ 3. სხვაობა გვიჩვენებს 60-წლიანი ციკლის წელს. მაგალითად, გვსურს გავიგოთ 60-წლიანი ციკლის რომელ წელს შეესაბამება 1981 წელი, ამისათვის  $1981:60=33+\frac{1}{60}$  მივიღეთ 33 ციკლი და ნაშთი I, ამიტომ

$60+1-3=58$ -ს, ამრიგად, 1981 შეესაბამება ციკლის 58-ე წელიწადს და იგი ყოფილა „ქათმის“ წელიწადი. ასეთი გაანგარიშება საჭიროა იმიტომ, რომ 60-წლიანი ციკლური კალენდრის 43-ე ციკლი დამთავრდა ძვ. წ.-ის 57 წელს, 44-ე ციკლი კი მთავრდება ჩვენი ერის 03 წელს და 04 წლიდან იწყება მორიგი 45-ე ციკლი. ამრიგად, ჩვ. წელთაღრიცხვის საწყისა და ციკლური კალენდრის 45-ე ციკლის საწყის პირველ წლებს შორის სხვაობა 3 წელიწადია. ამიტომაც ამბობენ, 1980 წელი

ჩინური კალენდრის მიხედვით შაიმუნის წელიწადს შეესაბამებათ, რადგან 1980:  $60=33$ , ხოლო ნაშთი უდრის  $0-ს$ ,  $0+60-3=57$ , ე. ი. 1980 წელი თურმე შეესაბამისება  $60-წლიანი$  ციკლის  $57$  წელზე, ხოლო  $57$  წელიწადი ჩინური ციკლური კალენდრის მიხედვით შაიმუნის წელიწადია. მაგრამ არსებობს მარტივი ფორმულაც  $H=60A+N-B$ , სადაც  $H$  არის გრიგოლის კალენდარული წელიწადის ნომერი,  $B$  — ჩინური ერას დასაწყისი,  $A$  — ჩინური  $60-წლიანი$  კალენდარული სრული ციკლის ნომერი,  $N$  — მიმდინარე ციკლური წელიწადის ნომერი.

მაგალითი 1. ჩინური  $60-წლიანი$  ციკლური კალენდრის მიხედვით, ოქტომბრის რევოლუცია მოხდა  $76-ე$  ციკლის „დინ-შეს“ წელიწადს, გრიგოლის რომელ კალენდარულ წელიწადს მოხდა ოქტომბრის რევოლუცია?

ამოხსნა:  $A=75$ ,  $N=54$ ,  $B=2637$ , მაშასადამე,  $H=60\times 75+54-2637=1917$  წ. ე. ი. ოქტომბრის რევოლუცია მომხდარა ახ. წელთაღრიცხვის 1917 წელს.

მაგალითი 2. ჩინური  $60-წლიანი$  ციკლური კალენდრის მიხედვით იულიუსის კალენდარი ხმარებაში შემოღებულ იქნა  $44-ე$  ციკლის „ცძა-გოუს“ — მიწისა და ძაღლის, ანუ მარტივად, ძაღლის წელიწადს. გრიგოლის რომელ კალენდარულ წელიწადს შემოიღეს ხმარებაში იულიუსის კალენდარი?

ამოხსნა:  $A=43$ ,  $N=11$ ,  $B=2637$ , მაშასადამე  $H=60\times 43+11-2637=-46$ , ე. ი. იულიუსის კალენდარი ხმარებაში შემოუღიათ ძვ. წელთაღრიცხვის 46 წელს.

მაგალითი 3. ჩინეთის დიდი კედლის მშენებლობა დაამთავრეს ძვ. წ. 246 წელს.  $60-წლიანი$  ციკლური კალენდრის მიხედვით, როდის დაამთავრეს მშენებლობა?

ამოხსნა:  $(2637-246):60=39+\frac{51}{60}$ , ე. ი. ჩინეთის კედლის მშენებლობა დაუმთავრებიათ მე-40 ციკლის  $51-ე$  წელს, ანუ „ცძინის“ — ხისა და ვეფხვის, ანუ მარტივად, ვეფხვის წელიწადში.

ჩინეთში, 1911 წლის რევოლუციის პირველი წლის 20 ნოემბრიდან, მოქმედება დაიწყო გრიგოლის კალენდარმა, მაგრამ გრიგოლის კალენდრის პარალელურად ამჟამადაც ფართოდაა გავრცელებული  $60-წლიანი$  ციკლური კალენდარიც და მას საყოფაცხოვრებო კალენდარსაც უწოდებენ.

ჩინური 80-წლიანი ციკლური კალენდარი

პერიოდის დათვები	პერიოდის დათვები	ცის ტოტები										ცხველები	
		გენერალური		ციცქალი		ტემპა		ციცქალი		გენერალური			
		ცის	ენე	ბინ	დინ	უ	ცის	გენ	სინ	ენ	გუნი		
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10		
I	ც ძ - იანვარი	I		13		25		37		49		შ უ - თაგვე	
II	წ ე - თებერვა - ლი		2		14		26		38		40	ნ იუ - ძრონა	
III	ი ნ - მარტი	51		3		15		27		39		ხ უ - ვეფხევი	
IV	მ ა ღ - აპრილი		52		4		16		28		50	ტ უ - კურდევ - ლი	
V	წ ე ნ - მაისი	41		53		5		17		29		ლ უ ნ - ურჩხული	
VI	ს ი - ივნისი		42		54		6		18		30	უ ე - გველი	
VII	უ - ივლისი	31		43		55		7		19		მ ა - ცხენი	
VIII	ვ ე ნ - აგვისტო		32		44		56		8		20	ი ა ნ - ვერძი	
IX	შ ე ნ - სექტემ - ბერი	21		33		45		57		9		ხ ო უ - მაიმუნი	
X	ი უ - ოქტომ - ბერი		22		34		46		58		10	ც ძი - ქითამი	
XI	ს ი უ - ნოემბერი	11		23		35		47		59		გ ო უ - ძალლი	
XII	ხ ა ი - დეკემ - ბერი		12		24		36		48		60	ჩ ხ უ - ლორი	



მას შემდეგ, რაც ბერძნებმა და რომაელებმა თავიანთი მოგზაურობები და  
სა და ომების შედეგად პირველად ნახეს ცხარე და გამაბრუებელი, მწარე  
და მათრობელა აღმოსავლური საკმაზის გემო, დასავლეთევროპული  
ქვეყნების ინტერესი ინდოეთისადმი არ დამცხალა. ინდოეთი აღია-  
რებულ იქნა, როგორც „სანელებელთა ქვეყანა“. და თუ სანელებლის  
ქილაზე ცისფერი ასოებით ამოტვიფრული იქნებოდა მაგიური სიტყ-  
ვა „indicum“ — ინდური, ევროპელი მზად იყო ასეთ სანელებელში  
სოლიდური თანხა გაელო. რადგან ინდური პილპილის, დარიჩინის, ქი-  
ნაქინის ხის ქერქის, ობიუმის, ქაფურის, წებოვანი ფისის ლირებულე-  
ბა გათანაბრებული იყო ოქროსა და ვერცხლის ფასთან. ამიტომ იყო,  
რომ ევროპელები გაფაციცებით ეძებდნენ უმოკლეს საზღვაო გზას  
ინდოეთისაკენ. სწორედ ამ მიზნით 1492 წლის 3 აგვისტოს დასავლე-  
თის გზით ინდოეთისაკენ ესპანეთის ნავსადგურ პალოსიდან გავიდა  
ქრისტეფორე კოლუმბის ექსპედიცია. კოლუმბს ექსპედიციის უკან  
დაბრუნების მომენტიდან სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა და ჭიუ-  
ტალაც ამტკიცებდა, რომ მან მართლაც აღმოაჩინა ინდოეთისაკენ მი-  
მავალი უმოკლესი საზღვაო გზა. მაგრამ მას როდი უჯერებდნენ და  
მკითხველმაც კარგად იცის, რომ კოლუმბი ცდებოდა. მართალია, მან  
მიზანს ვერ მიაღწია, მაგრამ ერთი ადამიანის გაბედულმა მოქმედებამ  
მთელი თაობები წააქეზა და ვერ ვასკო და გამამ დაადგა ფეხი ინდო-  
ეთის მიწას, შემდეგ კი — მაგრანმა. ამრიგად, ევროპიდან ინდოეთი-  
ში მისავლელი საზღვაო გზა გახსნილ იქნა, რასაც მოჰყვა ინდოეთის  
ტერიტორიაზე კოლონიების დაარსება.

ევროპელები დარწმუნდნენ, რომ ინდოეთი ერთ-ერთი უძველე-  
სი ცივილიზაციის ქვეყანაა, რომ აქ მრავალმილიონიან და მრავალ-  
ეროვნო შრომისმოყვარე ხალხს წელიწადში 2—3 მოსავალი მოჰყავს,  
რომ აქ დიდი ხნის წინათ დაუწყიათ რკინის წარმოება, რომ ხალხური  
თქმულება, „მზე მოსავლის მამა, წყალი დედა“, იმაზე მიუთითებდა,  
რომ მოსახლეობის უმრავლესობა სოფლის მეურნეობას მისდევდა.

სოფლის მეურნეობის წარმოება და თანაც წელიწადში 2—3 მო-  
სავლის აღება კალენდრის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა და მართ-  
ლაც 1921—1922 წლებში ინდოელი არქეოლოგების რ. ბ. საკნისა და  
რ. დ. ბანერჯის მიერ მდ. ინდის ხეობაში ჩატარებული გათხრების  
შედეგად ნაპოვნმა ნივთებმა და წარწერებმა, მეცნიერები დაარწმუნა,  
რომ აღრეული ინდოეთის კულტურა მიეკუთვნება ძვ. წ. IV—V ათას-

წლეულს და იგი არ ჩამოუვარდებოდა მესოპოტამიისა და ძველევენი-  
ტის კულტურას.

აქ აღმოჩენილ იქნა 3 000-მდე სხვადასხვა წარწერა, მართალია  
ჯერ-ჯერობით ყველა წარწერის ამოკითხვა მეცნიერებმა ვერ შესძ-  
ლეს, მაგრამ წარწერები, რომლებიც ძველინდურ კალენდარს ეხება,  
ნაწილობრივ ამოკითხულია და დადგენილია, რომ ძველ ინდოელებს  
ჰქონდათ ე. წ. „მცირე წელიწადი“ და „დიდი წელიწადი“. დროის  
კალენდარული „დიდი წელიწადი“ დადგენილი იყო ქურუმების მიერ  
მეფის მმართველობის დროის საანგარიშოდ. მეფის მმართველობის  
პერიოდად კი ითვლებოდა მზის 12-წლიანი ციკლი. მოგვიანებით მზის  
12-წლიანი ციკლი 60-წლიანი ციკლის შემადგენელი ნაწილი გახდა,  
რაც ჩინური კალენდრის 60-წლიან ციკლს მოგვაგონებს.

12-წლიანი ციკლის დამთავრება აღინიშნებოდა დიდი დღესასწა-  
ულითა და მსხვერპლშეწირვით. „მსხვერპლშეწირვა იწყებოდა მეფის  
იმ კამეჩის მოკვლით, რომელიც მეფეს მფარველობდა 12 წლის გან-  
მავლობაში“ (61. გვ. 50).

დღესასწაულის მონაწილეები ღებულობდნენ ტაძრის ფირფი-  
ტებს იმ ღმერთების გამოსახულებებით, რომლებიც მეფეს მფარვე-  
ლობდნენ, ამით ქურუმები ხასს უსვამდნენ მეფის ძალაუფლების  
ღვთაებრივ ხასიათს და ამავე დროს 12-წლიანი ახალი ციკლის და-  
წყებას.

ამრიგად, მტკიცდება, რომ უძველეს კალენდარულ სისტემას ინ-  
დოეთში საფუძველი ჩაეყარა ძვ. წ.-ის IV ათასწლეულის შუა ხანებში.

უძველესი ერა, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, იწყოდება კალიუ-  
გას, ანუ „რკინის ერად“. იგი თარიღდება ძვ. წ.-ის 3102 წლის 18 ოე-  
ბერვლით და, ინდური მითოლოგიის თანახმად, მან 432 000 წელიწადი  
დი უნდა იარსებოს.

ამოვხსნათ ასეთი შინაარსის ა მ ო ც ა ნ ა: ინდოეთის გამოჩენილი  
მათემატიკოსი და ასტრონომი არიაბჰატა თავის ტრაქტატ „არიაბჰა-  
ტიაშ“ III ნაწილის მე-10 წესში წერს: „როცა გავიდა სამი ეპოქა და  
60-ჯერ 60 წელიწადი, მაშინ დამთავრდა ჩემი ცხოვრების 23 წელი“.  
როდის დაიბადა არიაბჰატა?

ა მ ო ხ ს ნ ა. ინდოეთის ტრადიციის მიხედვით არსებობს ოთხი  
ეპოქა: ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს და რკინის. ინდოელების აზრით,  
რკინის ეპოქა დაიწყო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძვ. წ. 3102 წელს.  
არიაბჰატას თქმით, იგი დაიბადა რკინის ეპოქაში და რკინის ეპოქის  
დასაბამიდან  $60 \times 60 = 3600$  წლის გასვლის შემდეგ იგი იყო 23 წლის,

ე. ი. იგი დაბალებულა 3600—(3102+23)=475 ჭელს ახ. ჭელთალრი-  
ცხვით.

ცხადია, როგორც სხვა ქვეყნებში, ინდოეთშიც ჯერ მდგრადი მი-  
კუთ მთვარის კალენდარი, შემდეგ — მზე-მთვარის, ხოლო ამ ბოლო  
დროს მათს პარალელურად დამკვიდრდა მზის (გრიგოლის) კალენდა-  
რიც.

შორეული წარსულიდან ინდოეთის ცენტრალურ, ჩრდილოეთ  
გხარეს და ზოგ რეგიონში გამოიყენებოდა ე. წ. „ვიკრამ სამვათის“  
კალენდარი. იგი წარმოადგენდა მზე-მთვარის კალენდარს და იმისათ-  
ვის, რომ მთვარის წელიწადი მზის წელიწადისათვის მიესადაგებინათ,  
ყოველ სამ წელიწადში ერთხელ უმატებდნენ მე-13 თვეს, თანაც  
ქვეყნის ჩრდილოეთში მე-13 თვე ემატებოდა წელიწადის პირველი  
ნახევრის გავლის შემდეგ, ხოლო ქვეყნის ცენტრალურ ნაწილში —  
ახალი წლის დაწყებამდე, ანუ წელიწადის ბოლოს, დამატებით თვეს  
უწოდებდნენ „ადიკმას“. კალენდარს ზოგჯერ უმატებდნენ დღეებსაც,  
რათა მზისა და მთვარის თვეები დაეკავშირებინათ ზოდიაქოს ნიშნე-  
ბისათვის. აღნიშნული ერა იწყება ძვ. წ. 57 წლის მარტის ახალმთვა-  
რეობიდან.

ინდოეთის სამხრეთ ნაწილში ფართოდ იყენებდნენ მზის, ე. წ.  
„საკას“ კალენდარს. საკას მიხედვით კალენდარული წელიწადი შეი-  
ცავს ექვს სეზონს, ყოველ სეზონში — ორ თვეს და, აქედან გამომ-  
დინარე, წელიწადის — 12 თვეს. თითოეულ თვეში 22—32 დღეა. წე-  
ლიწადის საწყისად მიჩნეული იყო გაზაფხულის დღელამტოლობის  
მზის ამოსვლის მომენტი, ე. ი. 21 მარტი. საკას ერა იწყება ჩვენი  
ერის 78 წლის 15 მარტიდან.

ზემოაღნიშნულ კალენდარულ სისტემათა და ერთა გარდა, ინ-  
დოეთში გავრცელებული იყო ნირვანის ერა (ძვ. წ. 543 წ.). ნირვანის  
ერის საწყისად აღებულია ბუდა საკია-მუნის გარდაცვალების სავა-  
რაუდო თარიღი; მაპავირის (ძვ. წ. 527 წ.) გრაპაპარივრიტის (ძვ. წ.  
24 წ.); გუპტის (ძვ. წ. 350 წლის 26 ოქტომბერი) და ნევარის ერა (ძვ. წ.  
879 წლის ოქტომბერი). 1550 წლის 10 სექტემბრიდან ინდოეთის  
ფადიშაპ აქბარის მიერ შემოღებულ იქნა ფაზლის ერა, რომელსაც  
იყენებდნენ მხოლოდ ოფიციალურ საბუთებზე დასმის მიზნით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ინდოეთში უკანასკნელ წლებამდე იყე-  
ნებდნენ 30-მდე სხვადასხვა კალენდარს, რომლებიც უხსოვარი დრო-  
იდან ღვთისმეტყველმა ბრაჟმანებმა შეადგინეს ასტროლოგიური მკი-  
თხაობისათვის. ამ კალენდრებით წელიწადი სხვადასხვა დღით იწყე-  
57

ბოდა, თვეების რაოდენობაც სხვადასხვა იყო. განსხვავებული გალენ-დრები და ერთა ნაირსახეობა გამოწვეული იყო ინდოეთის შრადალ-მილიონიანი და მრავალეროვანი ხალხების რელიგიურ კუტათა სიმარავლით. ინდოეთში დღესაც 150-მდე ეროვნების კაცი ცხოვრობს. უამრავია სხვადასხვა ტომობრივი ჯგუფებიც. რადგან თითოეულ ტო-მობრივ ჯგუფს და ეროვნულ უმცირესობასაც შორეული წარსულიდან საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობა პქონდათ. საკვირველი არა კალენდართა ნაირსახეობა, რაც ხელს უშლიდა ეროვნულ კონ-სოლიდაციას, სხვა სახელმწიფოებთან და ქვეყნის შიგნით რეგიონებს შორის ურთიერთობის მოწესრიგებას.

ამჟამადაც ხალხთა ფართო მასებში რელიგიას ღრმად აქვს ფეს-ვები გადგმული, რელიგიური დღესასწაულების კალენდარული თარი-ღების დასაღვენად დღესაც გამოყენებულია მზე-მთვარის ან მთვარის კალენდარი. მაგალითად, რელიგიური დღესასწაული „დივალი“, რო-მელიც მიეძღვნება აყვავების ქალმერთს ლაქშმის და ღვთაება ვიშ-ნულს, იმართება კარტიკს თვეში ახალმთვარეობის პირველ დღეს (23 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე). თანაც ეს დღე ინდოეთის მთელ რიგ რეგიონებში აღიარებულია როგორც ახალი წლის პირველი დღე, ხოლო მაღრასის შტატში ახალი წლის დაწყება აღინიშნება „დივა-ლის“ დღესასწაულიდან 15 დღის გასვლის შემდეგ, ე. ი. როცა დად-გება სავსემთვარეობა.

საოცარია ინდოეთის ბრაჰმანების მიერ შორეულ წარსულში შედგენილი რელიგიური მთვარის კალენდარის ტიფისის სისტემა: ტი-ტისი არის ყოველი მთვარის 1/30 ნაწილი. რადგან მთვარის საშუალო ხანგრძლივობა 29,53 დღე-ლამეა, ამიტომ ტიფისის საშუალო ხანგრძლივობა 23 სთ, 37 წთ და 26,4 წმ-ია და იგი 22 წთ-ით და 33,6 წმ-ით ნაკლებია მზის საშუალო დღე-ლამეზე. ამრიგად, ინდოეთის ბრაჰმანები დღეების მიხედვით კი არ განსაზღვრავდნენ თვის ხანგრძლივობას, არამედ პირიქით, დღის სიდიდეს განსაზღვრავდნენ მთვარის თვის სი-დიდის მიხედვით. მაგალითად, მთვარის ორი თვე საშუალოდ შეიცავს 59 დღე-ლამეს, ანუ 60 ტიფისს (24 სთ  $\times$  59 = 1416 სთ და 23,6 სთ  $\times$  60 = 1416 სთ).

ახალი ტიფისის დასაწყისს არავითარი საერთო არ აქვს ციური სხეულების მოძრაობასთან. ტიფისი შეიძლება დაემთხვეს დღე-ლამის ნებისმიერ დროს. ასე რომ, შეიძლება ერთსა და იმავე დღე-ლამეს ორი ან სამი ტიფისიც დაემთხვეს. ეს ხდება მაშინ, როცა მორიგი ტი-ფისი იწყება შუალამის შემდეგ არა უგვიანეს 22 წთ-ისა; ამ დროს



ტიფისი დასრულდება მეორე შუაღამის დამთავრებამდე და დაიწყება  
მესამე ტიფისი, რაც კალენდარში მთელ რიგ სირთულეებს წავეჭა.

ცნობილია, რომ უკანასკნელი 400 წლის განმავლობაში ინდოეთი  
ინგლისის კოლონიად ითვლებოდა. მხოლოდ 1947 წელს იქნა იგი  
აღიარებული ინგლისის დომინიონად, ხოლო 1950 წლის 26 იანვრი-  
დან ინდოეთში გამოცხადდა რესპუბლიკა. ინდოეთის რესპუბლიკად  
გამოცხადების პირველი დღეებიდანვე დღის წესრიგში დადგა კალენ-  
დრის რეფორმის გატარების საკითხი. ამ მიზნით 1952 წლის ნოემ-  
ბერში ინდოეთის ცნობილი სწავლულის, ასტრონომიისა და ფიზიკის  
პროფესორის მეჭხნად სახას (1893—1956 წწ.) თავმჯდომარეობით  
შეიქმნა კალენდრის რეფორმის გატარების სპეციალური კომიტეტი.  
კომიტეტის მუშაობას თვალს ადევნებდა ინდოეთის მაშინდელი პრე-  
მიერ-მინისტრი ჯვარარლალ ნერუ (1889—1964 წწ.) იგი კომიტეტს  
სწერდა: „ყოველთვის მტკიცნეულია იმ კალენდრის შეცვლა, რომელ-  
საც ხალხი შეეჩვია. მაგრამ უნდა შევეცადოთ შეცვალოთ იგი. თუმ-  
ცა, დღევანდელ სინამდვილეში მისი შეცვლა ჩვენი სურვილით არ  
მოხერხდება. ყოველ შემთხვევაში საჭიროა ლიკვიდირებულ იქნეს ის  
არეულ-დარეულობა, რომლებიც არსებობს ინდოეთის კალენდრებში.  
იმედი მაქვს, სწავლულები თავს გაართმევენ ამ მნიშვნელოვან სა-  
კითხს“ (49, გვ. 137).

კომიტეტმა შეიმუშავა ინდოეთის ერთიანი ეროვნული კალენდა-  
რი, რომელსაც საფუძვლად დაედო ორი კალენდარული სისტემა:  
„ვიკრამ სამვათი“ და „საკა“, ე. ი. ის კალენდარული სისტემები, რომ-  
ლებსაც იყენებდნენ ინდოეთის ჩრდილოეთ, ცენტრალურ და სამხრეთ  
მხარეებში. კალენდარი ხმარებაში შევიდა 1957 წლის 22 მარტიდან  
„საკა სამვათის“ სახელწოდებით. „საკა სამვათის“ კალენდარი გრიგო-  
ლის კალენდარს ესადაგება, მაგრამ ამავე დროს ითვალისწინებს ინ-  
დოეთის ძველი ეროვნული კალენდრების თავისებურებებს. მას იყე-  
ნებენ სამოქალაქო და საზოგადოებრივი მიზნების რეალიზაციისთვის,  
ხოლო რელიგიური დღესასწაულების აღსანიშნავად კვლავ ძალაში  
დარჩა ადგილობრივი (ცალკე რეგიონებისდა მიხედვით) კალენდრები.

საკა სამვათის კალენდარულ სისტემაში 12 თვეა. უნაკო წელი-  
წალში 365 დღე, ხოლო ნაკიან წელიწალში — 366. თვეების ხანგრძ-  
ლივობა 30—31 დღე. უნაკო წელიწალის პირველი და უკანასკნელი  
ექვსი თვე 30-დღიანია, დანარჩენი, მეორედან მეექვსე თვის ჩათვ-  
ლით — 31-დღიანი. ნაკიან წელიწალში პირველი ექვსი თვე 31 დღია-  
ნია, ხოლო უკანასკნელი ექვსი თვე — 30-დღიანი.

ინდოეთის ერთიანი ეროვნული კალენდრის „საკა სამვათის“ ში ხედვით წელიწადის პირველი თვე არის ჩაიტრა, ხოლო ჩახანგ წლის საწყისს მომენტია აღიარებულია გაზაფხულის დღელაშტორლობის მუთხე დღე — უნაკო წელიწადში 22 მარტი, ნაკიან წელიწადში კი — 21 მარტი.

ინდოეთის ერთიანი ეროვნულ კალენდარულ თვეებს შემდეგი მიმდევრობა აქვს:

თვის №	თვის სახელწოდება	თვის დღეთა რაოდენობა	გრიგოლის კალენდარული დღეების თარიღები
1	ჩაიტრა	30 / 31 /	22/21/მარტიდან 20 აპრილამდე
2	ვაისაგჰა	31	21 აპრილიდან 21 მაისამდე
3	ჯაიშთჰა	31	22 მაისიდან 21 ოქტომბერი
4	ასადჰა	31	22 ოქტომბერი 22 ოქტომბერი
5	სრავანა	31	23 ოქტომბერი 22 იგვისტომდე
6	ბჰეადრა	31	23 იგვისტოდან 22 სექტემბრამდე
7	აზენა	30	23 სექტემბრიდან 22 ოქტომბრამდე
8	კარტიკა	30	23 ოქტომბრიდან 21 ნოემბრამდე
9	აგრაპაიანა	30	22 ნოემბრიდან 21 დეკემბრამდე
10	პაუ ზ ა	30	22 დეკემბრიდან 20 იანვრამდე
11	მაგჰა	30	21 იანვრიდან 19 ოქტომბერამდე
12	უჰალგუნა	30	20 ოქტომბერიდან 20 მარტამდე

ამრიგად, ინდოეთში ერთიანი ეროვნული კალენდრის საკითხი თითქოსდა მოგვარდა, მაგრამ საბოლოოდ იგი მაინც დადებითად ვერ გადაიჭრა, რადგან 1957 წლის 22 მარტს ინდური კალენდრით („საკა სამვათით“) ინდოეთმა ფეხი შედგა XX საუკუნეში და 1988 წლის 22 მარტს მათვების დადგა 1910 წელი, რადგან „საკა სამვათის“ კალენდარი გრიგოლის კალენდრის 78 წლით ჩამორჩება. ამიტომაა, რომ ინდოეთში „საკა სამვათის“ კალენდრის პარალელურად იყენებენ გრიგოლის კალენდარსაც და ინდოეთის ოფიციალურ დოკუმენტებზე აღინიშნება ორი თარიღი — საკა სამვათისა და გრიგოლის წელთაღრიცხვისა.

მარტალია საკა სამვათის კალენდარს მთელი რიგი ნაკლოვანებები ახასიათებს, მაგრამ კალენდრის რეფორმის ჩატარება მაინც უნდა მიღინიოთ მნიშვნელოვან მოვლენად ინდოეთის კულტურულ ცხოვრებაში, რადგან იგი ხელს უწყობს ინდოეთის რეგიონებს შორის ურთიერთკავშირს.

ინდოეთის ერთიანი ეროვნული კალენდარი შედგება ოთხწლადი ციკლისაგან, სადაც სამი წელი უნაკოა და ერთი წელი ნაკიანია. მათ დასადგენად, ნაკიანია თუ უნაკო ესა თუ ის წელი, საჭიროა სუკს ერის წელთა ნომერს მიემატოს 78 და, თუ ჯამი უნაშოოდ გაიყოფა 4-ზე, მაშინ იგი ნაკიანია, წინააღმდეგ შემთხვევაში — უნაკო, მაგალითად, საკა სამვათის კალენდარული ერის 1894 წელს ესადაგება გრიგოლის კალენდრის 1972 წელი და, რადგან მათი ჯამი  $1894 + 78 = 1972$  უნაშოოდ იყოფა 4-ზე, 1894 წელი ნაკიანია. ასევე ნაკიანი იქნება მისი მომდევნო ყოველი მე-4 წელი, ე. ი. 1898, 1902, 1906 და ა. შ.

ინდური ერთიანი ეროვნული კალენდრის თარიღების გადაყვანა გრიგოლის კალენდარის თარიღებზე წარმოებს ფორმულით  $T = S + 77 + a$ , სადაც  $T$  ჩვენი ერის წელთა ნომერია,  $S$  — საკა სამვათის ერის წელთა ნომერი, ა კი იმაზე მიუთითებს — გავადიდოთ თუ არა 1-ით  $S + 77$ . მაგალითად, 1-ლი ჩაიტრიდან —  $21/22$  მარტიდან 10 პაუზამდე — 2 იანვრამდე  $a = 0$ -ს, ხოლო 11 პაუზიდან — 3 იანვრიდან 30 ფპალგუნამდე — 20 მარტამდე  $a = 1$ -ს.

მაგალითი 1. საქართველოს მეფემ ერეკლე მეორემ რაფიელ დანიბეგაშვილი წარგზავნა ინდოეთს საკა სამვათის ერას 1717 წლის 23 ფპალგუნას. ჩვენი წელთაღრიცხვის რომელ წელს წარგზავნა ინდოეთს რ. დანიბეგაშვილი ერეკლე მეორემ?

ამოხსნა:  $S = 1717$ ,  $a = 1$ -ს, რადგან რ. დანიბეგაშვილი თბილისიდან ინდოეთს გაემზავრა კალენდარული წელიწადის 3 იანვარისა და 20 მარტის დროის ინტერვალში, ამიტომ  $T = 1717 + 77 + 1 = 1795$ .

ფპალგუნას თვე იწყება 20 თებერვალს; 1795 უნაკო წელიწადია — თებერვალი 28 დღიანია, ამიტომ 28-ს მივუმატოთ 23, მივიღებთ 15 მარტს. მაშასადამე, რ. დანიბეგაშვილი, ჩვენი წელთაღრიცხვით, ინდოეთს წარუგზავნიათ 1795 წლის 15 მარტს.

მაგალითი 2. ჩვენი წელთაღრიცხვით 1466—1472 წლებში რუსმა ვაჭარმა ათანასე ნიკიტინმა იმოგზაურა ინდოეთში, საკა სამვათის წელთაღრიცხვით რომელ წლებში იმოგზაურა ათანასე ნიკიტინმა ინდოეთში?

ამოხსნა:  $T = 1466$ ;  $S = T - 77 - a = 1466 - 77 - 0 = 1389$ .

მაშესადამე, ათანასე ნიკიტინს ინდოეთში უმოგზაურია საკა სამვათის კალენდარული წელთაღრიცხვით 1389—1395 წლებში.



ამერიკის აღმოჩენას ქრისტეფორე კოლუმბისა და ამერიკული ციუხის სახელს უკავშირებენ. ფერნანდო კორტესი კი, პატარა რაზმით, 1520 წლის 8 ივლისს, აცტეკების 200 000-ანი ჯარი გაანადგურა, ხოლო აცტეკების მთავარსარდალი სიპუაკუსი შუბით განგმირა და მის თავზე დადგმული ოქროს ბადიანი საბრძოლო შტანდარტი მაღლა ასწია. ამ წუთიდან არა მარტო მექსიკის სახელმწიფო მოსპო, არამედ თვითმყოფადი ცივილიზაციის ხსენებაც.

მექსიკის პირველმა პისკოპოსმა დონ ხუან დე სუმარგამ მოსპო ყველა ის ხელნაწერი, რომელიც კი ხელში ჩაუვარდა. მის მაგალითს ბაძავდნენ მღვდლები და ჯარისკაცები. ასეთმა ვანდალიზმმა კი ის გამოიწვია, რომ აცტეკების და მაიას ცივილიზაცია XVIII საუკუნეში თითქმის აღარ არსებობდა. ამიტომაცა, რომ ამერიკის მეორედ აღმოჩენის ისტორიას უკავშირებენ ამერიკელი და ინგლისელი იურისტების — ჯონ ლოიდ სტეფენსისა და უილიამ ჰაიკლინგ პრესკოტის სახელებს.

პირველმა პონდურასის, გვატემალისა და იუკატუნის ჭუნგლებში მაიას ტომების მკვდარი ქალაქები აღმოაჩინა, ხოლო 1842 წელს ნიუ-იორქში გამოცემული წიგნით „ცენტრალური ამერიკისა, ჩიაპასა და იუკატუნზე მოგზაურობის შთაბეჭდილებანი“ — მთელი მსოფლიო გააოცა, რადგან მაშინდელი პროგრესული საზოგადოება ამ წიგნის წყალობით მიხვდა, ამერიკის აბორიგენები ველურები კი არ ყოფილან, არამედ მაიას ცივილიზაცია არაფრით ჩამოუვარდებოდა ძველი მსოფლიოს ხალხების ცივილიზაციებს.

პრესკოტი 20 წლის ასაკში დაბრმავდა და ხელი მიჰყო ისტორიულ კვლევას, 1843 წელს კი გამოსცა წიგნი კორტესის დამპყრობოშესახებ „მექსიკის დაპყრობა“, სადაც დამაჯერებლად იყო გაშუქებული აცტეკებისა და მაიას საოცარი კულტურა. ამჩინად, სტეფენსისა და პრესკოტის წიგნების წყალობით დამტკიცდა, რომ მაიას ქვეყანაში მაღალი კულტურა ესპანელების გამოჩენამდე რამდენიმე საუკუნით ადრე არსებობდა.

მაიას ცივილიზაციის შესწავლაში ღიღი როლი ითამაშა აგრეთვე ფრანგი ეპისკოპოსის დიეკო დე ლანდას (1524—1579) ხელნაწერმა „უწყება იუკატუნის საქმესათვის“, რომელიც 1863 წელს მაღრიდის სახელმწიფო ისტორიულ არქივში შემთხვევით აღმოაჩინა მისიონერმა და მეცნიერმა შარლ ეტიენ ბრასერ დე ბურბურიმ (1814—1874).

მან ლანდას ხელნაწერის წყალიბით ამოხსნა მაიას მანამდე უცნობი, ბევრი, ორნამენტი და იეროგლიფი.

კ. კერამის თქმით, თუ ქალაქებს: ჩიხენ-იცას, კოპანს, ტივალს, იშქუნსა და პალენქს ერთი ხაზით შევაერთებთ, დაახლოებით შემოიხება მაიას ცივილიზაციის საზღვრები. ამ ქალაქებში მაიას ტომები დროდადრო დგამდნენ სტელებს, რომლებზედაც აღნიშნავდნენ არა შარტო მნიშვნელოვან მოვლენებს, არამედ სტელას დაფგმის თარიღსაც. მის ფასადებზე, ფრიზებზე, ტაძრებსა და სასახლეთა კიბეებზე ამოკვეთილმა თარიღებმა და დე ლანდას ხელნაწერმა საშუალება მისცა მეცნიერებს შეესწავლათ მაიას კალენდრის საიდუმლოება. აღმოჩნდა, რომ იგი ყველა ცნობილ კალენდარზე ზუსტიც იყო და სტრუქტურითაც განსხვავდებოდა. მართლაც, იულიუსის კალენდრით წლის სანგრძლივობაა 365, 250 000 დღე, გრიგოლის კალენდრით — 365, 242 000 დღე, მაიას კალენდრით — 365, 242 129 დღე, თანამედროვე ასტრონომიული გამოთვლით კი — 365, 242 192. ამრიგად, მაიას კალენდარი, ასტრონომიულ კალენდართან შედარებით, წელიწადში 365, 242 192—365, 242 129=0,000 დღე-ლამის ტოლია ანუ დაახლოებით 4,6 წელის ცდომილებას იძლეოდა, ხოლო 18 868 წელიწადში — დაახლოებით ერთი — დღე-ლამის ცდომილებას, რაც მაიას ასტრონომების უზუსტესი ასტრონომიული დაკვირვებისა და ურთულესი მათემატიკური გამოთვლის შედეგი უნდა ყოფილიყო.

შორეულ წარსულში მაიას ტომები, ისე როგორც უძველესი სხვა ხალხები. თავდაპირველად სარგებლობდნენ მთვარის კალენდრით. მაიას მთვარის კალენდარის თითოეულ თვეში 29 ან 30 დღე იყო. თვის ყოველი დღე აღინიშნებოდა სათანადო რიცხვით, თანაც ყოველი, თვის პირველი რიცხვი ითვლებოდა ნულოვან დღედ. მთვარის წელიწადში იყო 12 თვე. 6 მთვარის თვის გასვლის შემდეგ მთავრდებოდა მთვარის პირველი ნახევარწელი და მთვარის წელიწადის მეორე ნახევარი კვლავ იწყებოდა პირველი თვით და ნულოვანი დღით. ისტორიულ ძეგლებზე და სტელებზე შემორჩენილი წარწერების წყალობით დადგენილია, რომ მაიას უძველესი ქალაქების კოპანისა და პალენქის ასტრონომებმა კარგად იცოდნენ მთვარის თვის ხანგრძლივობა. მაგალითად, კოპანის ასტრონომების გამოთვლით იგი ტოლი იყო 29,53020 დღე-ლამის, ხოლო პალენქის — 29,53086 დღე-ლამის. მათი საშუალო არითმეტიკული კი უდრის 29,53053 დღე-ლამეს, თანამედროვე ასტრონომების გამოთვლით კი იგი ტოლია 29,5305882 დღე-ლამის, რაც მაიას მთვარის თვესთან შედარებით 0,00006 დღე-ლამით

ანუ დაახლოებით 5,2 წამითაა შეტი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ  
მაისს მთვარის კალენდარი გაცილებით ზუსტი იყო, ვიღრე სხვა-უძ-  
ველესი ხალხების მთვარის კალენდარი.

მოგვიანებით მაისს სახელმწიფოში ძირითადად იყენებდნენ შზის  
ორ კალენდარულ სისტემას — მოკლე და გრძელ წელიწადს. მოკლე  
წელიწადი 360-დღიანი იყო, მას „ტუნ“-ი ეწოდებოდა და იყენებდნენ რელიგიური მიზნებისათვის. იგი 18 თვეს შეიცავდა, თითოეულ თვეში 20 დღე იყო ( $20 \times 12 = 360$ ). ლანდას წიგნის მიხედვით წელიწადი იწყებოდა 16 ივლისიდან და ამ დღეს ესადაგებოდა წელიწადის პირველი თვის — პოპის პირველი დღე — იმიში, ხოლო წელიწადის უკანასკნელი თვე იყო კუმჰუ, რომელიც ესადაგებოდა 10 ივლისს. თვეთა დღეების ნუმერაცია იწყებოდა არა ერთიდან, როგორც ჩვენშია მიღებული, არამედ ნულიდან. ასე რომ, უკანასკნელი, მეოცე დღე 19 რიცხვს წარმოადგენდა.

მაისს კალენდარის თვეების სახელწოდებანი და ხანგრძლივობა ასეთია: პოპი — 16 ივლისიდან 4 აგვისტომდე, უი — 5 აგვისტომდან 24 აგვისტომდე, სიპი — 25 აგვისტომდან 13 სექტემბრამდე, სოცი — 14 სექტემბრიდან 3 ოქტომბრამდე, ცეკი — 4 ოქტომბრიდან 23 ოქტომბრამდე, შული — 24 ოქტომბრიდან 12 ნოემბრამდე, იაშინი — 13 ნოემბრიდან 2 დეკემბრამდე, მოლი — 3 დეკემბრიდან 22 დეკემბრამდე, ჩენი — 23 დეკემბრიდან 11 იანვრამდე, იაში — 12 იანვრიდან 31 იანვრამდე, საკი — 1 თებერვლიდან 20 თებერვლამდე, კეხი — 21 თებერვლიდან 12 მარტმდე, მაკი — 13 მარტიდან 1 აპრილამდე, კან-კინი — 2 აპრილიდან 21 აპრილამდე, მუანი — 22 აპრილიდან 11 მაისამდე, პაში — 12 მაისიდან 31 მაისამდე, კაიაბი — 1 ივნისიდან 20 ივნისამდე, კუმჰუ — 21 ივნისიდან 10 ივლისამდე. თვის ოცივე დღეს კი ასეთი სახელწოდებანი ჰქონდა: იმიში, იყ, აკ-ბალ, კან, ჩიქჩან, კიმი, მანიკ, ლამატ, მულუკ, ოკ, ჩუენ, ებ, ბენ, იშ, მენ, კიბ, კაბან, ესანაბ, კავაკ, აპაუ.

360-დღიან კალენდარულ სისტემას — ტუნს, რა თქმა უნდა, ყოველდღიურ ცხოვრებაში მაისს ხალხი ვერ გამოიყენებდა, რადგან მას შზის კეშმარიტ წელიწადმდე ნაკიან წელიწადში იკლდა 6 დღე, ხოლო უნაკო წელიწადში — 5 დღე. ამიტომ მოგვიანებით ტუნის პარალელურად ხმარებაში შემოლებულ იქნა „გრძელი“ — 365-დღიანი წელიწადი „ჰააბადად“ წოდებული. ამ შემთხვევაში ტუნის წელიწადს უმატებდნენ 5 „შემაგსებელ“ დღეს, ეს დღეები უსახელო გახლდათ და მათ ნულიდან ოთხამდე ციფრებით (0, 1, 2, 3, 4) აღნიშნავდნენ,

ამ დღეებს „შმა კაბა კიბ“ — ავტედით დღეებად თვლიდნენ და წერილიშადის მე-19 თვედ, უაიგბის თვის სახელწოდებით მიეთვლებოდა ავტედით დღეებში აკრძალული იყო ყოველგვარი საქმიანობა, თანაც 5-ვე დღე აღიარებული იყო იმ ხუთი ღვთაების დღეებად, რომლებსაც მომავალი ახალი წლისათვის მფარველობა უნდა გაეწია.

ჰაბი, ისე, როგორც ეგვიპტის 365-დღიანი კალენდარული წელიშადი, ნაკიანი წლებით არ იყო შევსებული, ამიტომ ეგვიპტის 365-დღიანი წელიშადის პირველი დღის — თოთის მსგავსად, მაიას კალენდარის ახალი წლის პირველი დღე — პოპის ნულოვანი დღე სისტემატიურად უკან იხევდა და წელიშადის ყოველ დროში ხეტიალობდა და 1460 ( $365 \times 4 = 1460$ ) წლის მანძილზე წელიშადის ყოველ დროს გაივლიდა. მაგრამ მაიას ხალხს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები დროულად რომ შეესრულებინათ, მაიას ასტრონომები დღენიადაგ აკვირდებოდნენ ციურ სხეულთა მოძრაობას, განსაკუთრებით კი ცდომილ ვენერას, რომლის მზის გარშემო მოქცევის სინოდური პერიოდი 584 დღეს შეადგენს.

მაიას ხალხს პერიოდი კიდევ ერთი კალენდარული ციული, რომელსაც რიტუალური მნიშვნელობა პერიოდი და ორი ციულის 13-დღიანი პერიოდისა და ჰაბის კალენდარული თვის დღეთა 20 სახელწოდების — იმიშიდან აპაუდე — ციულის გაერთიანებას წარმოადგენდა, რომელშიც ციფრებისა და სახელწოდების ყოველი კომბინაცია მხოლოდ ერთხელ მეორდებოდა. ამ ჰაბით „ცოლკინი“ (აცტეკურად — „ტონალმატ“-ი) ეწოდებოდა და იგი 260-დღიანი ( $13 \times 20 = 260$ ) იყო.

20-დღიანისა და 13-დღიანი „საკვირიაკე“ ჰერიოოდის შემოღებამ მაიას ხალხს საშუალება მისცა კიდევ უფრო სრულყოფილი გაეხადა თავისი კალენდარი. თუ ცოლკინის კალენდრით ამა თუ იმ მოვლენის აღნიშვნა სურდათ, მაშინ თარიღი 13-დღიანი კვირისა და ჰაბის სიმბოლოებით აღნიშნებოდა. მაგალითად, იტყოდნენ — „დღე 12. აკბალი“, და არ იტყოდნენ — „აკბალის დღეს“ ან „მე-12 დღესთ“ და ბოლოს, მაიას ხალხს პერიოდი კიდევ უფრო დიდი კალენდარული ციული, რომელიც წარმოადგენდა „ცოლკინისა“ და „ჰაბის“ ერთგვარ კომბინაცის. ეს გახლდათ ისეთი „კალენდარული წრე“, რომელიც შეაცვდა 13 ოთხწლიან ციულს ანუ 52-წელიშადს. ამ ციულის მიხედვით მეორდებოდა პრა მარტო კვირის დღეები და რიცხვები, არამედ თვის რიცხვებიც. „კალენდარული წრე“ შეაცვდა 18 980 დღეს და ეს ტოლი იყო 52 ჰაბის და 73 ცოლკინის ( $365 \times 52 - 260 \times 73 = 18 980$ ). ჰაბისა და ცოლკინს შორის ასეთი დამრკიშებულება გახლდა. ვ. კლასიკური ფილი

დათ სწორედ მაის კალენდრის პარმონიის საფუძველი. ასტათ ამი-  
ტომ იყო, რომ მაის ასტრონომებმა უარყვეს ნაკიანი წელიწადის „შე-  
მოღება, რადგან მისი შემოღება დაარღვევდა მაის კალენდრის პარ-  
მონიას და იგი ყოველგვარ აზრსაც დაკარგავდა.

მაის კალენდრის მიხედვით ამა თუ იმ მოვლენის დათარიღება  
ხდებოდა 13-დღიანი კვირის, დღის, თვისა და თვის რიცხვების დასა-  
ხელებით. მაგალითად, თუ თარიღი ჩაწერილი იყო ასე: „6 ლამატ 14  
შული“, ეს იმას ნიშნავდა, რომ აღნიშნული მოვლენა მოხდა 13-დღია-  
ნი კვირის მე-6 რიცხვს, ლამატის დღეს, შულის თვის 14 რიცხვს.  
ასეთი თარიღი კი შეიძლება განმეორებულიყო 52 წლის ანუ 18 980  
დღის შემდეგ.

ახალი წლის დღე ყოველ რიგით წელიწადში ასე აღინიშნებოდა:  
1. კანი 0. პოპი, 2. მულუკი 0. პოპი, 3. იში 0. პოპი, 4. კავაკ 0. პოპი,  
5. კანი 0. პოპი, 6. მულუკი 0. პოპი და ა. შ. ასეთი სისტემის დროს  
ყოველი კომბინაცია — მაგალითად, 1. კანი 0. პოპი, 52 წლის შემ-  
დეგ მეორდებოდა ხოლმე. ამრიგად, ყოველი ახალი წელიწადი ჰაბას  
კალენდრის 20-დღიანი კვირის მხოლოდ ოთხ დღეს: კანს, მულუკს,  
იშის ან კავაკს დაემთხვეოდა ხოლმე, რაც ჰაბას კალენდრის უკანასკ-  
ნელი ხუთდღიან უაიების თვის უსახელო თოხ (1, 2, 3, 4) დღეს მიე-  
სადაგებოდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა მაია ხმარობდა დროის დიდი შუალე-  
დებით თვლასაც ე. წ. „გრძელ ანგარიშს“ „ქატუნობით“, ანუ „ოც-  
წლედებით“. ყოველი ქატუნი აღინიშნებოდა რიცხვით და მისი უკა-  
ნასკნელი დღის სახელწოდებით. მაგალითად, ქატუნ 13 აპაუ ნიშნავ-  
და ისეთ 7200-დღიან პერიოდს, რომლის უკანასკნელი რიცხვი ემთხ-  
ვეოდა 13-დღიანი კვირის მე-13 დღეს. რადგან 7200 უნაშოოდ იყოფა  
20-ზე, ყოველი ქატუნი იწყებოდა იმიშის დღით და მთავრდებოდა  
აპაუს დღით. მაგრამ თუ ყოველ მომჯევნო ქატუნში უკანასკნელი  
დღე კალავ იყო აპაუ, მეორე ქატუნში იგი მიესადაგებოდა 13-დღიანი  
კვირის პირა მე-13 დღეს, არამედ მე-11 დღეს, ე. ი. იგი დაიწყებოდა  
ორი დღით ადრე, ვიდრე წინა ქატუნი. ეს კი ხდებოდა იმიტომ, რომ  
7200-ის 13-ზე გაყოფილისას ნაშთი რჩება 11. ( $7200:13 = 553 \times 13 + 11$ ).  
მესამე ქატუნის უკანასკნელი დღე დაემთხვეოდა 9 აპაუს, მეოთხე ქა-  
ტუნის — 7 აპაუს, მეხუთე ქატუნის — 5 აპაუს და ასე რიგრიგობით  
3 აპაუს, 1 აპაუს, 12 აპაუს, 10 აპაუს, 8 აპაუს, 6 აპაუს, 4 აპაუს, 2  
აპაუს და მორიგი ქატუნი კვლავ დაემთხვეოდა 13 აპაუს და იწყებოდა  
ახალი წრებრუნვა. 13 ქატუნის გასფლის შემტევ მორიგი ციკლი და-



წყებოდა  $7200 \times 13 = 93\,600$  ლის ანუ ჩვენი კალენდრით დაახლოებით 256 წლის შემდეგ ( $93\,600 : 365 = 256$ ).

მაისს კალენდრის საფუძველს წარმოადგენდა დღე-ლამე ანუ „ეინ“-ი. დღეში 13 საათი იყო, ღამეში კი — 9. თანაც დღის საათი ღამის საათოან შედარებით, უფრო ხანგრძლივი იყო, ე. ი. დღის წუთი ღამისაზე უფრო დიდი გახლდათ. 20 კინი შეადგენდა ერთ „ვინალ“-ს (ოც დღეს), ხოლო 18 ვინალი უდრიდა ერთ „ტუნს“ (360-დღიანი წელიწადი), დანარჩენი ქრონოლოგია შედგებოდა შემდეგი ციკლებისა-ვან:

$$1 \text{ ქატუნი} = 20 \text{ ტუნს} = 7\,200 \text{ დღეს.}$$

$$1 \text{ ბაქტუნი} = 20 \text{ ქატუნს} = 144\,000 \text{ დღეს.}$$

$$1 \text{ პიქტუნი} = 20 \text{ ბაქტუნს} = 2\,880\,000 \text{ დღეს.}$$

აღნიშნულ ციკლებს თუ გადავიყვანთ ჩვენს წელთა ანგარიშზე, მივიღებთ შემდეგ შედეგს:

$$1 \text{ ქატუნი დაახლოებით უდრის} 20 \text{ წელიწადს, ე. ი. } 20^1.$$

$$1 \text{ ბაქტუნი } " " 400 \text{ წელიწადს, ე. ი. } 20^2.$$

$$1 \text{ პიქტუნი } " " 8000 \text{ წელიწადს, ე. ი. } 20^3.$$

მაისს ერას საწყისად აღიარებულია ქ. პალენეში ნაბოვნ სტელაზე ამოკვეთილი თარიღი „0.0.0.0.4 აჲაუ 8. კუმპუ“. ეს თარიღი კი მიერიცელი არქეოლოგის, ეთნოგრაფის და ლინგვისტის ე. ტომშვილის გამოთვლით ესადაგება ჩვენი წელთაღრიცხვის 3113 წლის 13 აგვისტოს.

განვიხილოთ ორი მაგალითი, თუ როგორ გადავიყვანთ მაისს თარიღი ჩვენს თარიღზე.

მაგალითი 1. ვთქვათ მაისს ჯუნგლებში ნაბოვნ სტელაზე წარწყდით ასეთ წარწერას: „9.14.0.0.6 აჲაუ 13 მუან“ და გესურს დავადგინოთ რა ღრო გავიდა ამ მოვლენიდან. მისიათვის ჯერ უნდა ვიტოდეთ, რომ წარწერა „9.14.0.0.0“ ნიშნავს 9 ბაქტუნს, 14 ვაუნს, 0 ტუნს, 0 ვინალს, 0 კიანს, რის შემდეგ დავადგენთ, რომ ამ მოვლენიან გავიდა  $9 \times 144\,000 + 14 \times 7200 = 1\,396\,000$  დღე ანუ 1396000 : 365 = 3822 წელიწადი. მიღებულ წელთა რიცხვს თუ გამოვაკლებთ მაისს ერას საწყის თარიღს ( $3822 - 3113 = 709$ ) მივიღებთ 709 წელიწადს, რაც შეეხება აღნიშვნას „6 აჲაუ 13 მუან“, ეს ნიშნავს, რომ მოვლენას იღვილი ჰქონდა 13-დღიანი კვირის მე-6 დღეს, აჲაუ შეუს, მუანის თვეს მე-13 რიცხვს. ეს კი გვაძლევს საშუალებას კი-შე უჭრო დავასუსტოთ მომხლოები მოვლენის თარიღი მუანის თვეს

ესადაგება იულიუსის კალენდრის 4 მაისი, მაშასადამე აღნიშნული მოვლენა მომხდარა ჩვ. წალთაღრიცხვის 709 წლის 4 მაის 1963 წლი

მაგალითი 2. ვთქვათ გვსურს იმოვხსნათ წარწერა „10.2.8.17.2 ესანაბ 11 კან-კინი“. წარწერა გვაუწყებს, რომ მაისს ერას საწყისი-დან გავიდა 10 ბაქტუნი 2 ქატუნი 8 ტუნი 17 ვინალე და 18 კინი და ემთხვევა 13-დღიანი კვირის მე-2 დღეს, დღე ესანაბს, კან-კინის თვის მე-11 რიცხვს. გამოთვლის შედეგად მივიღებთ:  $10 \times 144000 + 2 \times 7200 + 8 \times 360 + 17 \times 20 + 18 = 1457638 : 365,25 = 3990$  წ. და 291 დღე. ახლა თუ მიღებულ წელთა რიცხვს გამოვაკლებთ მაისს ერას საწყისი თარიღს ( $3990 - 3113 = 877$ ) მივიღებთ 877 წელი-წადს. მაშასადამე, წარწერა „10.2.8.17.18.2 ესანაბ 11 კან-კინი“ ნიშნავს, რომ აღნიშნული მოვლენა მოხდა ჩვ. წ. აღრიცხვის 878 წლის 31 მაისს.

## ეპრაზლი კალენდარი

უძეველესი ებრაული კალენდარი ტიპიური მთვარის კალენდარი გახლდათ. წალიწადი შეიცავდა 354 დღეს, იგი დაყოფილი იყო 12 თვედ, კენტ აღვილზე მყოფი თვე 30, ხოლო ლუწ აღვილზე მყოფი — 29 დღეს შეიცავდა.

შორეულ წარსულში თვეებს ჰქონდა თვის აღგილსამყოფელის ნომერი, მოვინანებით თვეს ნომრის გარდა, მიეცა სახელწოდებაც-მაგალითად, ბიბლიის გადმოცემით, წლის პირველ თვეს უწოდებდნენ ავიგს (თავთავის თვეს), მეორეს — ზიფს (ყვავილობის თვეს), მეშვიდეს — აფანიმს (მძვინვარე-ქარების-თვეს); მერვეს — ბულს (აღმოცენების თვეს). ზემომოყვანრლი თვეების სახელწოდება დაკავშირებული უნდა იყოს მიწათმოქმედების. განვითარებისთან.

ბიბლიაში რომელიმე წელიწადისათვის მე-13 თვის დამატების შესახებ არაფერია ნათქვამი, თანაც დღეების გადათვლა წარმოებს დეკადების („ასორ“) მიხედვით, ამრტომ მეცნიერები ვარაუდობენ, რომ უძეველესი ებრაულები იუნებდნენ ეკვიპტურ კალენდარსაც, სადაც ყოველ თვეში 30 დღე იყო. ეს ვირაუდი არც უნდა იყოს საეჭვო, რადგან ბიბლიის გადმოცემით ამტკის შთამომავალი ებრაულები ქანანიდან (ახლანდელი პალესტინა) გადასახლდნენ ეგვიპტეში, სადაც, თუ ბიბლიის დაცუჯერებთ, ებრაელები მონურ შდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებულნი გახდნენ ძვ. წ. XV—XIII საუკუნეებში.



შოსე წინასწარმეტყველის ხელმძღვანელობით, ეგვიპტედან კვლავ ქანაანში დაბრუნებულიყვნენ. ქანაანი მდებარეობდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვაო და საქარავნო გზების შესაყარზე, ამიტომ მისი დაპყრობით დაინტერესებულნი იყვნენ ეგვიპტელები და ბაბი-ლონელები, სპარსელები და ასირიელები, ბერძნები და რომაელები.

ძ. წ.-ის 588 წელს ახალბაბილონის მეფემ ნაბუქოდონისორ მე-თრემ იუდეველთა სამეფო დაამხო, იერუსალიმი დაანგრია და თითქ-მის მთელი მოსახლეობა ბაბილონეთში გარეკა. ტყვეობაში მყოფი ებ-რაელები ეცნობოდნენ ბაბილონეთის კულტურას, მეცნიერებას და როცა სპარსეთის მეფე კიროს მეორემ, ძ. წ.-ის 538 წელს, ებრაელებს პალესტინაში დაბრუნების უფლება მისცა, ტყვეობიდან გათავისუფ-ლებულებმა გადაწყვიტეს თვის ქვეყანაში შემოელოთ ბაბილონეთში გავრცელებული მზე-მთვარის კალენდარი, პერიოდულად მე-13 თვის დამატებით და შვიდდღიანი კვირით, მაგრამ ეს არც თუ ისე ადვილი გახლდათ, რადგან ბიბლიის მიხედვით, გაზაფხულის პირველი თვის სავსემთვარეობისას (თვის მეთოთხმეტე დღის საღამო) უნდა აღნიშ-ნულიყო აღდგომის დღესასწაული, ამიტომ მე-13 თვის დამატება და-მოკიდებული იყო ღვთისმეტყველების ნება-სურვილზე. კალენდარუ-ლი წელიწადის დასაწყისად კი ითვლებოდა თვე ნისანის პირველი რი-ცხვი, რომელიც ახლოს იყო გაზაფხულის დღელამტოლობასთან (11 მარტიდან 11 აპრილამდე).

7-დღიან კვირაში, გარდა შაბათისა, დღეები გადაითვლებოდა რიგის მიხედვით — შაბათიდან 1-ლი დღე, შაბათიდან მე-2 დღე და ა. შ. დღე-ღამის საწყისად ითვლებოდა ცის თაღზე მთვარისა და ვარს-კჩლავების გამოჩენის მომენტი, ეს მომენტი კი ესადაგება მზის ჩასვ-ლას ანუ 18 საათს. დღე-ღამე იყოფოდა 24 საათად, საათი კი თავის მტრივ, იყოფოდა არა წუთებად და წამებად, როგორც ესაა თანამედ-როვე მსოფლიო კალენდარულ სისტემაში, არამედ 1080 ნაწილად ე. წ. ჰელეკებად. უნდა შევნიშნოთ, რომ 1080 ჰერადია ყველა ერთნიშნა გამყოფებისა, გარდა 7-ისა. ერთი ჰელეკი 18-ჰერ მცირეა ( $1080:60 = 18$ ) ვიდრე ჩვენებური წუთი. ერთი ჰელეკი მოიცავს 76 რეგას ("წამს") და თუ ჩვენს საათში 3600 წამია, ებრაულ საათში 82 080 რეგაა და ერთი რეგა დაახლოებით 23-ჰერ უფრო მცირეა, ვიდრე ჩვენებური ერთი წამი ( $1080 \times 76:3600 = 23$ ).

როგორც უკვე აღვნიშნოთ, შორეულ წარსულში ამა თუ იმ ის-ტორიულ მონაკვეთში პალესტინას ძლიერი სახელმწიფოები იპყრობ-დნენ, რამაც სათანადო დაღი დაასვა ებრაულ კულტურასაც და იგი

მოექცა რელიგიური გავლენის ქვეშ. მაგალითად, იუდაიზმი ებრაული კალენდარით წელიწადში 613 რელიგიური რიტუალის „შესტულებას ავალებს მორწმუნეს, რომელთაგან 365 აკრძალვაა, ხოლო 248 შეწყალება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა შაბათი დღის რიტუალს. ამის შესახებ ბიბლიის „წიგნი მეორე მოსესი გამოსვლათა“ ნათქვამია: „მე ვარ უფალი, ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყუნე შენ ქუცყანით ეგაპტით სახლისაგან კირთებისა“ (20,2) და მოგიწოდებ: — „ექუს დღე იქმოდე, და ჰქმენ ყოველი საქმე შენი“ (20,9) „ხოლო დღე იგი მეშვეობების შაბათი, არს უფლისა, ღუთისა შენისა, არა ჰქმენ ყოველი საქმე მას შინა შენ, და ძემან შენმან, და ასულმან შენმან, და მონამან შენმან, და მკევალმან შენმან, ვარმან შენმან, და კარაულმან შენმან და ყოველმანვე საცხოვარმან შენმან, და მწირმან შენმან, რომელი იყოს შენ შორის“ (20, 10). გახსოვდეთ: — „მწირსა არა აჭირვებდეთ, ნუცა აჭირვებთ მას, რამეთუ თქუცნ იცით სული იგი მწირობისა, რამეთუ თქუცნცა მწირ იყულენით ქუცყანასა ეგაპტისასა“ (23,9). რადგან შენმა ღმერთმა ცა, ზღვა, ქვეყანა და ყოველივე ექვს დღეში შექმნა და მეშვიდე დღეს დაისვენა „შემისათვის აკურთხა უფალმან დღე მეშვეობების და წმინდა ჰყო იგი“ (20,11). და რადგან „წმინდა არს ესე შაბათი, განსუცნება უფლისა; ყოველმან, რომელმან ქმნეს საქმე მას შინა, სიკუდილით მოჰქუცდინ“ (35,2). და არა მარტო საქმის გაკეთებისათვის დაისხებით სიკვდილით, ემუქრება უფალი თავის მრევლს, არამედ შაბათ დღეს სიცივისაგან და შიმშილისაგან რომ იხოცებოდეთ „არა აღაგზნეთ ცეცხლი ყოველსავე სამკლდებელსა თქუცნსა დღესა შაბათსა, რამეთუ მე ვარ უფალი“ (35,3). ამიტომ მორწმუნე ებრაელები, შაბათი დღის საზრდოს პარასკევს აშნადებდნენ.

ძვ. წ.-ის II საუკუნის დასაწყისში ახალი წელიწადი გადატანილ იქნა წელიწადის თიშრის თვის პირველი რიცხვის 5 სთ-სა და 204 ჰეკელზე, რომელიც ახლოს იყო შემოდგომის დღელმტოლობასთან (5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრამდე იერუსალიმის მერიდიანის მიხედვით), რაც ფაქტობრივად ესადაგება იულიუსის კალენდრის 6 ოქტომბრის ღამის 11 საათსა და 11 წთ-ს. ამრიგად, წელიწადის პირველი თვე გახდა თიშრი, მე-12 კი — ელული. რელიგიური დღესასწაული აღდგომა მიუსადაგეს ქერის აღების დაწყებას, რომლის პირველნას ღმერთ იოჰანეს სწირავდნენ. მაგრამ ხდებოდა ისე, რომ ხანდახან ქერის აღების მომენტი და აღდგომა ერთმანეთს არ ესადაგებოდა, ამიტომ იერუსალიმის სინედრიონის (სახელმწიფოს უმაღლესი ორგა

ნო, რომელიც იმყოფებოდა იერუსალიმში) უმაღლესი მოსამართლე დროდადრო გამოსცემდა დეკრეტს მე-13 თვის დამატების შესხვები იმისდა მიხედვით, თუ რა მდგომარეობაში იყო პურეული წელიწადის მე-12 თვის ბოლოს. დეკრეტის შინაარსი ასეთი გახლდათ: „რადგან მტრედის ბარტყები ჯერ კიდევ უსუსურებია, ბატკნები ჯერ კიდევ სუსტებია, ხოლო ქერის პურეული ჯერ კიდევ არ დამწიფებულა... მე გადავწყვიტე, წელიწადს დაუმატო კიდევ 30 დღე“ (46, გვ. 82).

წელიწადს მე-13 თვეს უმატებდნენ მიმდინარე წელიწადის მე-6 თვის ადარის გასვლის შემდეგ და ჩვეულებრივ წლებში 29-დღიანი ადარი 13-თვიან წელიწადში ადარ პირველად იწოდებოდა და იგი 30-დღიანი ხდებოდა, ხოლო ადარ მეორე — 29-დღიანი. ადარ მეორეს ვეადარსაც უწოდებდნენ, ხოლო 13-თვიან წელიწადს — „იბურს“ (ფეხმძიმეს), ე. ი. წელიწადს, რომელსაც მე-13 თვე უნდა ეშვა.

ცნობილია, რომ 66 წელს ებრაელი ხალხი რომაელი დამპყრობლების წინააღმდეგ აჯანყდა. აჯანყება რომის იმპერატორის ვესპასიანეს ლეგიონებმა სისხლში ჩახაშვეს; იერუსალიმის ტაძარი დაანგრიეს. ებრაელთა უმრავლესობა აზიისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში მიმოიფანტა. ასევე განმეორდა 132—135 წლებში, როცა ბარ-კოხბის მეთაურობით ებრაელი ხალხი კვლავ აღსდგა რომაელების წინააღმდეგ. სხვადასხვა ქვეყანაში გახიზნულმა ებრაელებმა შექმნეს საკუთარი კულტურის ცენტრები — სინაგოგები, რომლებიც დიასპორებად შეიქმნა ებრაელების ფავშეყრის ადგილად გადაიქცა. სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტულ ებრაელებს, ცხადია, ვერ დააგმაყოფილებდა ის კალენდარი, რომელიც მთლიანად ცის თაღზე მთვარის ხილულ მდებარეობაზე იყო დამყარებული, რადგან იგი ბევრადაა დამოკიდებული როგორც გეოგრაფიულ კოორდინატებზე, ისე წელიწადის დროზე, ამიტომ საჭირო გახდა შექმნილიყო ისეთი კალენდარი, რომელიც ცის თაღზე მთვარის ადგილმდებარეობაზე კი არ იქნებოდა დამოკიდებული, არამედ — მხოლოდ მეცნიერულ გაანგარიშებას დაემყარებოდა. ასეთი კალენდრის შემუშავებას ხანგრძლივი პერიოდი დასჭირდა და იგი დამთავრდა V საუკუნის ბოლოს — 499 წელს.

უნდა შევნიშნოთ, რომ შექმნილ იქნა კალენდარული წელიწადის ექვსი სხვადასხვა ვარიანტი, რამაც კიდევ უფრო გაართულა გრიგოლის კალენდარულ სისტემაზე მათი გადაანგარიშება, მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ ზუსტია დროის დიდი პერიოდისათვის. ებრაული მზე-მთვარის კალენდარული სისტემის ექვსივე ვარიანტი, გრიგოლის კალენდარის პარალელურად, ისრაელის სახელმწიფოში დღესაც აღია-

რებულია სახელმწიფოს ოფიციალურ კალენდრად. მას საფუძვლად უდევს მეტონის 19-წლიანი ციკლი, რომელსაც პერიოდულად ემატება მე-13 თვე. მე-13 თვის დამატებას იხდენენ ციკლის ჟე-3, მე-6, მე-11, მე-14, მე-17, მე-19 წლებში. ისრაელში მეტონის 19-წლიან ციკლში დღეთა რაოდენობა არაა თანაბარი, მასში შეიძლება იყოს 6939, 6940 ან 6941 დღე.

ეს გამოწვეულია იმ რელიგიური მოტივებით, რომლებსაც ლრმად აქვს გაღმული ფესვი ებრაელთა შორის. მათი აზრით, ახალი წლის დასაწყისად არ შეიძლება იყოს კვირა, ორშაბათი და პარასკევი. იმ შემთხვევებში, თუ ახალი კალენდარული წელიწადის პირველი დღე ემთხვევა ზემოაღნიშნულ სამ დღეს, მაშინ ახალი წლის საწყისი დღე გადააქვთ მომდევნო დღეს ან ორი დღით წინ. გარდა ამისა, თუ თიშრის თვეში ახალმთვარეობა დადგება 18 სთ-ის შემდეგ, მაშინ ახალი წელი გადაიტანება მომდევნო დღეზე, მაგრამ, თუ ეს მომდევნო დღე აღმოჩნდება კვირა, ოთხშაბათი ან პარასკევი, მაშინ ახალი წელი გადაიტანება კიდევ ერთი დღე-დამით.

თუ უნაკო წლის შემდეგ თიშრის თვის ახალმთვარეობა დაემთხვევა ორშაბათის 15 სთ-სა და 589 ჰეკელს, მაშინ ახალი წელი დაიწყება სამშაბათს. თუ თიშრის თვის ახალმთვარეობა ნაკიან წელიწადში დადგება სამშაბათს, 9 სთ-სა და 204 ჰეკელზე, მაშინ ახალი წელი გადაიტანება ხუთშაბათს.

მაშასადამე, ებრაული კალენდარი შეიძლება იყოს მოკლე, ანუ ნაკლოვანი („ხასარინ“), რომელიც შეიცავს 353 ან 383 დღეს; ნორმალური, ანუ წესიერი („კესიდრან“), რომელიც შეიცავს 354 ან 384 დღეს, და სრული, ანუ ნამატი („შალამიშ“), რომელიც შეიცავს 355 ან 385 დღეს.

ჩვენ ხელთ გვაქვს ებრაული კალენდარი 5686 წლისათვის (1925-26 წწ.), რომელიც დაბეჭდილია ქ. ქუთაისის აღგილობრივი მეურნეობის სტამბაში 1925 წელს. ამ კალენდრის მიხედვით ებრაული კალენდრის 5686 წელი დაიწყო გრიგოლის კალენდრის 1925 წლის 19 სექტემბერს (შაბათს) და დამთავრდა 1926 წლის 8 სექტემბერს, წელიწადი კი შეიცავდა 355 დღეს და იგი მიეკუთვნებოდა „სრულ, ანუ ნაშატ“, კალენდარულ წელიწადს (ნორმალურ, ანუ წესიერ, 354-დღიანი წელიწადის 29-დღიან ხეშვინის თვეს უმატებდნენ 1 დღეს და იგი ხდებოდა 30-დღიანი). აქედანაა სახელწოდებაც „ნაშატი“, „სრული“).

თვეების სახელწოდება და მათი ხანგრძლივობა ასეთია: 1. თიშრი — 19 სექტემბრიდან 18 ოქტომბრამდე (30 დღე), 2. ხეშვინი —

19 ოქტომბრიდან 17 ნოემბრამდე (30 დღე), 3. ქისლევ — 18 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე (30 დღე), 4. ტებეთ 18 დეკემბრიდან 15 იანვრამდე (29 დღე), 5. შებატი — 16 იანვრიდან 14 თებერვლიმდე (30 დღე), 6. ადარი — 15 თებერვლიდან 15 მარტამდე (29 დღე), 7. ნისანი — 16 მარტიდან 14 აპრილამდე (30 დღე), 8. იარ — 15 აპრილიდან 13 მაისამდე (29 დღე), 9. სივან — 14 მაისიდან 12 ივნისამდე (30 დღე), 10. თამუზ — 13 ივნისიდან 11 ივლისამდე (29 დღე), 11. აბ — 12 ივლისიდან 10 აგვისტომდე (30 დღე), 12. ელულ — 11 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე (29 დღე).

ებრაული რელიგიის თანახმად, მომდევნო 5687 წელი შეიძლება დაწყებულიყო 9, 10 ან 11 სექტემბრიდან, ე. ი. იმისდა მიხედვით, ახალი წლის დასაწყისის პირველი დღე („რომ ჰაშანა“) დაემთხვეოდა კვირას, ოთხშაბათს და პარასკევს. მაგრამ, რადგან 5686 წელიწადი დამთავრდა ოთხშაბათ დღეს, ამიტომ მორიგი 5687 წელიწადი დაიწყებოდა 9 სექტემბერს, ხუთშაბათ დღეს.

უნდა შევნიშნოთ, რომ ებრაული წელიწადის ყოველ თვეს მფარველობდა გარკვეული თანაგარსკელავები. მაგალითად, თიშრს — სასწორი, ხეშვანს — მორიელი, ქისლევს — ისარი, ტებეთს — ვერძი, შებატის — მერწყული, ადარს — თევზები, ნისანს — კრავი, იარს — ხარი, სივანს — ტყუპები, თამუზს — კიბორჩხალა, აბს — ლომი, ელულს — ქალწული.

ებრაული კალენდრის საწყის მომენტად აღიარებულია „სამყაროს შევმნის“ მითიური ერა, ანუ „ერა ადამიდან“, რომელიც ებრაულ ღვთისმეტყველთა გაანგარიშებით თითქოს მოხდა ძვ. წ. 3761 წლის 7 ოქტომბერს, ორშაბათ დღეს, 5 სთ-სა და 204 ჰეკელზე. რადგან ებრაულები დღე-ღამის დაწყების დროის აღრიცხვას იწყებდნენ მზის ჩასვლის მომენტიდან, ამიტომ იგი ფაქტობრივად ემთხვევა იულიუსის კალენდრის 6 ოქტომბრის ღამის 11 სთ-სა და 11 წთ-ს.

იმის გამო, რომ ებრაული კალენდრის სტრუქტურა რთულია, მისი გრიგოლის კალენდარულ თარიღებზე გადაყვანა ძნელდება. არსებობს ებრაული კალენდარული ახალი წელიწადის დაწყების (1 თიშრის) გაანგარიშების სხვადასხვა ხერხი. ერთ-ერთია გაუსის ფორმულა, რომელიც ასე ჩაიწერება:  $32,04409333 + 1,5542418a + 0,25b - 0,00317779A = M + m$ , სადაც  $A$  არის კალენდარული თარიღი წლებში,  $b$  — ნაშთი, რომელიც მიიღება  $A$ -ს 4-ზე გაყოფით (4 არის გრიგოლის კალენდრის პერიოდი — 3 წელი უნაյო, 1-ნაკიანი წელიწადი). ა არის ნაშთი, რომელიც მიიღება  $(12A + 17)$ -ის 19-ზე გაყოფით. 19

კი განვითარებულის ფიზიკის ერთი პერიოდი. M არის მიღებული რიცხვის მთელი ნაწილი, ხოლო m — წილადი ნაწილი. (M+m)-ს განვითარების შემდეგ გვთქვულობთ ნაშთს C-ს  $C = (M+3A+5h+5)/7$  ფორმულით (7 არის კვირის შვიდდღიური). თუ  $C=1-b$ ,  $a>b$  და  $m \geq 0,63287037$ , მაშინ ებრაული აღდგომა (15 ნისანი) დაემთხვევა იულიუსის კალენდრის მიხედვით ( $M+2$ ) მარტს.

თუ C არის 0, 2, 4, 6,  $a > 11$  და  $m \geq 0,897772376$ , მაშინ იულიუსის კალენდრის მიხედვით აღდგომა, ანუ ახალი წელიწადის პირველი დღე, დაემთხვევა M+1 მარტს, დანარჩენ შემთხვევაში კი — M მარტს.

თუ გვსურს ებრაული კალენდრის ახალი სტილი (1 თიშრი) მივუსადაგოთ გრიგოლის კალენდარს, ანუ ახალ სტილს, ამისათვის საჭიროა ვიცოდეთ, რომ ებრაული კალენდრით თვეებს ნისანს, იარს, თამზას, აპს, ელულს აქვთ მუდმივ დღეთა რაოდენობა და 15 ნისანიდან მომდევნო ახალ წლამდე (1 თიშრამდე) გაივლის 163 დღე, ანუ 23 კვირა და 2 დღე. ახლა თუ 20 აპრილიდან უკან გადავითვლით 23 კვირასა და 2 დღეს, მივიღებთ, რომ ებრაული კალენდარული 5751 წლის 1 თიშრი დაემთხვევა გრიგოლის კალენდრის 1990 წლის 12 სექტემბერს.

## უცნაური კალენდარი

მთვარე მზის მეტოქე როდია, მაგრამ მას ერთი უპირატესობა აქვს: იგი იცვლება ფაზების მიხედვით, რომლებიც დროის გარკვეულ პერიოდში ზუსტად მეორდება. ამიტომ იყო, რომ შორეულ წარსულში ხალხების უმრავლესობას ჰქონდა მთვარის კალენდარი და არა მზის. მოგვიანებით მათ ჩინელებისაგან და ეგვიპტელებისაგან გადმოიღეს მზის კალენდარი, მაგრამ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში (პაკისტანში, ავღანეთში, ირანში, თურქეთში) და იმ ქვეყნებში, სადაც გაბატონებულ რელიგიად ითვლება ისლამი, მექამადაც სარგებლობენ მთვარის კალენდრით, რომელიც მთლიანად მთვარის ხილულ მოძრაობაზეა აგებული.

შორეულ წარსულში წარმართ არაბებს ჰქონდათ მთვარის კალენდარი. ამ კალენდრით წელიწადი იწყებოდა აღრეულ გაზაფხულზე. შემდგომ ხმარებაში შემოღებულ იქნა ბაბილონის კალენდრის მსგავსი

შნე-მთვარის კალენდარი, მაგრამ VII საუკუნეში არაბებს შორის გავრცელდა ახალი რელიგია — ისლამი (მუსლიმანობა). მისრმამამთავარი იყო მუჰამედი (მაჰმედი). მან ალპი გამოაცხადა ეტაფანერთ ღმერთად, ხოლო თავისი თავი მის მოციქულად და წინასწარმეტყველად. ცხადია, მუჰამედს თავისი მიმდევრები ეყოლებოდა, მაგრამ მტრებიც ბევრი ჰყავდა. მან შეიტყო, რომ თავდასხმას უპირებდნენ და 622 წლის 16 ივნისს სავაჭრო ქალაქ მექადან მედინაში გაიქცა. გაქცევის — ჰიჯრის დღე გახდა მუსლიმანებისათვის ახალი ერას და-საწყისი და არაბები ამ თარიღიდან აწარმოებენ წელთაღრიცხვასაც; სიკვდილის ცოტა ხნით ადრე მუჰამედმა დაწესა მთვარის ახალი კალენდარი.

მთვარის კალენდარს საფუძვლად უდევს დროის მონაკვეთი ორ ახალ მთვარეობას შორის, რომელიც საშუალოდ უდრის  $29,5$  მზის დღე-ღამეს, ამიტომ მთვარის 12-თვიანი წელიწადი მოიცავს  $29,5 \times 12 = 354$  დღე-ღამეს.

წილადი თვეების თავიდან ასაცილებლად, არაბი სწავლულების გადაწყვეტილებით, 6 თვე, კერძოდ, კენტ ადგილზე მდგომი თვეები, იყო 30-დღიანი, ხოლო 6 თვე, ლუწ ადგილზე მდგომი, — 29-დღიანი.

ჰიჯრის კალენდარი მზის კალენდართან შედარებით უნაკო წელიწადში 11 დღით ნაკლებია, ხოლო ნაკიანში — 12 დღით და რადგან მუჰამედმა მე-13 თვის დამატება აკრძალა, რომელიმე წელიწადი თუ იწყება 17 მაისს, მომავალი წელი დაიწყება 6 მაისს, შემდეგი — 25 აპრილს და ა. შ. წლის დასაწყისი უკან იხევს და გაზაფხულიდან ზამთარში გადადის, შემდეგ შემოდგომაზე და ზაფხულში, ვიღრე კვლავ არ დაუბრუნდება გაზაფხულს. კალენდარში, საერთოდ, არ არსებობს ზაფხულისა და ზამთრის, შემოდგომისა და გაზაფხულის თვეები: ყოველი თვე ხეტიალობს წელიწადის სხვადასხვა დროში. ამაზე უცნაური კალენდარი, საერთოდ, არასოდეს ჰქონია კაცობრიობას. იგი ყოველთვის წინ მირბის. ჩვენებური 33 წელიწადი მუსლიმანებისათვის 34 წელიწადია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ განსაკუთრებული ცხრილების გარეშე ამ კალენდრის რომელიმე თარიღის გადაყვანა ჩვენს კალენდარზე ძალიან ძნელია. მაგალითად, 1943 წელს მუსლიმანებს ორი ახალი წელიწადი ჰქონდათ: 8 იანვარი და 28 დეკემბერი. 1989 წელი ჰიჯრის მიხედვით დახსლოებით 1410 წელია და ა. შ.

რადგან ჰიჯრის კალენდარი გარბის, ბუნებრივია, „ჰიჯრა“ და-წევა „გრიგოლის“ კალენდარს, მაგრამ როდის?

თუ „მორბენალი“ კალენდრის ჰიჯრის საწყის წერტილად ფიცი დებთ 1989 წელს, რომელსაც ჰიჯრით შეესაბამება 1410 წელიდან დღემდე ჩვენი 33 წელი ჰიჯრით 34 წელია, ჰიჯრის კალენდრის აღრიცხვით წელთა რაოდენობა გრიგოლის კალენდარულ წელთა რაოდენობის ტოლი იქნება 21087 წელს. ეს, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი რიცხვია, მაგრამ ხომ დაეწევა და გაუსწრებს კიდეც?

არაბული ქვეყნების ისლამის მიმდევრებს ასეთი უცნაური კალენდრის არსებობა სრულიად არ აღარდებდა, მაგრამ VIII საუკუნეში არაბთა სახელმწიფო მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფო გახდა. ხალიფატი შუა აზიიდან და ინდოეთის ოკეანის ნაპირებიდან ატლანტის ოკეანემდე გადაშლილიყო და, რა თქმა უნდა, ასეთ დიდ სახელმწიფოს ასე უბრალოდ შედგენილი კალენდარი ვერ დააკმაყოფილებდა. არაბმა ასტრონომებმა დაიწყეს მუჰამედის ნაანდერძევი კალენდრის დაზუსტება და IX—XI საუკუნეებში დაადგინეს, რომ მთვარის თვე 0,00001 სიზუსტით შეიცავს 29,53059 დღე-ლამეს, 12 მთვარის თვე კი — 29,53059 × 12 = 354,3671 დღე-ლამეს და არა 354-ს. არაბი სწავლულები მიხვდნენ, რომ სწორედ ეს წილადი (0,3671) იყო მიზეზი, რომელიც იწვევდა მთელ რიგ სიძნელეებს კალენდრის შედგენისას. რა უნდა ექნათ? მუჰამედის კანონმდებლობით და ალაპის ნებასურვილით, ფიქრობდნენ ისინი, თითოეული თვე აუცილებლად უნდა დაიწყოს იმ მომენტიდან, როცა ბინდ-ბუნდში, მზის ჩასვლის შემდეგ, გამოკრთება ახალი ნამგალა მთვარე, ხოლო დღე-ლამის დასაწყისად — მზის ჩასვლა; მაგრამ მთვარე არ ემორჩილებოდა არც მუჰამედის კანონს და არც ალაპის ნებას, რადგან ყოველწლიურად მთვარის ფაზები ინაცვლებდა 0,3671 დღე-ლამით, 10 წელიწადში ცდომილება 3,6 დღე-ლამეზე მეტი გრძელებოდა. არაბი სწავლულები დილემის წინაშე აღმოჩნდნენ, მაგრამ გამოსავალი მაინც იპოვეს: მათ შემოიღეს ისეთივე ნაკიანი წელიწადი, როგორიც აქვს გრიგოლის კალენდარს. სწავლულებმა მონახეს რიცხვი, რომელზედაც გაამრავლეს მთვარის წელიწადი და მიიღეს თითქმის მთელი დღეთა რაოდენობის გამომხატველი რიცხვი — 30. მართლაც, 354,3671 × 30 = 10631,013 დღე-ლამეს. ამის შემდეგ ადვილი იყო მთვარის ჭეშმარიტი წელიწადის დაღენა. რადგან ჰიჯრის კალენდრით ყოველი 30 წელიწადი 11,013 დღე-ლამის ცდომილებას იძლევა, არაბმა ასტრონომებმა 11,013 დღე-ლამეს ჩამოაშორეს წილადი — 0,013 დღე-ლამე (არ ჩათვალეს დიდ ცდომილებად, რადგან ერთი დღე-ლამის ცდომილებას ვიღებთ 30:0,013 = 2308 წელიწადში) და მხედველობაში მიიღეს მხოლოდ 11 დღე-ლამე.

ამრიგად დადგინდა, რომ 30 წელიწადში 11 წელიწადი უნდა კოფილიყო ნაკიანი, 355-დღიანი, ხოლო 19 წელიწადი — უნდა კოფილი 354-დღიანი. ნაკიან წელიწადში კი 355-ე დღე დაუმატეს იმ უფრონასწერულ თვეს, რომელიც უნაკო წელიწადში 29-დღიანია.

30-წლიანი ციკლი, რომელიც არაბმა ასტრონომებმა საფუძვლად დაუდეს მთვარის კალენდარს, „არაბულ ციკლად“ იწოდება.

რადგან მთვარის წელიწადის ჰერმარიტი ხანგრძლივობა არის 354, 3671... დღე-ლამე, ხოლო მთვარის მოქმედი კალენდარი ითვლის 354 დღე-ლამეს, ამიტომ ყოველწლიურად ჰერმარიტ დროსა და მოქმედ კალენდარს შორის სხვაობა უდრის 0,3671 დღე-ლამეს. არაბი ასტრონომების გამოთვლით, ნაკიანი წელიწადი უნდა ყოფილიყო ის წელიწადი, როცა ცდომილება 0,5 დღე-ლამეს გადააჭარბებდა. ეს იყო 30-წლიანი ციკლის შემდეგი წლები: 2, 5, 7, 10, 13, 16, 18, 26 და 29.

იმისათვის, რომ გავიგოთ ნაკიანია თუ არა ესა თუ ის წელიწადი, საკმარისია, კალენდრით დათარიღებული წელიწადი გავყოთ 30-ზე და თუ გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი ტოლი იქნება ზემომოყვანილი რიცხვებისა, მაშინ საძიებელი წელი ყოფილა ნაკიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში — უნაკო. მაგალითად, ცნობილია, რომ 1996 წელი გრიგოლის კალენდრით ნაკიანია, იქნება თუ არა პიგრით მისი შესაბამისი 1417 წელი ნაკიანი? 1417:30=47 ციკლს და 7 ნაშთს, თურმე 1417 წელი პიგრითაც ნაკიანი იქნება და მოიცავს 355 დღე-ლამეს.

საინტერესო დამთხვევას ექნება ადგილი 2000 წელს, რომელსაც პიგრით 1420 წელი შეესაბამება. 2000 წელი როგორც გრიგოლისა და იულიუსის, ასევე პიგრით ნაკიანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუსლიმანური ქვეყნების კალენდარი არაა დახვეწილი. მაგრამ რადგან ოქტომბრის 1 რევოლუციამდე აზერბაიჯანში, დალესტანში, თურქეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, აჭარაში იულიუსის კალენდრის პარალელურად იხმარებოდა მთვარის კალენდარი — პიგრაც, ამიტომ დღის წესრიგში დაისვა სპეციალური ცხრილების შედგენის საკითხი, რათა მთვარის წელთაღრიცხვა მხის წელთაღრიცხვაზე გადაეყვანათ და პირიქით. ასეთი ცხრილები ჩერ კიდევ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეუდგენია აზერბაიჯანელ აბდულ ქერის გაიბოვს, მაგრამ თავის დროზე არ გამოუქვეყნებია და ცხრილებს დაყარგულადაც კი თვლიდნენ. მოგვიანებით გაიბოვს ხელნაწერი იბოვნეს. ასეთი ტიპის ცხრილები გამოქვეყნდა 1940 წელს ფადემიკოსი ი. ორბელის რედაქციით.

აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტის არსებულმა ასტრო-

ნომიის კაბინეტმა შეისწავლა როგორც ა. გაიბოვის ხელნაწერი, სე  
ი. ორბელის რედაქციით გამოქვეყნებული ცხრილები. ამის შედეგად  
სათანადო დასკვნებიც იქნა გამოტანილი: უფრო ზუსტი, ღვარისური  
და ყველასათვის გასაგები ხელმისაწვდომი ცხრილების შემუშავების  
სპეციორება. ბევრი ძიებისა და დაძაბული შრომის შედეგად 1949  
წელს გ. მამედბეილის რედაქციით გამოქვეყნდა ე. წ. მთვარის წელთ-  
ალრიცხვიდან მზის წელთალრიცხვის, და პირიქით, გამოვლის სინ-  
ქრონული ცხრილები.

ჰიჭრის კალენდრის თარიღების გრიგოლის კალენდარზე მიახლო-  
ებით გადასაყვანად სარგებლობენ ფორმულით:  $\Gamma = X + \frac{X}{33}$  (1),

სადაც  $\Gamma$  გრიგოლის კალენდრის წელთა რაოდენობაა, ხოლო  $X$  —  
მუსლიმანური ჰიჭრის წელთა რაოდენობა.

1. ამოცანა: არაბი ისტორიკოსის იბნ ალასირის ცნობით, ქარ-  
თველთა მიერ ხლათის ქვეყნის დალაშევრისას „605 წელს ქართვე-  
ლებმა აიღეს ქალაქი არჭეში“. — გრიგოლის კალენდრით, ქართვე-  
ლებმა რომელ წელს აიღეს ქალაქი არჭეში? (20 ა. გვ. 51). ქ. არჭეში  
ქართველებს აულიათ  $\Gamma = 605 + 622 - \frac{605}{33} = 1208/9$ . წელს.

გრიგოლის კალენდრის თარიღების ჰიჭრის კალენდარზე გადასა-  
ყვანად სარგებლობენ ფორმულით  $X = \Gamma - 622 + \frac{\Gamma - 622}{32}$  (2),

სადაც  $X$ -სა და  $\Gamma$ -ს იგივე სიმბოლიური მნიშვნელობები აქვს, რაც  
პირველ ფორმულაში.

2. ამოცანა: XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი იბნ ვასილი  
მოგვითხრობს: „ქართველები გაემართნენ ხლათის (საქართველოსა და  
აიუბიანთა უშუალო შეხების ერთადერთი წერტილი იყო ხლათის  
ქვეყანა და მეტოქეობის მთავარი ობიექტი — თვით ქ. ხლათი, რომე-  
ლიც დიდ საკვანძო და სავაჭრო ცენტრს (წარმოადგენდა) წინააღმდეგ  
და ილყა შემოარტყეს მას... ივანემ, ქართველთა მაღიქმა, დალია ღვი-  
ნო და აცლუნა იგი სიმთვრალემ ამხელრებულიყო და. წისულიყო ხლა-  
თისავენ ოცი მხედრის თანხლებით. ცხენმა გადმოაგდო ძირს იგი და  
დაარჩევეს მუსლიმებმა თანამებრძოლებთან ერთად და მიკვარეს  
ალ-მალიქ ალ-აუჭაუშა (20ა. გვ. 52). ეს ამბავი, „მარშიყით მაღრიბაშ-  
ვე“ ფერის თ. ნატროშვილის თქმით, მოხდა 1210 წლის 10. სექ-  
ტემბერს. რომელი წელია ჰიჭრის კალენდრით?

ივანე მხარგრძელი, ჰიგრის კალენდრით ტყვედ ჩავალია:

$$X = 1210 - 622 + \frac{1210 - 622}{32} = 606/7 \text{ წელს.}$$



მიღებულ შედეგებში წილადის ნიშანი იმაზე მიგვითოვებს, რომ გამოთვლისას დაგვრჩა წილადი რიცხვი, რომელიც უნდა გამოაქვდეს (1 ფორმულა) ან მიემატოს (მე-2 ფორმულა) მთელ წელთა რაოდენობას, რომ მივიღოთ საძებნი წელი.

ისმება კითხვა, რაში დასჭირდა მუპამედს ისეთი უცნაური კალენდრის დამკვიდრება არაბულ ქვეყნებში? მთვარის კალენდრის შემოღების ერთ-ერთი მიზეზი უნდა ვეძიოთ ახლო და შუა აღმოსავალეთის ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობაში. ამ ზონაში მცხოვრებთ საქმიანობა უხდებათ აუტანელ ცხელ კლიმატურ პირობებში. მხოლოდ ღამით, მთვარის შუქზე, შეუძლიათ ქარავნებს გადალახონ თვალუწვენელი ქვიშიანი უდაბნოები.

## რესპაბლიკური საფრანგეთის კალენდარი

გრიგოლის კალენდარი შედგენილი იყო რელიგიური იდეოლოგით. ამიტომ პროგრესიულად მოაზროვნე საზოგადოება ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოითხოვდა შეედგინათ ისეთი კალენდარი, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი ცრუმირწმუნებისაგან. ცნობილმა ფრანგმა ათეისტმა, პუბლიცისტმა და პოეტმა სილვენ მარეშალმა (1750—1803 წწ.) 1788 წელს გამოაქვეყნა მცირე ტანიანი წიგნი ე. წ. „პატიოსან ადამიანთა ალმანახი“, რომელიც დათარიღებული იყო „გონიერი სამყაროს პირველი წლით“.

ს. მარეშალის მიერ შემოთავაზებული კალენდრის პროექტით კალენდარული წელიწადი უნდა დაწყებულიყო გრიგოლის კალენდრის არა პირველი იანვრიდან, არამედ 1 მარტიდან. თანაც გრიგოლის კალენდარული თვეების სახელწოდებანი უნდა გაუქმდებულიყო და თვეების სახელები რიგის მიხედვით გამოეხატათ. მაგალითად, მარტი — პრინცეპს (პირველი), პპრილი — ალტერ (მეორე), მაისი — ტერ (მესამე), და ა. შ. თვეების: სექტემბრის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის სახელწოდებანი უნდა შენარჩუნებულიყო, რაღაც ამ თვეების სახელწოდებანი ესადაგებოდნენ კალენდარულ თვეთა რიგით ნომერს, რაღაც იანვრის თვე რიგით. XI იქნებოდა, ივი უნდა წილებულიყო

უნდეცემბრის (მეთერთმეტე), ხოლო თებერვალი — დუოდეცემბრის (მეთორმეტე) ოვედ.

ს. მარეშალის პროექტით წელიწადი მოიცავდა 30×ღლიან 12 თვეს ანუ  $30 \times 12 = 360$  დღეს. ყოველი თვე იყოფოდა სამ დეკადად (ათ-ღლიურად), ყოველი მე-10 დღე უნდა ყოფილიყო დასვენების დღე. კალენდარული წელიწადის უკანასკნელი 5 დღე, მარეშალის კალენდარის პროექტით, ითვლებოდა წელიწადის „დამატებით“ დღეებად და ეძღვნებოდა 1 დღე — სიყვარულს, მე-2 — ცოლ-ქმრობას, მე-3 — აღიარებას, მე-4 — მეგობრობას და მე-5 — ბრძენ აღამიანებს. მარეშალმა უარყო ერა „ქრისტეს შობიდან“ და ფრანგ ხალხს შესთავაზა „გონიერი სამყაროს ერა“, თანაც ერას საწყის მომენტად უნდა ყოფილიყო „პატიოსან აღამიანთა აღმანახის“ გამოცემის წელიწადის პირველი მარტი.

მარეშალის მიერ გამოქვეყნებულმა აღმანახმა საფრანგეთის რეაქციული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია. რეაქციონერები მიხვდნენ, რომ მარეშალი თავისი კალენდარის პროექტით ილაშქრებს არა მარტო გრიგოლის კალენდრის, არამედ რელიგიისა და ეკლესიის წინააღმდეგ. მიტომ იყო, რომ სამეფო კარის პროკურორმა მოითხოვა მარეშალის წიგნის დაწვა, ხოლო ღმერთის დაგმობის, მისი შეურაცხყოფისა და რელიგიის მოსპობის მცდელობისათვის, წიგნის აგტორის პასუხისმგებაში მიცემა. ასეც მოიქცნენ — წიგნი დაწვეს, ხოლო მარეშალი დააპატიმრეს და ციხეში ჩასვეს. მაგრამ თავისუფლების მოყვარე ფრანგმა ხალხმა გაილაშქრა მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ, ბასტილის ციხე, რომელიც აგებულ იქნა. პარიზში 1369-83 წლებში და პროგრესიულად მოაზროვნე აღამიანთა საპყრობილედ ითვლებოდა, რევოლუციურად განწყობილმა ხალხმა 1789 წლის 14 ივნისს იერიშით იიღო და დაანგრია, მეფის ხელისუფლება დაამხოდა და საფრანგეთი რესტაბლივად გამოაცხადა.

რევოლუციის პირველ ღლიდანვე საფრანგეთში გატარებულ იქნა მთელი რიგი რევოლუციური კანონები, მათ შორის კონვენცია გამოხადა: კანონი გრიგოლის კალენდრის გაუქმების შესახებ. შეიქმნა ახალი კალენდრის შემუშავების სპეციალური კომისია, რომლის მეთაურად დაინიშნა რევოლუციის ურთ-ერთი ქეტიური მონაწილე, პროფესიონალური მოფენიტიკოსი, ჟილბერ რომე (1750—1795 წწ.). კომისიის მუშობაში მონაწილეობდნენ ფრანგი მეცნიერები: მთემატიკოსი ჟოზეფ ლუი ლოგრანჟი (1736—1813 წწ.), ქსტრონომი იოსებ ლაბანდი (1732—1807 წწ.); სრულად გვერდის იეადემიის წევრი; ცნობოლი გეომეტრი, გას-

პარ მონეი (1746—1818 წწ.), ასტრონომი და მათემატიკოსი, საფრანგეთის აკადემიის წევრი, პიერ ლაპლასი (1749—1827 წწ.) და სხვა.

კომისიაში მხედველობაში მიიღო ს. მარეშალის მიერ ჭამრუქნებული იდეები.

1793 წლის 21 სექტემბერს, ჟ. რომმა საფრანგეთის ეროვნულ კონვენციში განაცხადა: „რადგან საფრანგეთის ხალხის წარმომადგენლების მიერ აღიარებულ იქნა მოქალაქეთა თანასწორობა დედამიწაზე, ხოლო ცის მნათობის — მზის მიერ 22 სექტემბერს აღნიშნულ იქნა დღელამტოლობა, ამიტომაც, სწორედ 22 სექტემბერი უნდა ჩაითვალოს ქრისტიანულ ერას უკანასკნელ დღედ და რესპუბლიკის კალენდარული ერას დასაწყისად“ (49, გვ. 83).

კონვენცია მოიწონა ჟ. რომმის წინადადება და საფრანგეთის რესპუბლიკის კალენდარი ძალაში შევიდა 1793 წლის 5 ოქტომბრიდან.

ახალი კალენდარით წელიწადში იყო ოთხი დრო, თითოეულ დროში სამი თვე, წელიწადში კი 30-დღიანი 12 თვე.

თვეების ძველი სახელწოდებანი, რომლებიც ასახავდნენ რომის იმპერატორების სახელებსა და მითოლოგიურ შინაარსაც ატარებდნენ, შეცვლილ იქნა ისეთი სახელწოდებებით, რომლებიც უშუალო კავშირში იყვნენ ბუნებრივ, მეტეოროლოგიურ და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მოვლენებთან.

წელიწადის პირველ დროდ ითვლებოდა შემოდგომა და მისი სამივე თვის სახელწოდება ბოლოსართ „მერ“-ით მთავრდებოდა. წელიწადის მეორე დრო გახლდათ, ზამთარი და მისი სამივე თვე ბოლოსართ „ოზ“-ით მთავრდებოდა. გაზაფხულის თვეები — „ალ“-ით, ზაფხულის თვეები კი ბოლოსართ „ორ“-ით მთავრდებოდა. თვეების სახელწოდების ასეთი სისტემა კონვენცია წარუდგინა რევოლუციონერმა, მსახიობმა და პოეტმა ფაბრ დე ეგლანტინმა (1755—1794 წწ.) და დიდი მოწონება დაიმსახურა. თვეების სახელწოდებანი კი შემდეგი იყო:

შემოდგომის თვეები (22 სექტემბრი და 20 დეკემბრი და 2 მარტი).

ვანდემერი — ყურძნისკრეფისთვე (სექტემბერი-ოქტომბერი); ბრიუმერი — ღრუბლიანობისთვე (ოქტომბერი-ნოემბერი); ფრიმერი — ჭირხლიანობისთვე (ნოემბერი-დეკემბერი).

ზამთარის თვეები (21 დეკემბრი და 20 მარტ და 2 მარტ).

ნივოზი — თოვლიანობისთვე (დეკემბერი-იანვარი); პლიუვიონი. 3. კოპალეიშვილი

ზი — წვიმებისთვე (იანვარ-თებერვალი); ვენტოზი — ქართათვე (ოქ-ბერვალი-მარტი).

გაზაფხულის თვეები (21 მარტი დან 18 ივნისამდე).

უერმინალი — აღმოცენებისთვე (მარტი-აპრილი); ფლიურებალი — ყვავილობისთვე (აპრილი-მაისი); პრერიალი — თბიათვე — მინდვრისთვე (მაისი-ივნისი).

ზაფხულის თვეები (19 ივნისი დან 16 სექტემბრამდე)

მესიდორი — მკათათვე (ივნისი-ივლისი); თერმიდორი — სიცხეებისთვე — პაპანაქებისთვე (ივლისი-აგვისტო); ფრიუკტიდორ — მოსავლისაღების თვე — ნაყოფის აღების თვე (აგვისტო-სექტემბერი).

თვის შვიდდღიურად დაყოფა და კვირის დღეთა სახელწოდებანი, როგორც ძველი ყოფის გადმონაშორი, კონვენტის მიერ უარყოფილი იქნა და მის მაგივრად ყოველი თვე დაყოფილ იქნა სამ დეკადად. დეკადის დღეების სახელწოდებად კონვენტმა დაამტკიცა ფ. ლეგლანტინის მიერ წამოყენებული წინადადება. იგი შედგენილი იყო რიცხვთა რიგის ლათინური სახელწოდებისა და ლათინური სიტყვის dies (დღე) პირველი ორი ასოს კომბინაციით და დეკადის დღეების სახელწოდებანი ასე წარმოითქმებოდა: პრიმიდი, დუოდი, ტრიდი, კვარტიდი, კვინტიდი, სექსტიდი, სეპტიდი, ოქტიდი, ნონიდი, დეკადი.

დღეთა სახელწოდებების ასეთ დაწესებას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ იგი მიუთითებდა დეკადაში დღის რიგის ნომერს.

რესპუბლიკის კალენდარული წელიწადისა და მზის წელიწადის ხანგრძლივობის შეთანხმებისათვის, 17 სექტემბრიდან 22 სექტემბრიდე, რესპუბლიკის კალენდარულ უნაკი წელიწადს უნდა დამატებოდა 5, ხოლო ნაკიანს — 6 დღე. ამ დღეებს „სანკიულოტიდები“ ეწოდებოთ (სიტყვასიტყვით — sans — culottes — მოკლე შარვლის გარეშე. სანკიულოტიდები გახლდათ საფრანგეთის ბურჯუაზიული რევოლუციის მონაწილეები და დიდებულებისა და მდიღრებისაგან განსხვავებით ატარებდნენ უხეში ქსოვილისაგან შეკერილ გრძელტოტებიან შარვლებს) და გამოცხადებული იყო საზეიმო დღეებად. მაგვიანებით ამ დღეებს უწოდეს ბერძნული სახელწოდება — ეპიგონენი (სიტყვასიტყვით — epigonus — შემდეგ დაბალებული — დამატებითი დღეები).

სანკიულოტის პირველი დღე — 17 სექტემბერი თველებოდა სიბრძნის დღედ. ამ დღეს ქება-დღიუბრი მოისხენებდნენ ყოველივე იმას, რაც აღმოაჩინა და შექმნა აღამიანის გენიამ წლის განმავლობაში. სანკიულოტის მეორე დღე — 18 სექტემბერი ეძღვნებოდა



შრომის გმირებს. მესამე დღეს — 19 სექტემბერს ადიდებდნენ გორილისას და მამაცობას, მეოთხე დღე — 20 სექტემბერი ეძღვნებოდა დაჭილდოვებულთა ზემოს. ამ დღეს ტარდებოდა საჯარო აღიარება და ყველა იმ პირთა დაჭილდოების ცერემონია, ვისაც ქება-დიდებას ასამდა ხალხი წინა სამ დღეს. სანკიულოტის მეხუთე დღე — 21 სექტემბერი გახლდათ საზოგადოებრივი აზრის ზეიმი. ამ დღეს საჯარო კრიტიკის ყველა სარჩეველი ღია იყო — იმ თანამდებობის პირს, ვინც წლის განმავლობაში ვერ გაამართლებდა ხალხის ნდობას საჯარო ლანდავლენენ და მოითხოვდნენ მის გადაყენებას და დასჯას.

მეექვსე სანკიულოტი — 22 სექტემბერი, ნაკიანი წელიწადის დამატებითი დღე იყო და ეძღვნებოდა ოლიმპიურ თამაშობებს და სპორტულ შეჯიბრებებს.

ახალი კალენდრის ძალაში შესვლის დღეებში, კონვენტმა მოუწოდა საფრანგეთის მოქალაქეებს, თავგამოდებით ებრძოლათ ცრუ-მორჩმუნეობის წინააღმდეგ და თან განმარტავდა კალენდრის რეფორმის უპირატესობას. ამ პერიოდიდან დაიწყო საკარნავალო პროცესები.

ერთ-ერთი ასეთი გრანდიოზული პროცესია — ზეიმი მოუწყვიათ 1793 წლის ბოლოს პარიზის ჩრდილოეთით მდებარე ქ. არასეს მცხოვრებთ. სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ასტრონომთა საბჭოს წევრის ს. სელეშნიკოვის გადმოცემით საზეიმო პროცესიაში მონაწილეობდა 20. ათასამდე მოქალაქე. პროცესის წინ მიუძღვიდა წელიწადის თვეებისდა მიხედვით დაყოფილი ადამიანთა 12 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში იყო 30 კაცი, რაც თვის დღეთა რაოდენობას გამოხატავდა. თითოეულ ჯგუფში შედიოდა ნაირფერ ტანსაცმელში ჩაცმული ბიჭუნები და გოგონები, მათ უკან მიყვებოდნენ ქალიშვილები და ქაბუკები, შემდეგ ახალგაზრდა ქალები და კაცები, ხანში შესულნი და ბოლოს ხანდაზმული ადამიანები, მათ მიყვებოდა ხუთი 75 წლის მოხუცი, რომელიც განსახირებდნენ კალენდარული წელიწადის 5 დამატებით დღეს. ზეიმის დასასრულს ხავერდის ბალდახანიანი საქაცით მიუვდათ გრძელი და ჭალარაწვერიანი 100 წლის მოხუცი. იგი განასხიერებდა ნაკიანი წელიწადის მეექვსე დამატებით დღეს (49, გვ. 87).

ამავე წელს ქ. ბორდოში, ეკლესიის წინამდებარე მოედანზე, დადგეს საბალეტო წარმოდგენა, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილ იქნა წელიწადის 12 თვე და 5 სანკიულოტი. სხვა ქალაქებში პროცესიის მთავარი გმირები იყვნენ — თავისუფლება, თანასწორობა და ძმობა, აგრეთვე გონება, რომელიც დაბრძანებულიყო კარეტაში, ხოლო კარე-

ტის თვლებში საგანგებოდ მოთავსებული ცრურწმენებით გაბერილი ბუშტები, რიგორიგობით სკდებოდნენ.

ქვეყანაში თკრძალა ქველი კალენდრით 1 იანვრის, როგორც ახალი წელიწადის პირველი დღის, აღნიშვნა და ზემო. ეს დღე განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. ამ დღეს ყველა ფოსტაში სნიდნენ წერილებს და ათვალიერებდნენ მის შინაარსს, თუკი საახალწლო მილოცვისა იყო, მას იქვე ხევდნენ.

ეკლესიის მსახურთ და მესვეურთ, რა თქმა უნდა, სძულდათ ახალი კალენდარი და რევოლუციური წესები, მაგრამ რესპუბლიკური ხელისუფლებისა და ხალხის შიშით, ხმას ვერ იღებდნენ. მხოლოდ ერთმა ეპისკოპოსმა გაბედა კალენდრის ერთ-ერთი ავტორისათვის — უ. რომმისათვის გაეგზავნა ასეთი შინაარსის ღვარძლიანი შექითხვა: რისთვის გჭირდებათ ოქვენი კალენდარი? — რომმა თამამ ეპისკოპოსს ასეთი პასუხი გასცა: იმისათვის, რომ ოქვენი აღდგომა გავანადგუროთ, ესე იგი ქრისტეს ჩრდენა.

საზღვარგარეთ გაქცეული დიდებულები, მდიდრები და ოვალ-აზნაურობა რესპუბლიკურ კალენდარს „რელიგიის წინააღმდეგ შეოქმულებას“ უწოდებდნენ, ხოლო მთელი ევროპის კათოლიკური ეკლესიები რომის პაპის მეთაურობით ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ სახელი გაეტეხათ საფრანგეთის რევოლუციისათვის; საფრანგეთის რევოლუციის მეთაურებს ურწმუნოებს, მოღალატეებს, ფრანგი ხალხის გამრყვნელებს უწოდებდნენ. ისინი ვერ შერიგებოდნენ შუოთისთავ სანკიულოტებს, რომლებმაც მრავალსაუკუნვივანი კანონები, ჩეველებანი უგულველყვეს. მათ არა მარტო ამოყარეს წმინდანები კალენდრიდან, როგორც უვარგისი ხარახურა, არამედ მათ მაგივრად შეიტანეს ე. წ. „პატიოსანი ადამინები“ — არისტოტელე, ვოლტერი, დანტე, დეკარტე, კამპანელა, ნიუტონი, სპინზა, შექსპირი და მრავალი სხვა. გარდა ამისა გააუქმეს კვირა დღე და ყველა ქრისტიანული დღესასწაული. ასეთ უღვთო კალენდარს, რა თქმა უნდა, პაპის უწმინდესობა ვერ აიტანდა. ამიტომაც იყო, რომ რომის პაპი ქრისტეს სახელით ყველა ქვეყანას მოუწოდებდა, როგორმე მოეხრჩოთ რევოლუცია და მხარს უჭერდა რესპუბლიკის მტრებს, განსაკუთრებით კი ფრანგ სამღვდელოებას.

რესპუბლიკურ კალენდარს, რა თქმა უნდა, უარყოფითი მხარე-ებიც ჰქონდა. კურძოდ, ნაკიანი წელიწადი მეორდებოდა ხან თხხი, ხან კიდევ, ხუთი წლის შემდეგ. შვიდდღიური შეცვლილ იქნა ათდღიურით — დეკადით, რაც დიდ უხერხულობას ქმნიდა საერთაშორისო

ურთიერთობის დამყარებაში. მაგრამ მიუხედავად ამისა, საფრანგეთის რესპუბლიკის კალენდარი მოქმედებაში იყო თითქმის 13 წლის გან-მავლობაში — 1792 წლის 22 სექტემბრიდან 1805 წლის 31 დეკემბ-რამდე.

ზემოხსენებული კალენდარი გაუქმდებულ იქნა ნაპოლეონ I-ის მიერ პაპთან შეთანხმებით და შეცვლილ იქნა გრიგოლის კალენდრით.

1871 წელს პარიზში კვლავ იფეთქა რევოლუციამ. შეიქმნა კომუ-ნა. კომუნამ კვლავ აღადგინა რესპუბლიკური კალენდარი. აღდგენილი კალენდრის თანახმად 1871 წელი ითვლებოდა 79-ე წელიწადად საფ-რანგეთის რესპუბლიკის გამოცხადებიდან. ამჯერად კალენდარმა, ისე როგორც კომუნამ, მხოლოდ 72 დღე იარსება.

ამრიგად, მარცხით დამთავრდა კალენდრის ისტორიაში პირველი ცდა გაეთავისუფლებინათ კალენდარი რელიგიური გადმონაშთებისა-გან.

## მოცლიო გუდივი კალენდრის საკითხებისათვის

ამჟამად ზოგიერთი ქვეყანა დროის აღრიცხვისათვის გრიგოლის კალენდარს იყენებს, ზოგი კი — მთვარის კალენდარს. გამონაკლისს არც მრავალმილიონნანი ინდოეთი წარმოადგენს. აქ უკანასკნელ წლე-ბამდე იყენებდნენ 30-მდე სხვადასხვა კალენდარს, რომლებიც უხსო-ვარი დროიდან ღვთისმსახურმა ბრაჟმანებმა შეადგინეს ასტროლოგი-ური მკითხაობისათვის. ამ კალენდრით წელიწადი სხვადასხვა დღით იწყებოდა, თვეების რაოდენობაც სხვადასხვა იყო და წელთაღრიცხ-ვაც — უამრავი. ეს კი ხელს უშლიდა ეროვნულ კონსოლდაციას, სხვა სახელმწიფოებთან და ქვეყნის შიგნით რეგიონებს შორის ურ-სიერთობის მოწესრიგებას. ინდოეთში რელიგიური დღესასწაულების კალენდარული დადგენისათვის გამოყენებულია ე. წ. ტიფისი, ანუ მთვარის დღე-ლამე. ტიფისი არის თვის 1/30 ნაწილი. რადგან მთვა-რის თვის საშუალო ხანგრძლივობა 29,5 დღე-ლამეა, ამიტომ ტიფისის საშუალო ხანგრძლივობა 23 სთ და 37 წთ-ია და იგი 23 წთ-ით ნაკლე-ბია მზის საშუალო დღე-ლამეზე. ამრიგად, ინდოეთის ბრაჟმანები დღე-ებისდა მიხედვით კი არ განსაზღვრავენ თვის ხანგრძლივობას, არა-მედ, პირიქით, დღის სიდიდეს განსაზღვრავენ თვის სიღიდის მიხედ-ვით; მაგალითად, მთვარის ორი თვე საშუალოდ შეიცავს 59 დღე-

დამეს, ანუ 60 ტიფისს (24 სთ  $\times$  59 = 1416 სთ და 23  $\frac{3}{5}$  სთ  $\times$  60 =  
= 1416 სთ).

ახალი ტიფისის დასაწყისს არავითარი საერთო არა აჭვეულობრივი  
სხეულების მოძრაობასთან. ტიფისი შეიძლება დაემთხვეს დღე-ღამის  
ნებისმიერ დროს. ასე, რომ, შეიძლება ერთსა და იმავე დღე-ღამეს  
ორი ან სამი ტიფისიც კი დაემთხვეს. ეს ხდება მაშინ, როცა მორიგი  
ტიფისი იწყება შუალამის შემდეგ არაუგვიანეს 22 წუთისა; ამ დროს  
ტიფისი დასრულდება მეორე დღე-ღამის შუალამის დამთავრებამდე  
და დაიწყება მესამე ტიფისი, რაც კალენდარში მთელ რიგ სირთუ-  
ლებს იწვევს.

ინდოეთმა როგორც კი მოიპოვა დამოუკიდებლობა, დღის წეს-  
რიგში დადგა კალენდრის ოფორმის გატარების საყითხი. შეიქმნა  
სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა ცნობილი ინ-  
დოელი სწავლული და ასტრონომი მაგნად საპა. ახალი კალენდა-  
რი — საკა ზამვათი ინდოეთში შემოღებულ იქნა 1957 წლის 22 მარ-  
ტიდან.

როგორც ცნობილია, 21 მარტს გაზაფხულის დღელამტოლობაა და  
22 მარტიდან იწყება დღის მატება და ღამის კლება. ინდოეთის ერ-  
თიანი კალენდარი სწორედ გაზაფხულის დღელამტოლობას მიუსაღა-  
გეს. ინდოეთში ერთიანი კალენდრის საყითხი თითქოს მოვარდა,  
გაგრამ იგი საბოლოოდ დადებითად მაინც ვერ გადაიჭრა, რადგან  
1957 წლის 22 მარტს ინდური კალენდრით — საკა ზამვათით ინდო-  
ეთმა ფეხი შედგა XX საუკუნეში და 1988 წლის 22 მარტს დადგა  
1910 წელი. ამრიგად, საკა-ზამვათის კალენდარი გრიგოლის კალენ-  
დარს 78 წლით ჩამორჩება, ამიტომ ინდოეთში დღესაც საკა ზამვა-  
თის კალენდრის პარალელურად იყენებენ გრიგოლის კალენდარს და  
ინდოეთის ოფიციალური დოკუმენტები დათარიღებულია საკა ზამვა-  
თისა და გრიგოლის წელთაღრიცხვით.

საკა ზამვათის წელთაღრიცხვა ექვს დროს შეიცავს: ზაფხულს,  
წვიმებს, შემოღვმას, გვიან შემოღვმას, ზამთარსა და გაზაფხულს;  
წელიწადში 12 თვეება, რომლებიც არ ემთხვევა გრიგოლის კალენდა-  
რულ თვეებს, რადგან წელიწადი იწყება გაზაფხულის დღელამტოლო-  
ბის პირველი დღის შემდეგ, ხოლო გრიგოლის კალენდარით — პირ-  
ველი იანვრიდან.

კალენდრის ოფორმის ჩატარება ინდოეთის კულტურულ ცხოვ-  
რებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, მაგრამ ინდოეთის მთავრობა

ეროვნული კალენდრის შემოღებას განიხილავდა როგორც დროებით  
ლონისძიებას და მოითხოვდა მსოფლიოს მასშტაბით მუდმივი ცალენდრის  
რის შემუშავებას.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავაჰერლალ ნერუ გაერთიანებული  
ერების ორგანიზაციისაგან გადაჭრით მოითხოვდა ყველა ქვეყნი-  
სათვის მისაღები, ერთიანი მუდმივი კალენდრის დროულად შემუშავე-  
ბას. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ასეთივე წინადაღებებს აყენებდნენ. საბჭოთა კავშირი, საფრანგეთი, სოციალისტური ქვეყნები  
და სხვ.

რატომ მოითხოვდნენ მთელი რიგი ქვეყნები მსოფლიოს მუდმივი  
კალენდრის შემოღებას? XX საუკუნის I ნახევარში ავტომატიკა და  
ტელემექანიკა წარმოების მართვის ძირითადი ელემენტი გახდა, ამავე  
საუკუნის II ნახევარში კი ადამიანმა ატომის ენერგია დაიმორჩილა,  
კოსმოსში გაიჭრა; მსოფლიოს ყველა ქვეყანა, ყოველი კუთხი საერ-  
თაშორისო ურთიერთობის ფერხულში ჩაება; ადამიანისათვის მსოფ-  
ლიო ერთიანი და განუყოფელი გახდა, მაგრამ დროის აღრიცხვა —  
კალენდარი ჩამორჩა მსოფლიოს მაჯისცემას. იგი თითქოსდა ერთმანე-  
თისაგან ყოფს სახელმწიფოებს, ადამიანებს.

გრიგოლის კალენდარს მრავალი ცივილიზებული ქვეყანა იყენებს  
(მთვრის კალენდარი ხმარებაშია მუსლიმანურ ქვეყნებში და ძალიან  
რთულია), მაგრამ მას აქვს ზოგიერთი უარყოფითი მხარე: კალენდა-  
რულ თვეში დღეთა რაოდენობა სხვადასხვაა და მერყეობს 28-დან  
31-მდე, კალენდარული კვარტალი სხვადასხვა ხანგრძლივობისაა: I  
კვარტალი ხან 90, ხან კიდევ 91 დღიანია; II კვარტალი — 91 დღიანი,  
ხოლო III და IV კვარტლები — 92—92-დღიანი. ამიტომ კალენდარული  
წელიწადის I ნახევარი II ნახევართან შედარებით ნაკიან წელიწადში  
2 დღით, ხოლო უნაკო წელიწადში 3 დღით მოკლეა.

თვეების რიცხვებსა და კვირის დღეებს შორის სრული შეუთან-  
ხმებლობაა — თვის ყოველი რიცხვი სხვადასხვა დღით იწყება, ამი-  
ტომ კვირის დღეები არ ემთხვევა მუდმივ თარიღებს.

თვის კალენდარული კვირა მეორდება თვის ხანგრძლივობის და-  
მოუკიდებლად, რის გამოც ხშირად თვის უკანასკნელი კვირა ორად  
იყოფა: თუ კვირის ერთი ნაწილით მთავრდება რომელიმე თვე, მისი  
მეორე ნაწილით იწყება მისი მომდევნო თვე. ამიტომაცაა, რომ შეუძ-  
ლებელია უცებ დაადგინო კვირის რა დღე არის თვის ესა თუ ის რი-  
ცხვი.

წელთაღრიცხვა იწყება ქრისტეს დაბადებიდან და ახალი წელი-

წადის დაწყება არაა დაკავშირებული ისტორიულ, ასტრონომიულ ან სხვა ბუნებრივ მოვლენებთან. მოძველებულია თვეების ფაზებებიც, რაღაც თანამედროვე ეპოქაში ვიყენებთ რომაელი ღმერთებისა და იმპერატორების სახელწოდებებს. შეუსაბამობა არსებობს მთელი რიგი თვეების ლათინურ რიცხვით სახელწოდებასა და თვის ნამდვილ მიმღებრობას შორის. მაგალითად, „სეპტემ“ აღნიშნავს რიცხვ 7-ს, მაგრამ სექტემბერი კალენდრის IX თვეა და არა VII, „ოქტო“ — 8-ს, ოქტომბერი კი კალენდრის X თვეა და არა VIII და ა. შ.

წელიწადის თვეების სხვადასხვა ხანგრძლივობა, განსაკუთრებით კი ყოველ თვეში, სამუშაო დღეთა სხვადასხვა რაოდენობა, ამნელებს წარმოების დაგეგმვას, ქმნის ხარვეზებს ბანქისა და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. ასევე ძნელია თანამედროვე კალენდრით უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების სამუშაო ცხრილების შეღვენა და ა. შ.

გრიგოლის კალენდრის ყველა ზემოთ მითითებული ნაკლი აიძულებს სახელწიფოს ყოველწლიურად ბეჭდოს და გამოსცეს კალენდრი ახალი რედაქციით, რაც უამრავ ქალალდს და მილიონობით მანეთს მოითხოვს, ამიტომ გასაკვირი არაა, რატომ დაისვა საკითხი გრიგოლის კალენდრის გადასინჯვისა და მსოფლიო მასშტაბით მისი რადიკალური რეფორმის გატარების შესახებ.

ჯერ კიდევ იტალიელმა მარკო მასტროფინიმ (1763—1845 წწ.) 1834 წელს პირველმა შეადგინა „მსოფლიო“ კალენდარი. მან წამოაყენა წინადადება წელიწადში ყოფილიყო 52 სრული შვიდდღიანი კვირა, ე. ი. 364 დღე; ტროპიკულ წელიწადთან მსოფლიო კალენდრის გისადაგების მიზნით ყოველ წელიწადს, დეკემბრის ბოლოს, დამატებოდა 1 ე. წ. „ცარიელი“ დღე, ხოლო ნაკიან წელიწადს, ივნისის ბოლოსა და ივლისის დასაწყისში, დამატებოდა კიდევ ერთი „ცარიელი“ დღე.

გასული საუკუნის 80-იან წლებში საფრანგეთის ასტრონომიულ მა საზოგადოებამ კონკურსი გამოაცხადა საუკეთესო მსოფლიო კალენდარზე და რამდენიმე პრემიაც კი დააწესა. ფრანგმა ასტრონომმა გიუსტავ არმენილმა 1888 წელს გამოაქვეყნა პროექტი „კალენდრის რეფორმა“ — რისთვისაც პირველი პრემია დაიმსახურა და, სამწუხაროდ, ამით დამთავრდა ყველაფერი.

1923 წელს უნევაში ერთა ლიგასთან შეიქმნა კალენდრის რეფორმის საერთაშორისო კომიტეტი, რომლის მიზანი იყო საერთაშო-

რისო კალენდრის შემუშავება. კომიტეტმა თავის მუშაობის პროცესში განიხილა და გამოაქვეყნა 200-მდე პროექტი, რომლებიც წარმოადგენილი იყო სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული კომიტეტებისაგან, ზომეცნიერო ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგანაც კი. საბოლოოდ შეირჩა ორი პროექტი. პირველი პროექტით წელიწადში 13 თვეა. თითოეული თვე შედგება 4 კვირისაგან, ე. ი. თვეში 28 დღეა; ყოველი თვე იწყება კვირით და მთავრდება შაბათით; კვირის დღეები და დღესასწაულებიც ყოველთვის ერთსა და იმავე რიცხვებში ხდება; წელიწადში  $4 \times 13 = 52$  კვირაა და  $28 \times 13 = 364$  დღე. იმისათვის, რომ 13-თვიანი წელიწადი ტრობიულ (მზის) წელიწადს დაუახლოვდეს, ყოველ უნაკო წელიწადს უნდა დაემატოს 1, ხოლო ნაკიან წელიწადს — 2 დღე. დამატებით დღეებს, პროექტის მიხედვით, არც სახელი და არც თარიღი არ გააჩნია და ნულოვან დღეებად ითვლება. ყოველწლიურად ერთი დღე უნდა დაემატოს დეკემბრის ბოლოს და იგი აღიარებულ უნდა იქნეს როგორც ხალხთა შორის მშვიდობის, მეგობრობისა და სოლიდარობის სადღესასწაულო დღე; მეორე დღე კი — ნაკიანი წელიწადის ზაფხულის პირველი თვის — იგნისის დასასრულს. ამ პროექტს თუ ლრმად გავაანალიზებთ, მთელ რიგ ნაკლოვანებებს აღმოვაჩენთ: 13-თვიანი წელიწადის შემოღების შემთხვევაში წელიწადი შეუძლებელი იქნება დაიყოს კვარტალებად; ერთ ნახევარწელიწადის ვერ გამოვყოფთ მეორე ნახევარწელიწადისაგან, რაც სახალხო მეურნეობის მუშაობისათვის აუცილებელია. ასევე ძალიან გართულდება ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების 13-თვიან კალენდართან მისადაგება და ა. შ. ამიტომ 1937 წლის 25 იანვარს ერთა ლიგის მორიგ სხდომაზე განიხილეს ე. წ. 12-თვიანი კალენდრის პროექტი. ამ პროექტის მიხედვით წელიწადში 12 თვეა, წელიწადი იყოფა ორ ნახევარწელიწადად, 4 კვარტლად, თითოეულ კვარტალში 13 კვირაა, ანუ 91 დღე; წელიწადში  $91 \times 4 = 364$  დღეა, ამიტომ ისე, როგორც პირველ პროექტში, ამ კალენდარსაც უნაკო წელიწადში უნდა დაემატოს 1, ხოლო ნაკიან წელიწადში — 2 დღე; თითოეული კვარტალი შედგება 3 თვისაგან, თანაც თითოეული კვარტალის პირველ თვეებში (იანვარი, აპრილი, ივნისი, ოქტომბერი) 31 დღეა; დანარჩენ თვეში — 30-30 დღე. ყოველი კვარტალი იწყება კვირა დღით და მთავრდება შაბათით, რადგან კვარტალში 91 დღეა და უნაშთოდ იყოა კვირის დღეთა (7) რაოდენობაზე.

ცხადია 12-თვიანი კალენდრის უპირატესობა 13-თვიანთან შედარებით. 12-თვიან კალენდარში წელიწადი იყოფა ორ ტოლ ნახევარ-წელიწადად, კვარტლებად და ამით გაადვილებული იქნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დაგეგმვა, თანაც იღნიშნული კალენდარი უფრო ახლოს დგას გრიგოლის კალენდართან, რაც არ გამოიწვევს ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების არევ-დარევას.

ახალი კალენდრის შემოლება უკვე განზრახული იყო, მაგრამ მას ხელი შეუშალა მეორე მსოფლიო ომში.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დღის წესრიგში კვლავ დაისვა საკითხი მსოფლიო კალენდრის შემოლების შესახებ. მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის ინდოეთი, გადაჭრით მოითხოვდნენ კალენდრის რეფორმას. ინდოეთის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ მეგნენად საპატ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარუდგინა მემორანდუმი „მსოფლიო კალენდრის რეფორმის შესახებ“, რომელიც 1954 წლის 28 ივლისს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მე-18 სესიამ განიხილა და მიიღო დადგენილება აღნიშნული საკითხი განსახილველად გადაეცათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის. მემორანდუმი განიხილეს 1956-სა და 1960 წლებში. პროექტს მხარი დაუჭირეს საბჭოთა იმპერიის და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, აგრეთვე ინდოეთმა, საფრანგეთმა. წინააღმდეგ გამოვიდა დასავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის: აშშ, დიდი ბრიტანეთი, ინდონეზია, იტალია, არაბული ქვეყნები და ა. შ. აღნიშნული ქვეყნები, რელიგიური მოტივების მოყვანით, ყოველნაირად ცდილობდნენ და ცდილობდნენ შეინარჩუნონ ამჟამად მოქმედი კალენდარი, რადგან ებრაელები ვერ ელევიან მათვის ტრადიციული შაბათი დღის დღესასწაულს, ქრისტიანები — კვირა დღეს, მუსულმანები უარს აცხადებენ „პარასკევის“ კანონიერი მდგომარეობის შეცვლაზე, ხელისუფალნი კი იძულებული არიან ყურად იღონ რელიგიის მესვეურთა სურვილები.

მართალია, 1963 წლის 4 დეკემბერს ვატიკანის მეორე კრებამ 2057 ხმით (4 ხმის წინააღმდეგ) მიიღო დადგენილება ამჟამად მოქმედი კალენდრით აღდგომის დღის სხვა კვირაში აღნიშნის შესახებ, რითაც აღიარა მსოფლიო კალენდრის შემოლების აუცილებლობა. საეკლესიო პრესაშიც სისტემატურად განიხილავენ საკითხებს კალენდრის რეფორმის შესახებ. მაგრამ ახალი კალენდარი მსოფლიო მასშტაბ-

ბით შემოიღება მხოლოდ მაშინ, როცა თანხმობას განაცხადებს ყველა ქვეყანა და ეს თანხმობა გამაგრებული იქნება საერთაშორისო ხელშეკრულებით. ასეთი დრო კი ჯერჯერობით არ დამდგარა. იმედია, გრძელება გაიმარჯვებს და მსოფლიო კალენდარი შემოღებული იქნება. ამას გვიყარნახებს საზოგადოების განვითარების დიალექტიკა.

## ქველფართული კალენდარი

(ქორეული ზარსულიდან ახ. ფ-ის IV საუკუნიდან)

სივრცე და დრო ყველგან და ყოველთვის ერთმანეთთან განუყრელადაა დაყავშირებული. დრო არასოდეს არ ჩერდება და იგი უცვლელი და კანონზომიერი სიჩქარით მიღის. დრო არაა ისტორიული კატეგორია — იგი მარადიულია. მას არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ადამიანმა შორეულ წარსულში მიაქცია ამ მოვლენას ყურადღება და ცდილობდა მის ფიქსირებას და ფიქსირებული მომენტიდან დროის მონაკვეთის ხანგრძლივობის გადათვლას. ამ მიზნით მან კალენდარი და საათი გამოიგონა. რადგან შორეულში ხალხებს, ტომებს ისეთი ინტესიური ურთიერთობა არ ჰქონდათ, როგორც დღეს, ამიტომაც კალენდარიც იმდენი იყო, რამდენიც ტომი და ხალხი არსებობდა; ამიტომ, როცა ძველქართულ კალენდარზე ვლაპარაკობთ, სწორედ ის კალენდარი იგულისხმება, რომლითაც სარგებლობდნენ ჩვენი შორეული წინაპრები.

შორეულ წარსულში ქართველებს კალენდარი რომ ჰქონდათ, ეს კეშმარიტებაა, რადგან ქართველებს, ჯერ კიდევ ნეოლითის ხანაში, ხორბლის რამოდენიმე სახეობა მოჰყავდათ, ასევე ცნობილი იყო ვაზის რამოდენიმე ჯიში. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პურისა და ვაზის ქვეყანას ეძახდნენ.

ხორბალი რომ დათესო და მომკა, ვაზი რომ დაამუშაო და დროულად კარგი მოსავალი მიიღო, ამას დროის აღრიცხვის გარეშე ვერ მოახერხებ, ამიტომაც ქართველ მეცნიერებს ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ შორეულ წარსულში საქართველოში ხმარებაში იყო კარგად გაანგარიშებული კალენდარი.

ძველი ქართული კალენდარული სისტემის შესწავლისას ქართველი მეცნიერები: ივ. ჯაგახიშვილი, ქ. ქეჩელიძე, პ. ინგოროვა, დ. ცხა-

კაია, რ. პატარიძე და სხვები ქყრდნობოდნენ იმ წერილობით წყარო-  
ებს, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია, და იმ რელიგიურ რიტუალებს,  
რომლებიც დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში უკანასკნელ  
დრომდე შემორჩა.

წერილობითი წყაროები გახლდათ: X საუკუნის ხელნაწერი კა-  
ლენდარი, რომელიც შედგენილია პალესტინაში ქართველი ბერის იო-  
ანე-ზოსიმეს მიერ. ეს კალენდარი საქმაოდ გავრცელებული ყოფილა  
არა მარტო საქართველოში, არამედ ახლო და შუა აღმოსავლეთის  
ქვეყნებშიც, განსაკუთრებით კი პალესტინაში. „იოანე-ზოსიმეს“ კა-  
ლენდრით თვეების ოღრიცხვა დაკავშირებული იყო მზის მოძრაობას-  
თან ზოდიაქოს თანავარსკვლავედებს შორის. მასში გათვალისწინებუ-  
ლი იყო სხვაობაც წლის ზამთრისა და ზაფხულის ნახევრების ხანგრ-  
ძლივობათა შორის: 1210 წლით დათარიღებული ხელნაწერი, სადაც  
განხილული და ახსნილია მთვარის ფაზები და დროის აღრიცხვა ზო-  
დიაქოს თანავარსკვლავედების მიხედვით; ხელნაწერი ასტრონომიული  
ტრაქტატი (1233 წ.), რომელიც ეკუთვნის აბუსერიძე-ტბელს; ასტრო-  
ლოგიური თხზულება XII საუკუნისა, რომელიც შეიცავს მოძლვრებას  
ციურ ეტლთა, მთვარის ფაზებისა და შვიდი მნათობის შესახებ; ს; ს;  
ორბელიანის ლექსიკონი „სიტყვის კონა“.

ეს წყაროები არ იძლევიან ქველქართული კალენდრის პირდაპირ  
განმარტებას. აქ მოცემულია მხოლოდ ზოდიაქოთა აღრიცხვის სხვა-  
დასხვა სისტემა და მათ შორის გვხვდება ისეთები, რომლებიც შეი-  
ცავენ ქველქართული კალენდრის ზოდიაქურ ჩონჩხს. ამ წყაროებიდან  
ისიც ირკვევა, რომ „ქართველებმა ჯერ კიდევ 1233 წელს იცოდნენ  
ქველი კალენდარული სისტემის უზუსტობანი, რამაც 1582 წელს ი-  
ძულა რომის პაპი გრიგოლ XIII კალენდრის რეფორმა მოეხდინა“ —  
წერს მ. კოლხიდაშვილი (15, გვ. 223). მაგრამ წყაროები არაფერს მე-  
ტყველებენ იმის შესახებ, თუ რა სისტემის კალენდრით სარგებლობ-  
დნენ ქართველები ჩვენს წელთაღრიცხვამდე ან ჩვენი წელთაღრიცხ-  
ვის I—IX საუკუნეებში.

ქართველი მეცნიერები კი ვარაუდობდნენ, რომ საქართველოში  
ე. წ. მზის უძრავი კალენდრის შემოღებამდე, იყენებდნენ მთვარის  
კალენდარს. მაგალითად, საქართველოს უძველესი კალენდარული სის-  
ტემის კვლევისას ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ „ძველ საქარ-  
თველოში მთვარის კალენდარული სისტემის დამადასტურებელია  
მთვარის ხატობის რელიგიური დღესასწაულების გაღმონაშთები „გე-

რისთაობა“ — აღმოსავლეთ საქართველოში და „ნაციხურობა“ დასავლეთ საქართველოში. „გერისთაობა“ 14—15 აგვისტოსაა, ამ დღესასწაულს „თავი გრის თაობა“ ჰქვია. სწორი 21—22 აგვისტოს არის ხოლმე, მეორე სწორი კიდევ ერთი კვირის შემდეგ 28—29-ს. 15-ს იმიტომ, რომ მთვარე ამ დროს სრულია, ხოლო მეორე სწორზე მეოთხე მეოთხედში, ანუ მცხრალი იქნება იგი...“ ასევე დასავლეთ საქართველოში „ნაციხურობა“ ნააღმდგმევს, მეორე კვირის, ორშაბათობით არის ხოლმე და სამი კვირის განმავლობაში ყოველ ორშაბათობით „ნაციხურობას“ უქმობენ... ნაციხურობის უქმობის ჩვეულებაც მთვარის მეოთხედის თაყვანისცემაზეა დამყარებული“. რადგან „გერისთაობას“ და „ნაციხურობას“ უქმობა კვირა ღამესა და ორშაბათობით იცოდნენ, ამიტომ, — ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, — „წარსართობის დროს ორშაბათს ქართულად მთვარის დღე უნდა რქმეოდა“ (35, გვ. 95).

ჭ. ეპელიძის მეცნიერული კონცეფციით „ქართველთა მოდგმის ტომები მსგავსად სხვებისა, წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ. ამიტომ უძველესი ქართული წელიწადი უნდა ყოფილიყო მთვარის წელიწადი, ეს იქედან ჩანს, რომ მთვარე უძველეს ხანაში მთვარი ღვთავება ყოფილა ქართველებისა, რომელთაც მისი სახელი (ოუთა) თვეც (ოთვე) იღუნიშნავთ. მთვარის წელიწადი ძირითადათ ჩვენში იმავე ბაბილონურ-სემური სისტემისა უნდა ყოფილიყო“ (13, გვ. 2).

მტრიგად, გერისთაობა და ნაციხურობა, როგორც რელიგიური დღესასწაულები, საქართველოში შორეულ წარსულში ჩასახულა, განვითარებულა და ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ წარმართული საქართველოს ქურუმებმა კარგად იცოდნენ დროის აღრიცხვის მთვარის კალენდარული სისტემით წელიწადის თვეების, კვირეებისა და დღეების ანგარიში, მთ უმეტეს, თუ იგი ბაბილონურ-სემური სისტემისა იყო. ბაბილონური მთვარის კალენდარული სისტემით კი, წელიწადში მთვარის 12 თვე იყო და წელიწადი 354 დღე-ღამეს მოიცავდა. ხოლო იმისათვის, რომ მთვარის წელიწადი მზის წელიწადისათვის მიესადა-გებინათ, მთვარის წელიწადი დროდადრო 30-დღიან მე-13 თვეს — მეორე ულულუს დაუმატებდნენ ხოლმე.

ასეთია სავარაუდო შეხედულებები უძველეს საქართველოში მთვარის კალენდარული სისტემის ასესბობის შესახებ. რ. პატარიძემ კი, ქართული ასომთავრული ინბანის 25-წლიანი კვლევის შედეგად, არა მარტო დაადასტურა ზემომოყვანილი ვარაუდები, არამედ ამოხსნა კიდევ მის შინაარსში „დამარხული ყოველი საიდუმლო“ და თავის



ფუნდამენტალურ ნაშრომში „ქართული ასომთავრული“ გრწყიცალუდ დაასაბუთა, რომ ქართული ასომთავრული ანბანი ქართული დაწმურ-ლობის არა მარტო პირველი წერილობითი წყაროა, არამედ „ერთ-დროულად ძეველქართული წარმართული კალენდარიც“ (23, გვ. 373), რომელშიაც ერთდროულად დასტურდება მთვარის კალენდარული სისტემა, მზის კალენდარული სისტემა და მეტონის 19-წლიანი ციკ-ლიც, ე. ი. მზე-მთვარის კალენდარული სისტემაც. ქართული ასომთავ-რული ანბანი კი რ. პატარიძის მტკიცებით, — „ქართველ ქურუმთა წიაღში შეიქმნა ძვ. წ. 412 წელს“ და „ძვ. წ. 412 წელი მთვარის კა-ლენდარული სისტემის დასასრულისა და მზის უძრავი კალენდარული სისტემის ხმარებაში შემოღების დასაწყისია“ (23, გვ. 512).

ამრიგად, შორეულ წარსულში ქართული ასომთავრული ანბანის მეშვეობით ფიქსირებულ იქნა როგორც მთვარის კალენდარული სის-ტემის არსებობის ფაქტი, აგრეთვე მზის უძრავი კალენდარული სის-ტემის ხმარებაში შემოღების ფაქტიც, რომელიც მეტონის 19-წლიან ციკლზე იყო დამყარებული.

რ. პატარიძე, განიხილავს რა უძველესი ქართული მთვარის კა-ლენდარულ სისტემას, მყითხველის ყურადღებას მიაპყრობს ქართუ-ლი ასომთავრული ანბანის პირველ ნიშანზე. იგი წერს: „ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნის მთვარის იდეოგრამა იმის მინიშნებაა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მთვარის კალენდარული სისტემა, ხოლო ქართული ასომთავრული ან-ბანის პირველი ასო-ნიშნის სახელდება იმის მინიშნებაა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებულია მთვარის წინააზიური სის-ტემა“ (23, გვ. 385) ქართული ასომთავრული ანბანის პირველი ასო-ნიშნი კი გახლავთ „ან“ და იგი რ. პატარიძის მტკიცებით, — „არა მარტო ოვის პირველი დღეა, არამედ კვირის პირველი დღეა და ას-ტრონომიული ოვალსაზრისით, დღე-ღამის დასაწყისიცაა“ (23, გვ. 402).

მთვარის კალენდარულ ოვეში, როგორც ვიცით, ოთხი კვირაა, ე. ი. 28 დღე-ღამეა, რომელსაც რიგრიგობით ერთი ან ორი დღე ემა-ტება, ამიტომაც ოვეში ხან 29, ხან 30 დღე-ღამეა, მთვარის უნაკო წელიწადში — 12 ოვე, ანუ  $29 \times 6 + 30 \times 6 = 354$  დღე-ღამეა, მთვარის ნაკიან წელიწადში კი — 13 ოვე, ანუ  $354 + 30 = 384$  დღე-ღამე.

რაღაც ძეველქართული კალენდარი ბაბილონურ-სემური სისტემი-სა იყო, ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ქურუმები მთვა-რის კალენდრის მზის ჭეშმარიტ კალენდართან მისასადაგებლად უდა-

ვოდ იყენებდნენ ბაბილონურ 8-წლიან ციკლს, რადგან 8 წლის გან-  
მავლობაში მთვარის კალენდარი მზის კალენდარს  $90 \times 8 = 90$  დღე-ღამით. ჩა-  
მორჩება ( $11,25 \times 8 = 90$ ) და II, V, XII წლებს უმატებდნენ მე-13  
ოვეს. ამრიგად ძველქართული მზე-მთვარის 8 კალენდარული წელი-  
წალი შეიცავდა 99 მთვარის თვეს ( $12 \times 8 + 3 = 99$ ), ანუ  $354 \times 5 +$   
 $384 \times 3 = 2922$  დღე-ღამეს, ე. ი. იმდენს, რამდენსაც რვა მზის წელი-  
წალი ( $365,25 \times 8 = 2922$ ). ბაბილონეთში კი 8-წლიან ციკლს იყენებდნ-  
ენ ძვ. წელთაღრიცხვის VI—IV საუკუნეებში, ე. ი. ქართული ასო-  
მთავრული ანბანის შექმნამდე.

მეცნიერულად დადგენილია, რომ უძველეს საქართველოში, ისე  
როგორც მაშინდელი მსოფლიოს უმრავლეს ძველანაში, წლის დასა-  
წყისად მიჩნეული იყო 21 მარტი, ე. ი. გაზაფხულის ბუნიობა, დღე-  
ღამის დასაწყისად მთვარის ზედა კულმინაცია — შუალამე, ხოლო  
დროის ათვლა ხდებოდა 7-დღიანი კვირეებით.

თავდაპირველად ქართველები, ისე როგორც ბაბილონელები და  
ასირიელები, კვირის შვიდდღიურის აღსანიშნავად ხმარობდნენ პლა-  
ნეტების (მაშინდელი გაგებით, ცის ღვთაებათა) სახელებს. მაგალი-  
თად: მზისა — კვირა, მთვარისა — ორშაბათი, არიასი — სამშაბათი,  
ერმისა — ოთხშაბათი, აფროდიტესი — ხუთშაბათი, დიონისია — პა-  
რასკევი, კრონისია — შაბათი. კვირის დღეების სახელები: არია,  
ერმი, ოუროდიტე, დიონი, კრონისი, როგორც ქართველმა მეცნიერებ-  
მა დაადგინეს, ქალედური სახელწოდებებია; ეს კი იმაზე მეტყველებს,  
რომ ქართველებს შორეულ წარსულში ქალდეასთან მჭიდრო კულ-  
ტურული ურთიერთობა ჰქონიათ. თანამედროვე ტერმინოლოგით მა-  
თი სინონიმია: არია — მარსი, ერმი — მერკური, აფროდიტე — ვენე-  
რა, დიონი — იუპიტერი, კრონისი — სატურნი. ხოლო ივ. ჯვარიშვი-  
ლის მეცნიერული კონცეფციით მათი ქართველი სინონიმებია: „თარ-  
ხონი, ჯიმალი, მთიები, ობი, მორიგე“ (35, გვ. 102—122).

მოგვიანებით „ქართველები, ისე როგორც ებრაელები და ბერძ-  
ნები, — წერს დ. ცხავაია, — კვირეულის დღეებს ციფრებით აღნიშ-  
ნავდნენ: კვირა — 1, ორშაბათი — 2, სამშაბათი — 3, ოთხშაბათი —  
4, ხუთშაბათი — 5, პარასკევი — 6, შაბათი — 7“ (33, გვ. 204).

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების აღწეულ ხანაში  
კვირის დღეების სათვალავად კვლავ რიცხვებიდან ნაწარმოები სახე-  
ლებია ხმარებაში. მაგრამ მას თან ერთვის ებრაული ტერმინი შაბათი  
(ებრაულად შაბეს — დასვენება) და, როგორც პ. ინგოროვა აღნიშ-  
ნავს, მისი რიგი ასეთია: „ერთი შაბათად, ორი შაბათად, სამი შაბათად,

ოთხი შაბათად, ხუთი შაბათად, ექვსი შაბათად. შაბათად... შეტაო აღნიშნავდა ერთ დღეს და მავე დროს მთელს შვიდ-დღიურს: უფრო სრულად „ერთი დღე შაბათად, ორი დღე შაბათად ნიშნებს პირველი დღე შვიდეულისა, მეორე დღე შვიდეულისა“ (11, გვ. 313) და ა. უ.

უფრო მოგვიანებით, ე. ი. ქრისტიანობის თანდათანობით გან-მტკიცებასთან ერთად, ექვსშაბათის მაგიერ ხმარებაში შემოდის პა-რასკევი, ხოლო ერთშაბათის მაგიერ — კვირა. ამის გამო ივ. ჯვახი-შვილი წერს: „იაკობ ხუცესის 447—484 წ. დაწერილი თხზულებიდან სრული სიცხადით ჩანს, რომ ამ დროს შვიდეულის დღეების სახელე-ბად შაბათის სისტემის სახელები იხმარებოდა ქართულად. ამ ძეგლის (იგულისხმება შუშანიკის წამება. ვ. კ.) თარიღებში იხსენიება ორშა-ბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი და შაბათიც, ხოლო როცა სახარება ქართულად ითარგმნებოდა, ექვსშაბათის მაგიერ ტერმინად ბერძნული პარასკევი ყოფილა მიღებული. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ შაბა-თის სისტემის შვიდეულის დღის სახელები ქართლში უკვე IV—V ს. ქ. შ. გაბატონებული ყოფილა“ (35, გვ. 158).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ყოველი ახალი წელიწადი, დღევან-დელი ტერმინით, მარტის 21 რიცხვიდან იწყებოდა, ხოლო წელიწადის თვეების ძველქართული სახელწოდებები გახლდათ: 1. ახალწლისა (მარტი-აპრილი), 2. ვარდობისა (აპრილი-მაისი), 3. მარჩხივი (მაისი-ივნისი), 4. ქუელთობისა (ივნისი-ივლისი), 5. არდა-დაგისა (ივლისი-აგვისტო), 6. ივრიკისა (აგვისტო-სექტემბერი), 7. სოუელისა (სექ-ტემბერი-ოქტომბერი), 8. ტირისკინისა (ოქტომბერი-ნოემბერი), 9. ტირისდენისა (ნოემბერი-დეკემბერი), 10. სურწყუნისისა (დეკემ-ბერი-იანვარი), 11. აპნისისა (იანვარი-თებერვალი), 12. მიპრაკანისი-სა (თებერვალი-მარტი). დღევანდელი მარტის თვის 21 რიცხვი კი იქნებოდა „ახალწლისას თვის პირველი რიცხვი.

ცნობილია, რომ მთვარის სინოდური თვის ხანგრძლივობაა 29,53059, ხოლო მთვარის წელიწადისა — 354,36706 დღე-ლამება. ტრო-პიკული წელიწადი კი — 365,2422 დღე-ლამებს მოიცავს. 19-წლიანი მეტონის ციკლის ფორმულით 19 მზის წელიწადი  $12 \times 12 + 12 \times 7 = 235$  მთვარის თვის, ანუ  $29,53 \times 235 = 6940$  დღე-ლამის ტოლია, ხო-ლო ტროპიკულ წელიწადში  $12 \times 19 = 228$  მზის თვე, ანუ დაახლოებით  $365,25 \times 19 = 6940$  დღე-ლამება. ამრიგად, 19 მზის წელიწადი 12-თვით-ნი მთვარის 12 წელიწადისა და 13-თვით-ნი მთვარის 7 წელიწადის ჯა-მის ტოლია. ამიტომაც იყო, რომ ძველქართული კალენდარული სის-ტემით 19-წლიანი მეტონის ციკლით მე-3, მე-6, მე-8, მე-11, მე-14,

მე-17, მე-19 წლები მთვარის ნაკიან — 384-დღიან წლებად ითვლებოდნენ, ხოლო 12 წელიწადი — უნაკო და 354-დღიან წლებად ითვლებოდნენ. ქართულ ასომთავრულ ანგანში განხორციელებული იყო აფრიკული ტეკსტები. 30 მზის კალენდარი. „იგი მარტივია. წელიწადში 12 ოვეა, ყოველ თვეში 30 დღეა, ამიტომ „ლას“-ის ფორმულით  $30 \times 12 = 360$  დღე-ლამეა“ (23, გვ. 424). მაგრამ ტროპიკულ (მზის) წელიწადში 365,2422 დღე-ლამეა. ამიტომ ქართული მზის კალენდარული სისტემით სამ უნაკო წელიწადს 5 დღე-ლამეს უმატებდნენ, ხოლო ნაკიან — მეოთხე წელიწადს — 6 დღე-ლამეს. და სამუალოდ ყოველ წელიწადში 365,25 დღე-ლამეა, ანუ 365 დღე-ლამე და 6 სთ.

ტროპიკულ წელიწადში 365 დღე-ღამე, 5 სთ. 48 წთ, 45, 9747 წა-  
მია, რაც წელიწადში 11 წთ. 14,0253 წამის ცდომილებას იძლევა. მაგ-  
რამ, თურმე ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებული მზის  
კალენდარი ამ ცდომილებასაც ითვალისწინებს. კერძოდ, როგორც ჩ.  
პატარიძე აღნიშნავს, ამ ცდომილების შეწონასწორების როლს ქარ-  
თულ ასომთავრულ ანბანში „დონ“-ი და „წილ“-ი ასრულებენ.

„ქართულ ასომთავრულ ანბანში „დონ“-ი რიგით მეოთხე ადგილზე ზის, რომელსაც დაფარული რიცხვის მნიშვნელობა აქვს და იგი  $4+9+6=4+70+50=124$ -ის ტოლია. „წილ“ კი რიგით 31-ე ადგილზე ზის და იგი ორგვარ ფუნქციას ისრულებს: ერთ შემთხვევაში იგი „ყოველ ოთხწლეულში ერთ ნაკიან წელიწადს (3+1), ხოლო მეორე შემთხვევაში „წილი“ 31 ნაკიან წელიწადს ანგარიშობს, ხოლო 31 ნაკიანი წელიწადი  $31 \times 4 = 124$  წელიწადის ტოლია. 31 ოთხწლეულის შემდგომ 32-ე ოთხწლეული უნაკო იქნება, ამიტომ ქართული ასო-გთავრული ანბანის მიხედვით 128 წელიწადში ( $124+4=128$ ) ერთი დაიდი ციკლი მთავრდება, ხოლო 128-წლიანი ციკლის მიხედვით, წელიწადის ხანგრძლივობა 365 დღე-ღამე, 5 საათი, 48 წუთი და 45 წამი იქნება“ (23, გვ. 464). ამრიგად, ჰეშმარიტ ტროპიკულ (მზის) წელიწადსა და ძველქართულ წარმართულ 128-წლიანი ციკლის ერთ ალენდარულ წელიწადს შორის ცდომილება 0,9747—წ-ს მოიცავს, ნუ, რ. პატარიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქართული წარმართული აალენდარი ტროპიკული წელიწადის ხანგრძლივობას მხოლოდ და მხოლოდ 1 წ-ის სხვაობის სიზუსტით ანგარიშობს“ (23, გვ. 464).

რ. პატარიძის გამოკვლევით, მზის ქართულ კალენდარულ 360-დღიან წელიშადს, ყოველ სამ უნაკო წელიშადს უმატებდნენ, ხოლო ჩაკიანს — მეოთხე წელიშადს — 6 დღეს „ზაფხულის ბოლოს, შემოდგომის ბუნიობის წინ, ქალწულის და სასწორის ზოდიაქოებს შო-  
7. ვ. კოპალიაშვილა 97

რის“ (23, გვ. 440), ე. ი. გრიგოლის კალენდრით 22 სექტემბრიდან. უნდა ვივარაუდოთ, ეს დღეები, ისე როგორც ძველევეგიპტურ და მა-ის უძრავ მზის კალენდარულ სისტემებში, წელიწადის მართიაჭ ვ. დღლისაგან. გამოცალკევებული იქნებოდნენ და მათ, ალბათ, ის წარ-მართული ლვოაებები მფარველობდნენ, რომელთა სახელებსაც ისინი ატარებდნენ.

ქართულ ასომთავრულ ანბანში, განხორციელებული იყო რა მზის კალენდარული სისტემა, კალენდარული წელიწადი ამ კალენდრითაც 21 მარტიდან იწყებოდა, ე. ი. როცა მზე ვერძის ზოდიაქოში შედიო-და, ხოლო კალენდარული წელიწადი მთავრდებოდა, როცა მზე თვავის მსვლელობას თევზის ზოდიაქოში დასრულებდა, ე. ი. 20 მარტს. ძვ. წ.-ის 412 წელს მზის კალენდარული სისტემის ხმარებაში შემოლებით „საქართველოში მზის კალენდარული ეპოქის წელთაღრიცხვა დაი-წყო“ (23, გვ. 517), მაგრამ შენარჩუნებულ იქნა მთვარის კალენდარუ-ლი სისტემაც, რამეთუ მთვარის კალენდრით აღირიცხებოდა რელიგი-ური დღესასწაულები.

უნდა შევნიშნოთ, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში განხორ-ციელებული ძველ-ქართული მთვარის კალენდარული სისტემა მთვა-რის ბაბილონურ კალენდარულ სისტემას ესადაგება, ხოლო მზის კა-ლენდარული სისტემა — ძველევეგიპტურ კალენდარულ სისტემას. ამ კალენდარულ სისტემებს, ჩ. პატარიძის მოსაზრებით, ქართულ ასო-მთავრულ ანბანში 19-წლიანი მეტონის ციკლი აერთიანებს, „ხოლო ამ ფუნქციას ქართული ასომთავრული „რაე“ ასრულებს“ (23, გვ. 449).

## ქალკართული კალენდრის მოდერნიზაცია

ქართულ ასომთავრულ ანბანში ჩაქსოვიდი მთვარის, მზე-მთვა-რისა და მზის ძველქართული კალენდარული სისტემები საქართველოში IV საუკუნემდე იხმარებოდა, შემდეგ კი ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან დაკავშირებით თანდათანობით ხმარებაში შემოვიდა იულიუსის კალენდარი.

ისტორიულად ცნობილია, რომ რომის კეიისარმა კონსტანტინე დიდმა 325 წელს ქ. ნიკეაში მოიწვია ქრისტიან ეპისკოპოსთა მსოფ-ლიო ყრილობა; ყრილობას ესწრებოდა 300 ეპისკოპოსი, მთლიანად

კი (თანმხლებ პირებთან ერთად) წარგზავნილთა რაოდენობა 2000-ს  
შეადგენდა. ყოველგვარი ხარჯები სახელმწიფომ გაიღო. ყრილობის  
მიზანი იყო ერთხელ და სამუდამოდ მოესპოო განხეთქილება ქრისტია-  
ნულ ეკლესიებს შორის „ახალი აღთქმის“ შინაარსის გამო, დაეკანო-  
ნებინათ ერთიანი და ყველა ქვეყნის ეკლესიებისათვის სავალდებულო  
„ახალი აღთქმის“ შინაარსი, დაედგინათ ყველა ქრისტიანული ქვეყნი-  
სათვის ერთიანი კალენდრის შემოღების საკითხიც, რათა ყველა  
ქრისტიანულ ქვეყანაში ერთდროულად აღნიშნათ რელიგიური დღე-  
სასწაულები. ეს კალენდარი გახლდათ იულიუსის კალენდარი, რო-  
მელიც ხმარებაში შემოღებულ იქნა ჯერ კიდევ ძვ. წ-ის 46 წელს იუ-  
ლიუს კეისრის მიერ თავისი ქვეყნის — რომის იმპერიის — უკეთ  
მართვის მიზნით. ქრისტიანულ ქვეყნებში ერთიანი კალენდრის შემო-  
ღება სხვადასხვა ქვეყნისა და ხალხის ერთიანი ქრისტიანული რელი-  
გის ფერხულში ჩაბმის პრელუდია გახლდათ, რაც, რა თქმა უნდა,  
მაშინდელი მსოფლიოსათვის პროგრესული მოვლენა იყო, ხოლო რო-  
გორც იც. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „აღმოსავლეთ საქართველოში,  
იბერიაში, ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად აღარება და-  
ახლოებით 337 წლის ახლო ხანებში უნდა მომხდარიყო“ (35, გვ. 273).

მაგრამ ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში ერთბაშად და  
ნებაყოფლობით არ მომხდარა. მოუხედავად იმისა, რომ მას მხარს  
უჭერდა სამეფო ხელისუფლება, მის გავრცელებას გააფთრებულ წი-  
ნააღმდეგობას უწევდა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელთა შეგნება-  
ში წარმართული ცრულწმენები ღრმად იყო გამჭდარი. თქმა არ უნდა,  
ახალი რელიგიის გავრცელებას წინ აღუდგნენ აგრეთვე წარმართული  
რელიგიის მქადაგებლები — ქურუმები. ამის შესახებ იც. ჯავახიშვი-  
ლი აღნიშნავს: „როდესაც წმ. ნინო მღვდლითურთ და „ერისთავი ერ-  
თი წარვიდა და დადგა წობენს და მოუწოდა მთეულთა და წილეა-  
ნელთა, ჭართალელთა და ფხოელთა და უქადაგა სარწმუნოება ქრის-  
ტისი, ...მათ განუყარეს თავი. და ერისთავმან მცირედ წარმართა მახ-  
კლი და შიშით მისცნეს კერპნი მათნი დალეწად“ (35, გვ. 272). ხო-  
ლო ისტორიკოსი ჯუანშერი მოგვითხრობს: „ჯერ კიდევ V—VI ს. ს.  
კახეთში, ხევსა მას ლოპოტისასა ქვეყანასა მას კლდეთა მოზღვდვილ-  
თა... იყუნეს სოფლისა მის კაცნი წყლისა და ცეცხლისა მსახურნი“-ო  
(35, გვ. 272), ამიტომაც, ახალი რელიგიის — ქრისტიანობის მქადა-  
გებლები სამეფო ხელისუფლების დახმარებით შეეცლებოდნენ წარ-  
მართული რელიგიის ქადაგების ყოველი კერის, მათი ქურუმების,  
წარმართული წერილობითი წყაროების დედაბუდიანად განადგურე-

ბას და მოსპობას, რამაც, ალბათ, კიდევაც გამოიწვია ქართული ასო-  
მთავრულ ანბანში ხორცესხმული მთვარის; მზის კალენდრისა და მე-  
ტონის ციკლის გამოყენების თანდათანობით მივიწყება.

ხდებოდა რა სჯულის დამკვიდრება მახვილითა და ცეცხლით, უნ-  
და ვივარაუდოთ, რომ აღრინდელი წარმართული ხანის ლიტერატუ-  
რული მემკვიდრეობა მთლიანად დაიღუპა და ამიტომაც ჩვენამდე ვე-  
ლარ მოაღწია. თუ ამას დავუმატებთ V—VII საუკუნეებში ქალკედო-  
ნიანობის გამარჯვებას იბერიაში, რომელმაც საბედისწერო როლი შე-  
ასრულა ძველი მწერლობის მოსპობა-დალუპვის საქმეში, და საქართვე-  
ლოში არაბთა ბატონობის პირველ ხანას, რომელიც მემატიანეთა გად-  
მოცემით, საქართველოსათვის ნამდვილი კატასტროფა იყო, ის უნდა  
გვიკვირდეს, ამ შავბედობას როგორ გადაუჩინა ქართული ასომთავ-  
რული ანბანი და თვით ქართველი ხალხი.

როგორც უკვე აღნიშნეთ, ძველი და ახალი რელიგიების იდეო-  
ლოგიური გააფთრებული ბრძოლის შედეგად მივიწყებულ იქნა ქარ-  
თულ ასომთავრულ ანბანში განხორციელებული მთვარის, მზისა და  
მთვარე-მზის კალენდარული სისტემების არსი და, ნიკეის მსოფლიო  
ყრილობის დადგენილების საფუძველზე, საქართველოში მეთოდურად  
ფეხს იკიდებდა იულიუსის კალენდარი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,  
რომ ძველ წარმართულ თვეთა სახელშოდებების ხმარება შეწყდა და  
მაშინვე იქნა მივიწყებული ქართველი ხალხის მიერ. იგი ხმარებაში  
იყო VII საუკუნის დასაწყისამდე, მაგრამ შეიცვალა მისი არსი, კერ-  
ძოდ, თვეების ათვლა და მათი ხანგრძლივობა დაკავშირებული იყო  
ზოდიაქოს რკალთან და თითოეული თვე მთავრდებოდა მაშინ, როცა  
იგი ტოვებდა აღნიშნულ ზოდიაქოს.

1. ახალი წელიწადი, როგორც 3. ინგოროვა აღნიშნავს, დგებო-  
და მაშინ, როცა მზე შესვლას. იწყებდა ქალწულის ზოდიაქოს ნიშნის  
ქვეშ (გრიგოლის კალენდრით — 23 აგვისტოს) და გრძელდებოდა 22  
სექტემბრამდე, რადგან ამ დღეს მზე ტოვებდა ქალწულის ზოდიაქოს  
სავანებს. იგი მოიცავდა 31 დღეს და ეწოდებოდა „თოუე ახალწლისა“.

2. სთუელისა თვე იწყებოდა 23 სექტემბრიდან და მთავრდებოდა  
22 ოქტომბერს, მოიცავდა 30 დღეს, რადგან ამ პერიოდით განისაზ-  
ღვრებოდა მზის „სასწორის“ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ ყოფნა.

3. ტირისკონის თვე იწყებოდა მზის „ღრიანკალის“ ზოდიაქოს  
თანავარსკვლავედში შესვლით (23 ოქტომბერი) და მთავრდებოდა,  
როცა მზე „ღრიანკალის“ თანავარსკვლავედს (ზოდიაქოს) ტოვებდა  
(21 ნოემბერი). თვე მოიცავდა 30 დღეს.



4. ტირისდენის თვე იწყებოდა მზის „მშვილდოსანის“ ზურიელს ნიშნის ქვეშ შესვლით (22 ნოემბერი) და მთავრდებოდა, როცა მზე გამოვიდოდა „მშვილდოსანის“ ზოდიაქოს ნიშნიდან (21 დეკემბერი). თვე მოიცავდა 30 დღეს.

5. სურწყუნისის თვე იწყებოდა მზის „თხის რქის“ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ შესვლით (22 დეკემბერი) და მთავრდებოდა, როცა იგი „თხის რქის“ ზოდიაქოს ნიშნიდან გამოვიდოდა (19 იანვარი). თვე მოიცავდა 29 დღეს.

6. აპნისის თვის პირველი რიცხვი იწყებოდა 20 იანვარს და მთავრდებოდა 18 თებერვალს; მოიცავდა 30 დღეს. მზე ამ პერიოდში იმყოფებოდა „წყლის საქანელის“ ზოდიაქოს ქვეშ.

7. მირკანის თვე იწყებოდა 19 თებერვალს, მთავრდებოდა 20 მარტს. მოიცავდა 31 დღეს. მზე ამ პერიოდში იმყოფებოდა „თევზის“ ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ.

8. იგრიკას თვე იწყებოდა 21 მარტიდან და მთავრდებოდა 20 აპრილს, მოიცავდა 31 დღეს. მზე კი ამ პერიოდში იმყოფებოდა ვერძის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ.

9. ვარდობის (ყვავილობის) თვე იწყებოდა 21 აპრილიდან და მთავრდებოდა 21 მაისს. მზე კი იმყოფებოდა კუროს ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ, რაც გრძელდებოდა 31 დღეს.

10. ტყუპის (მარჩინის) თვე იწყებოდა 22 მაისიდან. მთავრდებოდა 21 ივნისს. მოიცავდა 31 დღეს. მზე კი იმყოფებოდა მარჩინის ზოდიაქოს ნიშნის ქვეშ.

11. ქუელთობის თვე იწყებოდა 22 ივნისს, როცა მზე შედიოდა ზოდიაქოს კირჩხიბის ნიშნის ქვეშ და მთავრდებოდა 22 ივლისს. ამ დღეს მზე გამოდიოდა ზოდიაქო კირჩხიბის სავანიდან, თვე კი მოიცავდა 31 დღეს.

12. არდა-დეგის თვე იწყებოდა 23 ივლისს, ამ დღეს მზე შედიოდა ლომის თანავარსკვლავედში (ზოდიაქოში) და იგი იქ 17 აგვისტომდე იმყოფებოდა; ზემოჩამოთვლილ 11 თანავარსკვლავედის „გავლას“ მზე დაახლოებით 334—335 დღე-ლამეს უნდებოდა. და, რადგან მზე ლომის თანავარსკვლავედის სავანეში 25—26 დღე-ლამეს იმყოფებოდა, მაშინდელი კალენდრის მესეურები ანუ ვარსკვლავთმრიცხველები 17 აგვისტომდან ნაკიან წელიწადს 6 დღეს უმატებდნენ, ხოლო უნაკო წელიწადს — 5 დღეს და თვე არდა-დეგიც უნაკო წელიწადში მოიცავდა 30 დღეს, ხოლო ნაკიან წელიწადში — 31 დღეს. ამრიგად, — დასკვნის პ. ინგოროვა: — „ამ რიცხვიდან, 23 აგვისტოდან,

იწყება მომდევნო „თთუეც ახალწლისა...“ რომელიც გრძელდება 22 სექტემბრამდე, ვიდრე მზე გაივლიდეს ქალწულის ზოდიაქოს ციშანს და იქვე დასძენს: „ქართულ ხალხურ მითოლოგიურ ღრეობებში შემონახულია იმის გამოძახილი, რომ ახალი წელი ძველ-ქართული წარმართული კალენდარით აგვისტოს მეორე ნახევარი აგვისტო-სექტემბრის საზღვარზე უწევდა“ (11, გვ. 291).

ზემოთ მოყვანილი კალენდარი ის უძველესი კალენდარი გახლავთ, რომელიც, პ. ინგოროვას გამოკვლევით, „წარმათული ხანიდან გადმოსული, ქართულს მწერლობაში გავრცელებით სარგებლობდა მე-6 საუკუნემდე, ხოლო მე-6—7 საუკუნის მიჯნზე, არა უგვიანეს მე-7-ს დასაწყისისა, ქართულ მწერლობაში მკვიდრდება რომაული თვეთა ორიცხვა“ (11, გვ. 413).

ქართული კალენდრის მიხედვით კი, თვეების დასაწყისი დაკავშირებული იყო რა ზოდიაქოთა რკალთან, მათი დასაწყისი არ ესაღაბებოდა თანამედროვე თვეების პირველ რიცხვს, რადგან თითოეული თვე იწყებოდა იმ რიცხვში, როცა მზე შედის გარკვეული ზოდიაქოს ნიშანში, და ეს თვე მთავრდებოდა, როცა მზე ტოვებს ამ ზოდიაქოს ნიშანს. და ეს გამოწვეული იყო იმის გამო, რომ კალენდარული წელიწადი იწყებოდა არა პირველი იანვრიდან, არამედ 23 აგვისტოდან. წელიწადში იყო თოხი დრო: შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული, ზაფხული. ყოველ დროში იყო სამი თვე, ე. ი. წელიწადი მოიცავდა 12 თვეს და უნაკო წელიწადში იყო  $30 \times 5 + 31 \times 6 + 29 = 365$ , ხოლო ნაკიან წელიწადში —  $30 \times 4 + 31 \times 7 + 29 = 366$  დღე-ლამე. ამრიგად, პ. ინგოროვას მიერ გამოკვლეული ძველქართული კალენდარული წელიწადი მთლიანად ესადაგებოდა იულიუსის კალენდარულ წელიწადს, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ასომთავრულ ანბანში გატარებული კალენდარული პრინციპები მთლიანად მივიწყებული იყო.

VIII საუკუნის პირველ ნახევარში ხმარებაში შემოდის რომაულ თვეთა ორიცხვა, მის პარალელურად იხმარებოდა შერეული რომაულ-ქართულ თვეთა სახელებიც; აპანი შეიცვალა თებერვლის თვით, მირკანი — მარტით, იგრიკა — აპრილით, ვარდობისა — მაისით. დანარჩენმა თვეებმა შეინარჩუნა ძველქართული სახელწოდებანი.

შეიცვალა წელიწადის დროთა კალენდარული რიგიც. წელიწადის თოხი დროდან პირველ ადგილზეა შემოდგომა, მეორეზე — ზამთარი, მესამეზე — გაზაფხული, მეოთხეზე — ზაფხული.

VIII საუკუნის დასასრულიდან ქართულ ტერმინოლოგიაში საბოლოოდ მკვიდრდება რომაულ თვეთა ორიცხვა და სახელწოდებე-

ბიც. ასევე, თუ IV—V საუკუნეებში უქმე დღის აღსანიშნავად საქართველოში „კვირასთან“ ერთად იხმარებოდა „ერთშაბათი“, ხოლო „ექვსშაბათთან“ ერთად „პარასკევი“, VIII საუკუნეში „ერთშემატების“ მაგიერ საბოლოოდ მკვიდრდება ტერმინი „კვირა“, რაც ბერძნულად „კირიონისს“, ანუ უფლისას, ღვთის დღეს აღნიშნავდა და იგი შაბათის მაგიერ აღიარებულ იქნა უქმე დღედ (თითქოს ამ დღეს აღსდგა იესო ქრისტე) „პარასკევი“—ც ძველი ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „განმზადებას“ (თითქოს იესო ქრისტე ამ დღეს განამზადეს საწამებლად). ამრიგად, VIII საუკუნიდან „კვირა“ ასახავს შვიდდღიურის გარკვეულ დღეს და ამავე დროს იგი ნიშნავს შვიდდღიურის ერთ წრესაც.

რადგან ქართული კალენდარული სისტემა რომაული ტერმინოლოგიის გავლენის ქვეშ მოექცა, საქართველოში გავრცელდა კალენდების — Calendae, ნომების — Nonae, იდების — Idus ტერმინებიც. აღნიშნული ტერმინებით ძველ რომში სარგებლობდნენ მაშინაც კი, როცა ჭერ კიდევ შემოლებული არ იყო მზის უძრავი კალენდარი და ღრის აღრიცხვა მთვარის ფაზებთან იყო დაკავშირებული.

რომში ყოველი თვის პირველ რიცხვს ეწოდებოდა „კალენდა“, რადგან ამ დღეს, სპეციალური პირები, რომაელებს ყვირილით ამცნობდნენ ხოლმე მთვარის მორიგი თვის დაწყებას — ახალი მთვარის კვლავ გამოჩენას.

კალენდრის 31-დღიანი თვეების (მარტის, მაისის, კვინტილისის, ოქტომბრის) მე-7 დღეს და ყველა დანარჩენი მოკლე (29-დღიანი) თვეების მეხუთე დღეს, ნონე ეწოდებოდა. ამრიგად, ნონე იყო მთვარის ფაზის დაწყების აღმნიშვნელი.

„იდი“ ეწოდებოდა კალენდრის 31-დღიანი თვეების მე-15 დღეს და ყველა დანარჩენი მოკლე თვეების მე-13 დღეს. ამ ტერმინით აღნიშნავდნენ სავსემთვარეობის (მთვარის თვის შუა რიცხვი) საწყის მომენტს. დღეთა გადათვლა კი ხდებოდა კალენდიდან ნონემდე, ნონედან იდამდე და ა. შ.

ძველ საქართველოში „იდის“ სინონიმი იყო ტერმინი „ჟამი“. ამის შესახებ პ. ინგოროვა წერს: „ტერმინი „ჟამი“ გვხვდება ქართულ ენაში, იგი ნიშნავს ზოგადად ღროს, და ვიწრო მნიშვნელობით — საათს. ასეთი მნიშვნელობა ტერმინისა უამი („ღრო“ და „საათი“) დამოწმებულია ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებში, მაგრამ თავდაპირველად იგი აღნიშნავდა მთვარის თვეს, ე. ი. 30-დღიან წრეს. ამის შესახებ დაცულია ძველ-ქართულ საკალენდრო ტრაქტატიში № 38. აქ გვხვდება ასეთი ცნობა: „მარტისა ოცსა განისწორნიან დღე-

ნი და ლამენი... აწ იწყო ჭობნებად დღემან ლამესა ოთხმეოც-და-ათერთმეტ დღე, რომელ არს სამ უამ და ერთ დღე“ (11, გვ. 268), ხოლო „სეკლენბერსა ათვრამეტსა განისწორნიან დღენს და ლამენი. აწ იწყო ჭობნებად ლამემან დღესა ოთხმეოც-და-ათორმეტ დღე, რომელ არს სამ უამ და ორი დღე, ვიდრე დეკენბრის ცხრამეტამდე“ (11, გვ. 269).

ამრიგად, — ასკვნის პ. ინგოროვა, — 91 დღე უდრიდა 3 უამსა და 1 დღეს, ხოლო 92 დღე — სამ უამსა და 2 დღეს. მაშასადამე „უამი“ ონიშნავდა 30-დღიან წრეს, ე. ი. მთვარის თვეს. ცხადია, ტერმინი „უამი“ ასეთი მნიშვნელობით, 30-დღიანი წრის აღსანიშნავად, უძველესი ხანის ნაშთია და ეს ტერმინი შემორჩენილია მთვარის კალენდრიდან. ხოლო რაკი ამასთან კალენდრის სათვალავის ერთ-ერთ ძირითად საფუძველს წარმოადგენდა მთვარის გავსება, აქედან ცხადია: „უამი“ რქმევია როგორც მთვარის თვეს (30-დღიან წრეს), ისე, კერძოდ, მთვარის ავსების დროს, თვის შუა რიცხვს. ამრიგად, „უამი“ ნიშნავდა იმასვე, რასაც რომაული *Idus* — „იდები“, ასკვნის პ. ინგოროვა.

ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, „უამი“ საათის სინონიმია. იგი წერს: „უამი. ერთი დღე და ერთი ღამე არს ოცდაოთხი უამი და ერთი უამი 4 წენტილი“ (21, გვ. 278). ხოლო „წენტილია“ უამის ნაოთხალი“ (21, გვ. 446). ამრიგად, უამი ერთი საათია, ხოლო წენტილი — 15 წუთი.

მთვარის კალენდრის ზემოაღნიშნულ ტერმინებს, რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მოგვიანებით, როცა მთვარის კალენდრის ნაცვლად მზის უძრავი კალენდარი იქნა შემოღებული, ტერმინი „იდი“ მზის უძრავი კალენდარსაც შერჩა, როგორც ტექნიკური ტერმინი და ყოველი თვის შუა რიცხვის მაჩვენებელი. რაც შეეხება ტერმინ „კალენდას“, იგი XX საუკუნის პირველ მეოთხედამდე ახალი წლის პირველი რიცხვის სინონიმი იყო. ამის მაგალითს წარმოადგენს ე. ნინოშვილის მხატვრულ ნაწარმოებში „გოგია უიშვილი“.

ოზურგეთის მაზრაში ეგზეკუცია ჩამოაყენეს, მთავრობამ ჭარის შესანახად თითოეულ კომლს წელიწადში 10 მანეთი შეაწერა. გოგია უიშვილს აფრთხილებდნენ, დროზე გადაეხადა 10 მანეთი. მაგრამ წვრილშვილიან გოგიას არ გააჩნდა ეს თანხა. ამის გამო ცოლს ეუბნება: „კალანდის გათენებას აღარ მაცლიან თუ! კალანდას გავათენებ

და მერე... კალანდაშვილე სამი დღე რჩება, ამ სამ-ოთხ დღეში ვერ გმ-  
გვთხრიან და მერე სამე ვეცდები, გავახერხებ და გადავიზუა (20,  
გვ. 6).

მონლოლთა მსოფლიო საომარ ასპარეზზე გამოჩენამ საქართველო  
სავალალო მდგომარეობაში ჩააგდო — კვლავ დაიწყო ქართველთათ-  
ვის ეამთა სიავე.

1220 წელს მონლოლთა 20 000-იანმა მხედრიონმა საქართველოს  
საზღვრები გადმოლახა და ქართველთაგან წინააღმდეგობის გაწევის-  
თანავე მიიმალა. 1225 წელს, ხვარაუშის შაჰი ჯალალედინი საქართვე-  
ლოს უამრავი ლაშქრით შემოესია და 1226 წლის 9 მარტს თბილისი  
აიღო. შვიდ წელიწადს გრძელდებოდა მისი თარეში საქართველოში  
და ამ შვიდი წლის განმავლობაში საქართველომ ბევრი ზიანი განი-  
ცადა. ჯალალედინის სიკვდილის (1231 წ.) შემდეგ საქართველომ თი-  
თქოს შვებით ამოისუნთქა, მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა, რადგან  
ამჯერად მონლოლთა ურდოები კვლავ ეწვიონენ კავკასიას, მაგრამ ახ-  
ლა კი უფრო გარკვეული დამპყრობლური მიზნით და ამიტომაც —  
დიდი სამხედრო ძალებით. მონლოლებმა საქართველო დაიპყრეს და  
ააოხრეს. მონლოლთა ბატონობა თემურლენგის (1336—1404 წწ.) თა-  
რეშებმა შეცვალა. მან 1389 წლიდან 1403 წლამდე რვაჯერ დალაშქ-  
რა საქართველო, რამაც საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკუ-  
რი დაკნინება გამოიწვია. ამ ეამთა სიავე ბევრი ისტორიული და წე-  
რილობითი ძეგლი გაანადგურა და, ალბათ, ქართველებს ისიც და-  
ავიწყა, რასაც XII საუკუნეშვილე დიდი რუდუნებით ინახავდნენ. ამი-  
ტომაცაა, რომ ს.-ს ორბელიანი თავის „სიტყვის კონაში“ თვეთა სა-  
ხელწოდებებს ასე განმარტავს: „თებერვალი უნაკოდ ოცდა რვაა და  
ნაკით ოცდაცხრა. ქართული ენით ეწოდებიან: იანგარს — აპანი, თე-  
ბერვალს — სურწყუნისი, მარტს — მირკანი, აპრილს — იგრიკა,  
მაისს — ვარდობისა, ივნისს — მარიალისა, ივლისს — თიბისა, ავგის-  
ტოს — ქველთობისა, სეკდებერს — ახალწლისა, ოქონმბერს —  
სოვლისა, ნოენბერს — ტირისკნისა, დეკემბერს — ტირისდენი“ (21,  
გვ. 240—241), რაც განსხვავდება პ. ინგოროვას მიერ მოწოდებული  
თვეთა სახელწოდებებისა და რიგისაგან.

უნდა შევნიშნოთ, რომ შორეულ, ე. წ. წარმართულ ხანაში, ზო-  
გიერთ თვეს ჰქონდა მთავარი საკულტო დღეების სახელებიც, რომ-  
ლებიც უცვლელად გადმოვიდა ქრისტიანულ ეპოქაშიც და სოფელ  
ადგილებში დღესაცაა ხმარებაში. ისინი ამჟამად ცნობილი არიან თვე-  
ების „ხალხურ“ სახელწოდებებად. მაგალითად, 24 ივნისი ითვლებო-

და ითანეს შობის დღედ, აქედან წარმოიშვა იგანობისთვე; ივლისში იწყებოდა დღეობა „კვირიკობა“ — აქედან კვირიკობისთვე; გვერცლა ში აღნიშვნავდნენ „მარიამობას“ — აქედან მარიამობისთვე; უქტემბერში აწყობდნენ „ენენიას“ დღეობას — აქედან ენენისთვე; „გორგობა“ იმართებოდა ნოემბერში და თვეს შეარქვეს გიორგობისთვე; ნოემბერს საქართველოს ზოგიერთ რეგიონში ჭინკობისთვესაც უწოდებდნენ, 25 დეკემბერს ეწყობოდა „ქრისტეს შობის“ რიტუალი — აქედან ქრისტეშობის თვე.

გარდა ამისა, ხალხურ სიტყვიერებაში ზოგიერთი თვე დაკავშირებული იყო სოფლის მეურნეობის სამუშაოებთან და ბუნებრივ მოვლენებთან. მაგალითად, თიბათვე — ივნისი, მკათათვე — ივლისი, წიფობისთვე — სექტემბერი, ღვინობისთვე — ოქტომბერი, ვარდობისთვე — მაისი.

## ჩართული კალენდარული ერა

საქართველოს კალენდარული სისტემის შინაარსობრივად გაღრმავებაში დიდი როლი შეასრულა ალექსანდრიელ ღვთისმეტყველთა მიერ „ქვეყნის გაჩენის“ და დიონისე მცირეს მიერ „ქრისტეს შობის“ თარიღების დადგენამ.

ალექსანდრიელი ეპისკოპოსები საპასექო (სააღდგომო) ცხრილებს ადგენდნენ დროის 95-წლიანი მონაკვეთისათვის და „მისი შედგენისათვის იყენებდნენ მეტონის 19-წლიან ციკლს“ (46, გვ. 104).

284 წლის 29 აგვისტოს რომის იმპერატორი გახდა დიოკლეტიანე (მეფობდა 284—305 წ.). ქრისტიანებმა მისი ტახტზე ასვლის წელი ახალი ერის საწყისად მიიჩნიეს და აქედან დაიწყეს დიოკლეტიანეს ერის წელთაღრიცხვა.

დიოკლეტიანეს ერის 153—248 წლების (ე. ი. ჩვენი ერის 532 წლის ჩათვლით) საპასექო ცხრილები შეადგინა ალექსანდრიელმა არქიეპისკოპოსმა კირილემ. კირილე დიოკლეტიანეს ერის 160 წელს (ე. ი. 444 წ.) გარდაიცვალა, თანაც საქრისტიანოს ცენტრმა იერუსალიმიდან და ალექსანდრიიდან რომში გადაინაცვლა. ამიტომ იყო, რომ როდესაც კირილეს მიერ საპასექო ცხრილის დამთავრებამდე 6 წელი წადი დარჩა (დიოკლეტიანეს ერის 242 წ.), საპასექო ცხრილის შედეგენა დაიწყო რომაელმა ბერმა, პაპის არქივარიუსმა, წარმოშობით სკვითმა, დიონისე მცირემ.

ისტორიიდან ცნობილია, რომ III საუკუნეში რომის იმპერია მძიმე პოლიტიკურ და ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა. სწორედ ამ პერიოდში ქრისტიანულ ეკლესიას რომის იმპერატორებმა ეჭვის თვალით დაუწყეს მხერა — არ მოსწონდათ მისი გავლენა მოსახლეობაზე, ლეგიონებსა და სენატორებზე. ამიტომაც იყო, რომ III საუკუნის შუა წლებში სახელმწიფო ხელისუფლებასა და ქრისტიანულ ეკლესიას შორის დაიწყო მწვავე კონფლიქტი, რომელიც ხშირად ხელისუფლების მიერ ეკლესის ქონების კონფისკაციით, საღვთო წიგნების დაწვით და ეპისკოპოსთა სიკვდილით დასჯითაც კი მთავრდებოდა.

IV საუკუნის დასაწყისში, იმპერატორ დიოკლეტიანეს მმართველობისას, ქრისტიანებს დააბრალეს ნიკომედიაში იმპერატორის სასახლის დაწვა, რამაც რომის ხელისუფლებასა და ქრისტიანებს შორის დამოკიდებულება კიდევ უფრო გაამწვავა: იმპერატორმა დიოკლეტიონემ გამოსცა რამდენიმე ედიქტი, რომელთა საფუძველზე დაიწყეს ქრისტიანთა გაძლიერებული დევნა და შევიწროება: ქრისტიანს ეკრძალებოდა დაეკავებინა ადმინისტრატიული თანამდებობა, ემსახურა ჭარში, ქრისტიანული მოძღვრება კი მიჩნეულ იქნა ანტისახელმწიფო ებრივად. მაგრამ ქრისტიანულ მოძღვრებას რომის იმპერიის მოსახლეობის ყველა ფენაში ისე ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები, რომ დიოკლეტიანეს ედიქტები არცთუ ისე ეფექტიანი აღმოჩნდა, პირით, ქრისტიანული თემები კიდევ უფრო შემჭიდროვდნენ, ეპისკოპოსთა უფლებამოსილებანი კიდევ უფრო გაძლიერდა, ხოლო ქრისტიანული ეკლესია რომის იმპერიაში ერთ-ერთ ძლიერ და ეფექტიან ძალად გადაიქცა. ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ დიოკლეტიანემ ხელი აიღო ხელისუფლებაზე. 311 წელს დიოკლეტიანეს ყველა ედიქტი გაუქმდებულ იქნა. მართალია, იმპერატორი დიოკლეტიანე ეკლესიაშ „ქრისტიანების მწვალებლად“ შერაცხა, მაგრამ ეკლესია მაინც სარგებლობდა დიოკლეტიანეს ერთ. დიონისე მცირეს აზრით, „დიოკლეტიანე ტირანი უფრო იყო, ვიდრე მეფე“ და წინადაღება წამოაყენა, კირილეს მიერ შედგენილი საპასექო ცხრილის დამთავრების მომდევნო წელი აღერიცხათ ირა დიოკლეტიანეს ერის 249-ე წლად, არამედ ქრისტეს დაბადებიდან 533-ე წლად. ასე დამკვიდრა საქრისტიანოში დიონისე მცირემ ახალი ერისა და ძველი ერის მცნება და მიგნა, თანაც ქრისტიანულ ეკლესიას წარუდგინა 532-წლიანი მოქცევის საპასექო დღესასწაულების ცხრილი, რომელსაც მოგვიანებით დიდი კვიკლოსი, ანუ დიდი ინდიქტიონი, უწოდეს.

532 არ არის შემთხვევითი რიცხვი. იგი მიღებულ იქნა იულიუსის



კალენდრისა და მზე-მთვარის კალენდარული ციკლების კომპირნაციონა და შერწყმით.  $532 = 4 \times 7 \times 19 = 28 \times 19$ , საღაც 4 ნაკიანიშვილის მიერთლია, 7-კვირის დღეების გვალის პერიოდი, 19 — ე. წ. „მთვარის წრე“ (ყოველ 19 წელიშვადში მთვარის ყველა ფაზა თვის ერთსა და იმავე რიცხვს ემთხვევა), 28 — „მზის წრე“ (ყოველ 28 წელიშვადში თვის რიცხვები კვირის იმავე დღეებს ემთხვევა). საბოლოოდ, ყოველ 532 წელიშვადში თვეების ერთსა და იმავე რიცხვებს ესაღაგება კვირის ერთი და იგივე დღეები და მთვარის ერთი და იგივე ფაზები.

მართალია, დიონისის მიერ საპასექო ცხრილები შემოღებულ იქნა დიოკლეტიანეს ერის 249 წლიდან, მაგრამ წელთაღრიცხვა „ქრისტეს დაბადებიდან“ პირველად მოწონებულ იქნა ახალი წელთაღრიცხვის 608 წელს პაპ ბონიფაციუს IV-ის (608—615 წწ.) მიერ, ე. ი. დიონის მცირეს გარდაცვალებიდან 150 წლის შემდეგ. მოგვიანებით ერა „ქრისტეს დაბადებიდან“ გვხვდება პაპ იოანე XIII-ის (965—972 წწ.) ანალებში, ხოლო პაპ ევგენი IV-ის (1431—1447 წწ.) დროიდან იგი ოფიციალურად და რეგულარულად გამოიყენებოდა რომის პაპის საკანცელარიო საბუთების დათარიღებისათვის, თუმცა პარალელურად იყენებდნენ ერას „ქვეყნის გაჩენიდან“ (ამ საკითხს ქვემოთ განვიხილავთ).

უნდა შევნიშნოთ, რომ თუ დასავლეთის ქვეყნების ეკლესიებმა ქრისტეს დაბადება ძველი და ახალი ერების მიზნად აღიარეს, აღმოსავლეთის ქვეყნების ეკლესიები კონსტანტინეპოლის მეთაურობით თავს იკავებდნენ ქრისტეს დაბადებიდან ერის ცნების ხმარებაში შემოღებისაგან და დასავლეთის ეკლესიებს ეკამათებოდნენ ქრისტეს დაბადების ჭეშმარიტი თარიღის დადგენის საკითხში. მიუხედავად ამისა, XV საუკუნის პირველ ნახევარში აღმოსავლეთის ქვეყნების ზოგიერთმა ეკლესიამ აღიარა ერა ქრისტეს დაბადებიდან. რუსეთში იგი დამკვიდრდა პეტრე I-ის 1699 წლის სპეციალური ბრძანებით, რომელშიც მითითებული იყო, რომ „ქვეყნის გაჩენიდან 7208 წლის 31 დეკემბრის მომდევნო დღე აღერიცხათ, როგორც 1700 წლის პირველი იანვარი“. საქართველოში კი წლის დასაწყისად 1 იანვარი შემოღებულ იქნა X საუკუნიდან, მანამდე კი, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საქართველოში ახალი წელი იწყებოდა სექტემბრის თვით, ამიტომაა, რომ სექტემბერს ძველქართულად „ახალწლისა“ ჰქვია.

დიონის მცირეს აღმოჩენა ეკლესიისათვის დიდი მოვლენა იყო, რადგან მან ეკლესის და მორწმუნე ქრისტიანებს დაუდგინა ქრისტეს დაბადების თაღირი, თანაც შექმნა მუღმივად მოქმედი საპასექო

ცხრილი, რომლის გამოთვლა არცთუ ისე ძნელი გახლდათ. ამ ცხრილით ამჟამადაც სარგებლობენ ეკლესიის მესვეურები.

უნდა შევნიშნოთ, რომ საშუალო საუკუნეების მონასტრებში და სასულიერო სკოლებში სპეციალურად ასწავლიღნენ სააღდგომო დღის გამოთვლის „მეცნიერებას“. ბევრი სწავლული ცდილობდა, მიეგნო ისეთი მარტივი ფორმულისათვის, რომელიც განთლებულ მორწმუნე ქრისტიანს საშუალებას მისცემდათ დამოუკიდებლად ამოეცნო წლის რომელ დღეს იქნებოდა აღდგომა. ერთ-ერთი ასეთი ფორმულა შეიმუშავა ცნობილმა გერმანელმა მათემატიკოსმა კარლ ფრიდრიხ გაუსმა (1777—1855 წ.). მისი გაანგარიშებით, აღდგომის დღის დასადგენათ საჭიროა წელიწადის რიგითი ნომერი გაიყოს 19-ზე, 4-ზე და 7-ზე. გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთები შესაბამისად აღვნიშნოთ a, b, c-თი, შემდეგ ვიპოვოთ  $19a + 15$  და მიღებული შედეგი გავყოთ 30-ზე, ნაშთი აღვნიშნოთ d-თი, საბოლოო 2b + 4c + 6d + 6 გავყოთ 7-ზე, გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთი აღვნიშნოთ e-თი, შემდეგ კი d + e + 4 ფორმულის გამოყენებით მივიღებთ საძიებელ თარიღს.

ვთქვათ, გვსურს დავადგინოთ რა დღეს იქნება აღდგომა 1990 წელს, ამისათვის ვიქცევით ასე: 1.  $1990: 19 = 104$  მთელს და ნაშთში გვრჩება 14, ე. ი.  $d = 14$ -ს;  $1990: 4 = 497$  და  $b = 2$ -ს;  $1990: 7 = 284$  და  $c = 2$ -ს.

$$2 \ (19a + 15): 30 = (19 \times 14 + 15) : 30 = 281 : 30 = 9 \text{ და } d = 11;$$

$$3: (2b + 4c + 6d + 6): 7 = (2 \times 2 + 4 \times 2 + 6 \times 11 + 6) : 7 = 12;$$

$$1 = 0\text{-ს};$$

4.  $d + e + 4 = 11 + 0 + 4 = 15$ , ე. ი. 1990 წელს აღდგომის დღესასწაული იქნება 15 აპრილს, თანაც ეს დღე იქნება კვირა დღე.

ქართულ „დასაბამიდან“ ქვეყნის განვითარებისა და მდგრადი განვითარების აღმნიშვნელი ანგარიშმდება, ამიტომ დასაბამიდან 1990 წლამდე გასული იქნება  $5604 + 1990 = 7594$  წელიწადი, რაც  $7594: 532 = 14$  მოქცევას, ანუ დიდ ინდიქტორს და 146 ქორონიკონს (წელიწადს მოიცავს).

ქართულ წყაროებში ხშირად გვხვდება ისეთი ისტორიული მოვლენების აღწერა, რომლებიც მოითხოვენ თანამედროვე ქართულ ენაზე ამეტყველებას, ამისათვის კი საჭიროა ვიცოდეთ ქართული ასო-მთავრული ანბანის თითოეული ასოს რიცხვითი მნიშვნელობა და ქართული  $5604\text{-წლიანი}$  ერის არსებობა ქრისტეს დაბადებამდე. მაგალითად, ლეონტი მროველი წერს: „ქორონიკონსა რჩგ: ათაბეგი ბააღურ გარდაიცვალა წლისა კა, ოქდომბერსა ი, დასაბამითაგან ქორონიკონი-

სა ექვენითას ცხრას ოთხმოცდაორსა“ (19ა, გვ. 478). როდის გარ-  
დაიცვალა ათაბაგი ბადური?

ამ ო ხ ს ნ ა:  $\text{r} = 100$ ,  $\alpha = 60$ ;  $g = 3$ ;  $R = 163$  წელიშვარს. 6982—  
5604 = 1378 წელიშვადს, ე. ი. ათაბაგი ბაადურ გარდაცვლილა 21 წლის  
ასაკში, 1378 წლის 10 ოქტომბერს (ი = 10).

ც ნ ე ბ ე ბ ი: „ქვეყნის დასაბამიდან“, „ადამიდან“ უფრო ადრე  
უემოვიდა ხმარებაში ქრისტიან თეოლოგთა სამყაროში, ვიღრე ცნებე-  
ბი: „ქრისტეს დაბადებიდან“, „ქრისტეს დაბადებამდე“. ამის მიზეზი  
კი გახლდათ ქრისტიანთა კანონიკური წიგნი „ბიბლია“. ეკლესიის მა-  
მამთავრებმა საუკუნეების მანძილზე დამუშავეს რა ბიბლიური მოძ-  
ლვრება, მოგვიანებით თეოლოგიის მამამთავრები, ბიბლიაზე დაყრდ-  
ნობით, დღენიადაგ იმის ძიებაში იყვნენ, თუ როდის შექმნა ღმერთმა  
ქვეყანა და რა ღრო გავიდა „ქვეყნის დასაბამითგან“. პირველად ამ სა-  
კითხს შეეხო III საუკუნეში რომაელი ისტორიკოსი — ქრისტიანი,  
წარმოშობით პალესტინელი, სექსტუს იულიუს აფრიკანუსი. მისი გა-  
მოთვლით ღმერთმა ქვეყანა გააჩინა 5500 წელს ქრისტეს დაბადებამ-  
დე. იულიუს აფრიკანუსს ბევრი კომენტატორი გამოუჩნდა. მაგალი-  
თად, ევსევი კესარიელის (268—338 წწ.) გამოთვლით ქრისტე დაიბა-  
და „ქვეყნის გაჩენიდან“ 5198 წელს, პანოდორე ალექსანდრიელის  
(დაახლოებით ახალი წელთაღრიცხვით 400 წ.) მიხედვით კი — 5493  
წელს და პირველი წელი დაიწყო 29 აგვისტოს. რამდენიმე წლის შემ-  
დეგ ანანიანე ალექსანდრიელმა „დააზუსტა“ ქვეყნის გაჩენის თარიღი  
და მისი გამოთვლით ასეთი მოვლენა მოხდა ქრისტეს დაბადებამდე  
5492 წლის 25 მარტს. ბიზანტიელი თეოლოგები კი თვლიდნენ, რომ  
ღმერთმა ქვეყანა შექმნა ქრისტეს დაბადებამდე 5508 წლის 1 მარტს —  
პარასკევ დღეს; სირიელი თეოლოგების გამოთვლით, ღმერთმა სამყა-  
რო შექმნა 5520 წელს, ხოლო ებრაელი თეოლოგების აზრით 3761  
წელს; სჯულის მოძვარი, ფრიად განსწავლული რაბინი გილელი კი  
განმარტივდა, რომ „სამყაროს შექმნა ღმერთმა დაიწყო შზის პირვე-  
ლი ჩასვლის შემდეგ 11 საათზე 11 წუთსა და 20 წამზე“.

თითქოს ქრისტიანთა სამყაროში „ღმერთის მიერ სამყაროს გაჩე-  
ნის თარიღი“ დადგენილი იყო, მაგრამ 1654 წელს ირლანდიელმა არ-  
ქიებისკოპოსმა უშერმა საქვეყნოდ განაცხადა: „საღმრთო წერილის  
გულდასმით შესწავლა გვარწმუნებს, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა  
4004 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდევ“ (17, გვ. 21). მთელი საუკუ-  
ნის მანძილზე ბიბლიის მომდევნო გამოცემებში ასახულებდნენ ამ თა-

რიღს. „უცელას, ვინც მას ეჭვის თვალით შეხედავდა, მწვალებლებს უწოდებდნენ“. — წერს ზენონ კოსიძოგვი (17, გვ. 21).

მოგვიანებით, არქიეპისკოპოს უშერის წინააღმდეგ გამოვიდა ეპისკოპოსი ლაიოფუთი და უსაყვედურა, რომ მისი ნაანგარიშევი თარიღი მთლად ზუსტი არ იყო. ეპისკოპოსის აზრით, სამყარო თურმე ღმერთს შეუქმნია ძველი წელთაღრიცხვის 4004 წელს (23 ოქტომბერს, დილის 9 საათზე, რაც „მეცნიერულად“ დასაბუთა კიდეც (17, გვ. 21).

სეთი გახლავთ მოკლე ისტორია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის თარიღის დადგენის შესახებ.

როგორც ვხედავთ, ქართული 5604-წლიანი ერა ბიზანტიურ ერას აღმატება 96 წლით, ალექსანდრიულს — 104, პანდორე ალექსანდრიელისას — 111, სირიულს — 84, ებრაულს — 1943, უშერისას — 1600 წლით.

ქართული წელთაღრიცხვის სხვა წელთაღრიცხვებთან მეტობის გაზეს მეცნიერები სხვადასხვანაირად ხსნან. მაგალითად, პ. ინგოროვა ამის შესახებ წერს: „ძველი ქართული კალენდრის შესწავლიდან ირკვევა. რომ... სახელდობრ დასაწყისი ქართული ნაციონალური წელთაღრიცხვისა არის 248 წელი ჩვენს ერამდე. ეს წელი არის ამოსავალი თარიღი, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო ქართული ქორონიკონის სისტემას“ (11, გვ. 73). რ. პატარიძის მოსაზრებით, „ქართული ეროვნული წელთაღრიცხვის დასაბამია ქართული მწიგნობრიბის შემოღების თარიღი ძვ. წ.-ის 284 წელი. გარდა ამისა, ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ „284 წელს ქრისტეს დაბადებამდე დასრულდა ათი 532-წლიანი ციკლი, ანუ  $532 \times 10 = 5320$  და კიდევ 284 წელი, ე. ი.  $5320 + 284 = 5604$  წელი“ (23, გვ. 75). ამრიგად, — დაასკვნის რ. პატარიძე, — ქართულ ერას „საფუძვლად დასდებია დამწერლობის შემოღების ქართული წარმართული თარიღი — 284 წელი ძვ. წ.-ისა“ (23, გვ. 75).

დ. ცხაკაიას მოსაზრებით, „ქართველებს პქონდათ საყუთარი 5604-წლიანი ერა: აგრეთვე ხმარობდნენ 5508-წლიან ბერძნულ ერას... ქართველები ხმარობდნენ 5534-წლიან ერასაც“ (33, გვ. 205). 5604-წლიანი ქართული ერის მიზედცით, წელიწადი იწყებოდა 25 მარტს. „ამ ერის შემოღების მიზეზია ისეთი სამოქალაქო კალენდრის შეღენის მოთხოვნილება, რომელიც 25 მარტიდან. იწყება“. — ასკვნის დ. ცხაკაია (33, გვ. 213). 5534-წლიანი ერა მიღებულია ი. აფრიკანუსის მიერ ხმარებაში შემოღებულ 5500-წლიანი ერის გადაკეთებით —

$5500 + 34 = 5534$  წელს. დ. ცხაკაია ამის შესახებ წერს: „როცხვი 5534 შეტენილია საგანგებოდ ისეთი 28-წლიანი მზის ციკლის შესადგენად, რომელშიც წელიწადი იწყება 1-ლ მარტს“ (33, გვ. 213). 5534-წლიანი ერა ქართულ ქრონიკიებში ცნობილი იყო, როგორც ერა „ქრისტეს ჯვარცმადე“.

ზემოაღნიშნულ ექსკურსიდან ჩანს, რომ საქართველოს ისტორიის სინამდვილეში სხვადასხვა დროს წელიწადის დასაწყისად მიღებული იყო 1-ლი მარტი, 1-ლი სექტემბერი, 25 მარტი, 1-ლი იანვარი. ხოლო „ნამდვილი ქართული კალენდარია ის, რომელიც იწყება 25 მარტიდან (ძველი სტილით)“ (33, გვ. 215). იგი საშუალებას იძლევა უშეცდომოდ იქნეს შედგენილი პასქალური ცხრილები. დ. ცხაკაიას ვარაუდით, ქართული 5604-წლიანი ერა შემოღებულია საქართველოში VIII საუკუნეში, ე. ი. დიონისე მცირეს მიერ 532-წლიანი ინდიქტიონის ხმარებაში შემოღებიდან დაახლოებით ორი საუკუნის შემდეგ; და იგი წარმოადგენს „ორი კალენდარული სისტემის: ძველქართულისა და იულიუსის გაერთიანების შედეგს“ (33, გვ. 101).

ზემომოყვანილი მიმოხილვიდან ირკვევა, რომ შორეულ წარსულში ქართველებს ჰქონდათ საკუთარი კალენდარი, რაც განხორციელებული იყო ქართულ ასომთავრულ ანბანში, მაგრამ ძნელბედობამ ქართველ ხალხს დაავიწყა მისი გამოყენების წესი და მადლიერების გრძნობით უნდა განვიმსჭვალოთ რ. პატარიძის მიმართ, რომელმაც 25 წლის დაუღალავი მეცნიერული კვლევის შედეგად ამოხსნა ქართულ ასომთავრულ ანბანში დამარტული საიდუმლოებანი.

## ძველი რუსეთისა და საბჭოთა იმპერიის კალენდარი

სლავური ტომებით დასახლებულ უძველეს ტერიტორიაზე მიმოფანტულ ყორლანების ასაკს მეცნიერები 4—5 ათასი წლით განსაზღვრავენ. ყორლანებს თავდაპირველად მეცნიერები არავითარ ყურადღებას არ აქცივდნენ.

შევი ზღვისპირეთის და რუსეთის ტრამალებში მიმოფანტული ყორლანების შესწავლამ, მეცნიერები დარწმუნა, რომ ძველ რუსეთში ყორლანები იმავე როლს ასრულებდნენ, როგორც ეგვიპტის პირამიდები. კერძოდ ყორლანები ასრულებდნენ არა მარტო სამარხების როლს, არამედ ისე როგორც პირამიდები, საოცრად ზუსტად იყვნენ.

ორიენტირებული ქვეყნის მხარეთა მიმართაც. მართალია, ბევრ ყორანში ბრძყვიალა ოქროს ნაკეთობების მაგივრად თიხის ჭურჭლებზე კვერთხები, დანები და სხვა საოჯახო ნივთები აღმოჩნდა, მცენამ ყორანში რეს ქვებისა და სამარხის ქვის ფილებზე შემორჩენილმა „წარწერების“ შესწავლამ მეცნიერები დაარწმუნა, რომ ძველი სლავური ტომები კულტურით არ ჩამორჩებოდნენ ამავე ეპოქის სხვა ტომებს.

1981 წელს, ხერსონის ოლქის სოფ. ველიკაია ალექსანდროვკასა და სოფ. სტაროსელიეს მიდამოებში არქეოლოგებმა გათხარეს რამოდენიმე ყორანი. ერთ-ერთი ყორანის გათხრის შემდეგ, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს, სამარხის კრომლეხის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, სადაც ამოტიფრული იყო ორი ქოფაკი, რომლებიც მისდევდნენ გარეულ ტახს, მათ უკან კი მედიდურად მიაბიჯებდა დეკეული. მეცნიერებმა დააღინეს, რომ ესენი იყვნენ არა უბრალო ქოფაკები, გარეული ტახი და დეკეული, არამედ ზამთრის, გაზაფხულისა და ზაფხულის თანავარსკვლავედების სიმბოლოები — ქოფაკები დეკეულიან გარეულ ტახს და გზას უთმობენ დეკეულს, რომელიც ზამთრობით პორიზონტის მიღმა მიძალულა.

ერთ-ერთ სამარხში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა, იური შილოვმა, იპოვა ქვაზე დახატული ნაძვის ხე. ნაძვის ხე კი შორეულ წარსულში, სლავური რწმენით, წარმოადგენდა სიცოცხლის სიმბოლოს ანუ სამყაროს მოდელს — ნაძვის ძირი იყო დედამიწის სიმბოლო, ტანი — ჰაერის, ხოლო ვერჯი — ცის სიმბოლო. მაგრამ საკეთო ველი ის იყო, რომ „ნაძვის ხის“ ტოტების საერთო რიცხვი აღმოჩნდა 354, მცირე ინტერვალის შემდეგ დახატული იყო დამატებითი 11 ტოტი და მოშორებით კიდევ ერთი ტოტი. ნაძვის ხის ტოტების რაოდენობამ და მათმა განლაგებამ მეცნიერები დაარწმუნა; რომ სლავურ ტომებს, ძვ. წ. IV—III ათასწლეულში, საკმაოდ კარგად ჰქონდათ დამუშავებული ასტრონომიული ცნებები. კერძოდ, მათი კალენდარული წელიწადი ძირითადად შეიცავდა 354-ღიან წელიწადს, ხოლო მთვარის წელიწადის მზის წელიწადთან მისასადაგებლად უნაკო წელიწადში იყენებდნენ 11 დამატებით ღღეს ( $354 + 11 = 365$ ), ხოლო ნაკიან წელიწადში კიდევ ერთ დამატებით ღღეს.

სლავურ ტომებს, უფრო შორეულ ხანაშიც ჰქონიათ თავისებური კალენდარი.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ბორის ფროლოვი თავის წიგნში „რის შესახებ მოგვითხრობს ციმბირელი მაღანა“ აღწერს, თუ როგორ იქნა აღმოჩენილი 1928 წელს ირკუტსკიდან 80 კილომეტრით შ. ვ. კოპალეიშვილი

მოშორებით მდებარე სოფ. მალტაში აღრეული ქვის ხანის მონალიურეთა მთელი დასახლება, სადაც ნაპოვნი იქნა მამონტის ეშვისაგან—დამზადებული 19 დამთავრებული და სამი დაუმთავრებული ქალის ქანდაკება, ფრინველის 10 გამოსახულება, უამრავი ოილები, მძივები, ქალისა და მამაკაცის ბალოები, რომლებიც შემკულნი იყვნენ გეომეტრიული ორნამენტებით. აქვე იძოვეს ქალის ყელსაბამები, დიადემები. თითქმის ქალის ყველა ქანდაკება დაფარული იყო ხაზებით, ორნამენტებით, მთვარის ფაზების გამოსახულებებით.

1936-39 წლებში სოფ. მალტისაგან რამოდენიმე კილომეტრის მოშორებით სოფ. ბურეტის ორ დასახლებაში ნაპოვნი იქნა ქალის ხუთი ქანდაკება, რომელთა სიმაღლე 12,2 სმ. იყო. ბურეტის „მაღონა“ 200 საუკუნისა აღმოჩნდა. ბურეტის მაღონს ქანდაკების ორნამენტის სქემა ასეთი იყო: კაპიუშოტზე ჰქონდა ჭდების 5 რიგი: ცენტრალურ რიგში — 10, მისგან მარცხნივ — 7, მარჯვნივ — 6, სხეულზე კი ვერტიკალურად განლაგებული 7 ჭდე. სხეულის წინა ნაწილზე — 3, ცენტრალურ ნაწილში — 14; გვერდით, თითოეული მხრიდან — სამ-სამი; წელიდან მენჯის ზედა ნაწილის შვერილზე — სამ-სამი; მარცხენა ბარძაყის გასწვრივ — 5 ჭდე, მარჯვენა ბარძაყის გასწვრივ კი — 7 და ა. შ.

როდესაც მეცნიერებმა შეისწავლეს ქალის სხვადასხვა ქანდაკება, აღმოჩნდა, რომ სხვა რიცხვებისაგან „მოწყვეტით“ გამოიირჩეოდა ოთხი რიცხვი: 5, 7, 10 და 14. საჭირო იყო რიცხვების 5, 7, 10, 14-ის მნიშვნელობისა და მათი არსის დადგენა.

მოგვიანებით მეცნიერებმა დააღვინეს, რომ ქვის ხანას აღამიანს ჰქონდა ოვლის ხუთობითი სისტემა (ერთი ხელის 5 თითი), მთვარის ერთი ფაზიდან მეორე ფაზაშდე გადიოდა 7 დღე, წელიწალში იყო 10 თვე და ახალმთვარეობიდან სავსემთვარეობამდე გაღიოდა 14 დღე. მძრიგად, დადგინდა, რომ ბერუტის მაღონა ყოფილა აურეული ქვის ხანაში მცხოვრები აღამიანის კალენდარი. მართლაც, მთვარის ცენტრურ მოძრაობაში და მის ფაზათ ცვალებადობაში შეინიშნება რამდენიმე ხილული მოვლენა, რომელსაც ქვის ხანაში მცხოვრები აღამიანი უთუოდ მიაქცევდა ყურადღებას.

იმის გამო რომ ახალმთვარეობის მომენტის დაწყებამდე მთვარი არ ჩანს ერთი-ორი ღლის განმავლობაში, მთვარის თვე განისაზღვრება 28 დღით. ზემომოყვანილიდან ვასკვნით, რომ პირველყოფილ მატრა-არქალურ წყობილებაში, სადაც გამოიირჩეოდა ქალის კულტი, თანაც ქალის ფეხმიმობა გრძელდება 10 მთვარის თვეს ანუ 280 დღეს,

სრულიად ბუნებრივია, აღნიშნულ ეპოქაში რომ დამკვიდრებულიყო  
მთვარისმიერი კალენდარული 10-თვიანი წელიწადის ფორმულა:  $14 \times 10 \times 2 \times 10 = 280$  დღეს, ხოლო ყველაფერი ეს სიმბოლიურად ასახული იყო  
ყო ქალის ქანდაკებაზე.

ამჟამად დადგენილია, რომ შორეულ წარსულში სლავი ტომები  
წელიწადის დროის აღრიცხვას აწარმოებდნენ სასოფლო-სამეურნეო  
სამუშაოების ჩატარების მიხედვით, თანაც ჰქონდათ მთვარის 10-თვია-  
ნი კალენდარი, მოგვინებით ხმარებაში შემოიღეს მთვარის 12-თვია-  
ნი, ხოლო უფრო მოგვიანებით — მზე-მთვარის კალენდარი. და, რად-  
გან მთვარის კალენდარული წელიწადი არ ემთხვევა მზის (ასტრონო-  
მიულ) წელიწადს, ამიტომ ყოველ 19 წელიწადში 7 წელიწადს, დრო-  
დადრო, უმატებდნენ 30-დღიან მე-13 თვეს.

თვეების სახელწოდებანი წმინდა სლავურია. მათი სახელები  
მჭიდრო კავშირში იყო ბუნების მოვლენებთან და სასოფლო-სამეურ-  
ნეო სამუშაოებთან.

მაგალითად, იანვარს ზოგან უწოდებდნენ „პროსინეცს“, რადგან  
წელიწადის ამ დროს ცა იყო ლურჯი, მოწმენდილი და ნათელი; ზო-  
გან — „სეჩენს“ — ტყის გაჩეხვის თვეს; ზოგან — „სტუდენს“ —  
ცივს და ა. შ.

თებერვალი — სეჩენ, სნეჟენ, ლიუტი — შესაბამისად: გაჩეხვის,  
თოვლიანი, მკაცრი. მარტი — ბერეზოზოლ, ბერეზენ (არყისა) — წე-  
ლიწადის ამ დროს სლავი ხალხი არყის ხეს ტანზე უკეთებდნენ ჭრი-  
ლებს, ჭრილებიდან გამონადენ წვენს აგროვებდნენ და სვამდნენ ან  
ხარშავდნენ; სუხია — მშრალი, ძველი კიევის რუსეთში, ნალექების  
სიმცირის გამო ყველაზე გვალვიან თვედ ითვლებოდა; სოკოვიკ —  
იგულისხმება არყის წვენის თვე. და ა. შ.

სლავური კალენდრის წერილობით წყაროებს წარმოადგენს კიე-  
ვის პეჩერის მონასტრის ბერის ნესტორის მიერ 1113 წელს დაწერილი  
„მოთხრობა წელიწადის დროთა შესახებ“ და ნოვგოროდის ანტონის  
მონასტრის ახალგაზრდა დიაკონის კირიკის 1136 წელს დაწერილი  
„სწავლება როგორ აწარმოოს ადამიანმა დროის აღრიცხვა“.

ზემომოყვანილ ტრაქტატებში მოთხრობილია ნაკიან და უნაკი  
წელთა შესახებ, მზის ციკლისა (28 წელი) და მთვარის ციკლის (19  
წელი) შესახებ, მცირე (15 წელი) და დიდი (532 წელი) ინდიქტიო-  
ნების შესახებ, როგორ უნდა წარმოებდეს წლების, თვეების, კვირე-  
ებისა და დღეების გადათვლა და აღრიცხვა „სამყაროს შექმნიდან“  
ხელნაწერის შექმნის ეპოქამდე და ა. შ. ტრაქტატებმა დააკანონეს

თვეთა სახელწოდებანი, როგორც სლავურ ისე უქრაინულ ენაზე. მაგალითად, ძველსლავურ ენაზე თვეთა სახელწოდებანი იყო: 1. ჰანგარი — სეჩენ, 2. ობერვალი — ლიუტი, 3. მარტი — ბერეშობოლი, 4. აპრილი — ცვეტენ, 5. მაისი — ტრავენ, 6. ივნისი — ჩერვენ, 7. ივლისი — ლიპეც, 8. აგვისტო — სერპენ, 9. სექტემბერი — ვერესენ, 10. ოქტომბერი — ლისტოპად, 11. ნოემბერი — გრულენ, 12. დეკემბერი — სტუდენ.

სლავური ტომები უძველესი დროიდან შვიდდღიან კვირას იყენებდნენ. შვიდეულის დღეების სახელწოდება ღვთაებათა სახელებთან ერთად იყო დაკავშირებული, არამედ შვიდეულის დღეთა რიგის ნომრებთან. შვიდეულის პირველი დღე იყო „პონედელნიკ“ — „უსაქმობის“ დღიდან პირველი დღე; „ვტორნიკ“ — უსაქმობის დღიდან მეორე დღე, „სრედა“ — უსაქმობის დღიდან მესამე დღე ანუ შვიდეულის „შუაგული“, „ჩეტვერგ“ — მეოთხე დღე, „სუბბოტა“ — („შაბაშ“ — მოსვენება); მეექვეს დღე და მისი სახელი ებრაული კალენდრიდანაა შემოტანილი; „ნედელია“ — უსაქმობის დღე, რომელსაც რუსეთში ქრისტიანობის გავრცელებასთან დაკავშირებით ეწოდა „ვოსკრესენიი“, ე. ი. „მკვდრეობით აღდგომის“ დღე.

წერილობითი წყაროებიდან ჩანს, რომ XIII საუკუნემდე სლავ ხალხებს არ ჰქონდათ ისეთი დროის ერთეული, როგორიცაა „სუტოკ“ — დღე-ღამე და დროს აღრიცხავდნენ დღეებისძა მიხედვით. საათების ათვლას იწყებდნენ დილიდან, ამიტომ შუადღე ესადაგებოდა 6 საათის ბოლოსა და 7 საათის დასაწყისს. ცნობილი იყო დროის ასეთი ინტერვალებიც: ალიონი, სინათლის დასაწყისი, მზის ამოსვლა, დილა, შუა დილა, სამხარი, შუადღე, საამო, ღამე, შუალამე.

ძველ რუსეთში წელიწადი წარმართული ჩვეულების თანახმად გაზაფხულზე — 1 მარტს იწყებოდა, რადგან დაახლოებით ამ დღიდან იწყებდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებს.

X საუკუნის ბოლოს რუსეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელებასთან ერთად ეკლესიამ ხმარებაში შემოიღო იულიუსის კალენდარი, თვეების რომაული სახელწოდებებით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რუსი მემატიანები ქრისტიანები იყვნენ, ისინი არ სცნობდნენ დიონისე მცირეს მიერ შემოთავაზებულ წელთაღრიცხვას „ქრისტეს დაბადებიდან“ და წლებს „სამყაროს შექმნიდან“ თვლიდნენ. მართლმადიდებელი ეკლესიის ღვთისმეტყველთა მტკიცებით კი ღმერთმა სამყარო შექმნა ქრისტეს შობამდე 5508 წლის 1 სექტემბერს.

მოსკოვში და მზის შემოგარენში ახალ წელს დიღი ზემით ხდე-

ბოლნენ. 31 აგვისტოს, ღამით, ზარბაზნების გრიალი და ზარების გუ-  
გუნი იუწყებოდა ახალი წლის დადგომას. დილის 9 საათზე რდებოდა  
ოქროსგუმბათიანი კრემლის კარები. მეცე ულოცავდა სტუმრებს ახალ  
წელს და ვაშლებს ურიგებდა. მოგვიანებით, „სამყაროს შექმნიდან  
7208 წლის 19 დეკემბერს, პეტრე I-მა გამოსცა ბრძანება, რომელშიც  
ნათქვამია: „ამიერიდან წელთაღრიცხვას დავიწყებთ არა პირველი  
სექტემბრიდან, არამედ პირველი იანვრიდან და არა „სამყაროს შექმ-  
ნიდან“, არამედ „ქრისტეს დაბადებიდან“. და ეკლესიას კალენდრის  
რეფორმის წინააღმდეგ რომ არ გაელაშქრა, პეტრე I-მა ბრძანებას  
ასეთი კეთილგონიერი შენიშვნა დაურთო: „ხოლო ვისაც სურს ორივე  
თარიღის გამოყენება — „სამყაროს შექმნიდან“ და „ქრისტეს დაბა-  
დებიდან“ ნება დაერთოს“ (49, გვ. 157).

7208—5508—1700 წლის 1 იანვარს დილით თვით მეცემ მიიღო  
წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმი, რომელიც დამთავრდა 200 ქვე-  
მების საარტილერიო ბათქით. ასე დამკვიდრდა რუსეთში ახალი  
ერა — „ქრისტეს დაბადებიდან“ და „სამყაროს შექმნიდან“ 7208  
წლის 31 დეკემბრის მომდევნო დღე — 1 იანვარი აღიარებული იქნა  
ახალი — 1701 წლის პირველ დღედ. ძალაში დარჩა იულიუსის კა-  
ლენდარი — პეტრე I-მა რუსეთში გრიგოლის კალენდრის შემოღება  
ცერ გაბედა.

რუსეთის მოწინავე საზოგადოება მოითხოვდა გრიგოლის კალენ-  
დარული სისტემის შემოღებას, მაგრამ მათ თხოვნას არ აკმაყოფი-  
ლებდნენ. მაგალითად, 1830 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკა-  
დემიამ წამოაყენა წინადადება ქვეყანაში შემოეღოთ ახალი სტილი,  
მაგრამ სახალხო განათლების ყოფილმა მინისტრმა კ. ა. ლევინმა ნი-  
კოლოზ I (1796—1855 წწ.) დაარწმუნა, რომ რუსეთში ახალი სტი-  
ლის შემოღება ჯერჯერობით ნააღრევია, რომ კალენდრის რეფორმა  
რუსეთის ფართო მასებში გამოიწვევს გაუგებრობას, რაც სახელმწი-  
ფოს დიდ ზიანს მიაყენებს. ნიკოლოზ I-მა ლევინის მტკიცებანი ჭეშ-  
მარტებად მიიჩნია.

1899 წელს რუსეთის ასტროლოგიურმა საზოგადოებამ შექმნა  
რუსეთში კალენდრის რეფორმის ჩატარების სპეციალური კომისია,  
რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი მეცნიერი დ. ი. მენდელეევი  
(1834—1907 წწ.), მაგრამ მისი განხორციელება ვერ მოხერხდა.

## გამოქვებული ლიტერატურა

არლაზართვი მ. ოქვენს სახელზე წერილია, თბ., 1975 წ.

არისტოტელე, მეტაფიზიკა, თბ., 1964 წ.

ბიერე ი. შეხედრა ქვის ხანასთან. თბ., 1970 წ.

ბაგრატიონი თ. განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960 წ.

ბიბლია. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი, ტფილისი, 1898 წ.

გუნია ვ. საქართველოს 1897 წლის კალენდარი, თბ., 1896 წ.

გერმანი გ. ნარცევები გეოგრაფიის ისტორიდან. თბ., 1955 წ.

გაფრინდაშვილი ნ. მითოლოგიური ლექსიკონი. თბ., 1972 წ.

დეფო დ. რობინზონ კრუზო, თბ., 1959 წ.

ზაიდლერი ლ. ანტლანტისი, თბ., 1972 წ.

ილინი ე. სეგალი ე. როგორ გახდა ადამიანი გოლიათი. თბ., 1979 წ.

ინგოროვა პ. ძველი ქართული წარმართული კალენდარი, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. VII, ტფილისი, 1933 წ.

კოპალეშვილი ვ. მოგზაურობა დროში. ჟურნალი „მეცნიერება და ტექნიკა“, № 10, თბ., 1980 წ.

კვერლიძე ქ. ძველი ქართული წელიწადი. თსუ შრომები, 1941 წ.

კოპალეშვილი ვ. შუამდინარეთის მეფეთა სიების გაშიფრვისათვის. „მეცნიერება და ტექნიკა“, № 7, თბ., 1975 წ.

კოლხიძაშვილი მ. საბაშვილ ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1965 წ.

კიკნაძე ზ. შუამდინარეთის მითოლოგია, თბ., 1979 წ.

კოსიდოვსკი ზ. ბიბლიოური თქმულებები, თბ., 1976 წ.

კაფუანი ა. საუკუნეთა კვალდაკვლ, თბ., 1967 წ.

მელიქიშვილი გ. საოცრებანი ჩვენს ირველი. თბ., 1966 წ.

მროველი ლეონტი ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1956 წ.

ნინოშვილი ე. გოგია უშვილი, თბ., 1959 წ.

ნატარშვილი თ. მაშჩიყით მაღრიბამდე, თბ., 1978 წ.

ორბელიანი ს. ს. სიტყვის კონა, თბ., 1949 წ.

პლატონი ნადიმი. თბ., 1964 წ.

პატარიძე რ. ქართული ასომთავრული. თბ., 1980 წ.

რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსნი. თბ., 1957 წ.

როდოსელი ა. არგონავტიკა, თბ., 1975.

საბაშვილი შ. სამყაროს საინტერესო აბიექტები. თბ., 1976 წ.

საბაგშვილი ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1965 წ.

სტრუვე ვ. ძველი აღმოსავლეთის ისტორია, თბ., 1941 წ.

ფურცელიანი ა. დროის გაზომვა და აღრიცხვა. 1962 წ.

- შანიძე ა. ეტლთა და შეიღთა მნათობთათვის. თბ., 1975 წ.
- შური ი. მოთხრობები კალენდარზე, თბ., 1966 წ.
- შარაშენიძე ჭ. შუმერები და მათი კულტურა, თბ., 1983 წ.
- იხაკაძე დ. მთევმატიკის ისტორია უძველესი. საუკუნეებიდან XVII საუკუნეებიდე, თბ., 1948 წ.
- ხარაძე გ. ასტრონომია — 10. თბ., 1978 წ.
- ჯავახიშვილი ივ. თხელულებანი 10 ტომად, I ტომი, თბ., 1979 წ.
- ჯავახიშვილი ივ. ქართული ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1960 წ.
- ჯერი დ. კვირკველია გ. კოპერნიკის ცხოვრება და მოღვაწეობა, თბ., 1973 წ.
- ჰეროფოტე, ისტორია. ტ. 1, თბ., 1975 წ.
- ჰომეროსი, ოდისეა, თბ., 1975 წ.
- Городолов В. Время и календарь. Барнаул, 1955 г.
- Демидов В. Время хранимое как драгоценность. Москва, 1973 г.
- Дагаев М. Книга для чтения по астрономии, Москва, 1980 г.
- Депман И. Меры и метрическая система. Москва, 1954 г.
- Зевельский Ф. Время и его измерение. Москва, 1977 г.
- Ивановский М. Вчера, сегодня, завтра. Ленинград, 1958 г.
- Климишин И. Календарь и хронология, Москва, 1981 г.
- Липин Л., Белов А. Глинняные книги, Ленинград, 1956 г.
- Милов В. Легенды ведут к открытиям, Москва, 1982 г.
- Селешников С. История календаря и хронология, Москва, 1972 г.
- Фролов Б. О чём рассказала сибирская Мадонна, Москва, 1981 г.
- Томсон Дж. Исследования по истории древнегреческого общества, том I. Москва, 1958 г.
- Томсон Дж. Первые философы, том II, Москва, 1958 г.
- Ермолаев И. Историческая хронология, Казань, 1980 г.
- Краткий философский словарь, Москва, 1955 г.
- Песков В. «Таежный тупик», «Комсомольская правда», 1982 г.
- Львов С. Гражданин города Солнце. Москва, 1979 г.
- Пересада В. Три календаря. «Правда», ст. 5, № 4, 1984 г.
- Златовская Т. Исторические корни европейского календаря. Календарные обычаи и обряды в странах зарубежной Европы. Москва, 1983 г.
- Церен Э. Библейские холмы. Москва, 1966 г.
- Древний Восток. Под редакцией академика В. В. Струве. Москва, 1953 г.
- Альбедаль М., Кнорозов Ю. О чём рассказали надписи на печатях, журнал «Наука и жизнь», № 1, 1985 г.

ՑՈՒՑԱԿՆԵՐ



	სიტყვა	ნიმუში
მ ც ა რ ე		8
ბ ზ ე		15
ბაბილონური კალენდარი		22
ეგვიპტური კალენდარი		31
რომაული კალენდარი		39
ბერძნული კალენდარი		46
ძეველი ჩინური კალენდარი		55
ინდური კალენდარი		62
მაიას კალენდარი		68
ებრაული კალენდარი		74
უცნაური კალენდარი		79
რესპუბლიკური საფრანგეთის კალენდარი		85
მსოფლიო მუდმივი კალენდრის საკითხისათვის		91
ძველქართული კალენდრი შორეული წარსულიდან ახ. წ.-ის IV საუკუნეებდე		98
ძველქართული კალენდრის მოდერნიზაცია		106
ქართული კალენდარული ერა		112
ძველი ჩუქუპთისა და საბჭოთა იმპერიის კალენდარი		118
გამოყენებული ლიტერატურა		118

ରୁଦ୍ଧାକ୍ତିନାରୀ ଟ. ଶ୍ରୀପିଲାମ୍ବନ  
ମେହାତ୍ରାହାରୀ ଡ. ଗୋପନିବାନୀ  
ମେହାତ୍ରାହାରୀ ରୁଦ୍ଧାକ୍ତିନାରୀ ଡଃ. ଲୁହନ୍ଦିନୀ  
ତ୍ରୈଜ୍ଞନିଷ୍ଠାରୀ ରୁଦ୍ଧାକ୍ତିନାରୀ ଡଃ. ପ୍ରେମିଂଦର  
କୁର୍ରାମ୍ଭାନାରୀ, ପଦାଳିଂଦର  
ଗାମନିଷ୍ଠାବେଦୀ ବ. ନିକ୍ରମାନୀ

b. 2. № 5706

გადაეცა წიარმოებას 15.06.89. ხელმოწერილია დასაქვეჭად 24.01.91. საქვეჭადი ქაღალდი № 2. 60 $\times$ 84<sup>1</sup>/<sub>16</sub>. გარიზოტური კვნა. ბეჭდება მაღალი. პირობითი ნაგებები თაბახა 6,98. პირ სალ.-გატ. 7,21. სააღრ.-საგამომც. თაბახა 6,74. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 370.

ଓঃ ১ ০৯৬. ৪০ ৩৩.

გამომცემლობა „საქართველო“  
თბილისი, მარგანიშვილის 5.

380060 ქ. ობილესი, ვაჟა ფშაველას პრ. № 29.

საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტის № 4 სტანდა

380060, г. Тбилиси, пр. Важа-Пшавела, 29.

Типография № 4 Департамента по печати Республики Грузия.

၁၃၅/၂၄

ဝန်ကြီးချုပ်  
ဒုတိယပုဂ္ဂန္တ